

# დროშა

№ 5 მაისი 1969

ეროვნული ბიბლიოთეკა

619
1969




ახალი, ბრწყინვალე გამარჯვებებით შეხვდა ჩვენი დიადი სამშობლო მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღეს, შრომისა და მშვიდობის დიდ საგაზაფხულო დღესასწაულს — პირველ მაისს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის საპირველმაისო მოწოდებებში მთელი სიღრმითა და სისავსით გამოიხატა საბჭოთა ხალხის, მსოფლიოს ყველა მშრომელის უგულითადესი მისწრაფება მშვიდობისაკენ, მზადყოფნა იმპერიალიზმისა და ომის ძალების წინააღმდეგ საბრძოლველად. მშრომელთა მილიონები, მტკიცედ დარაზმულნი მარქსიზმ-ლენინიზმის დიადი დროშის ქვეშ, აშენებენ ახალ სამყაროს, კაცობრიობის ნათელ მომავალს.

ცენტრალური კომიტეტის მოწოდებებში ვკითხულობთ:

„გაუმარჯოს მარქსიზმ-ლენინიზმს — მარად ცოცხალ ინტერნაციონალურ მოძღვრებას. ყველა ქვეყნის მშრომელთა გზის მანათობელ ვარსკვლავს სოციალიზმისა და კომუნიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში!

დაე საუკუნეებში ცოცხლობდეს მარქსისა და ენგელსის რევოლუციური მოძღვრების გენიალური განმგრძობის, კომუნისტური პარტიის დამაარსებლის, მსოფლიოში პირველი მუშათა და გლეხთა სოციალისტური სახელმწიფოს ხელმძღვანელის — ვლადიმერ ილიას ძე ლენინის სახელი!“

მთელი მოწინავე კაცობრიობა გატაცებით ემზადება აღნიშნოს დიდი ლენინის დაბადების 100 წლისთავი. ლენინის სახელი — ყველაზე ძვირფასი სახელია მსოფლიოს ყველა მშრომელისათვის. „ლენინურად ვიცხოვროთ, ვიბრძოლოთ და ვიმუშაოთ!“ ასეთია შთამაგონებელი დევიზი ყველა საბჭოთა ადამიანისათვის, რომელ უბანზეც უნდა მუშაობდეს იგი.

პირველი მაისის წინა დღეებში ახალი ძალითა და ენერგიით გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება ხუთწლედის ვადამდე შესრულებისათვის, ლენინის დაბადების მესა წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის.

ამ დიდი შემოქმედებითი შრომის დაუცხრომელი რიტმი იგრძნობა ყველგან — ფაბრიკებსა და ქარხნებში, საკოლმეურნეო მინდვრებსა და სამეცნიერო ლაბორატორიებში, ჩვენი ადამიანები იბრძვიან შრომის ნაყოფიერების განუხრელი ზრდისათვის, თვითეული სამუშაო წუთის სრულად გამოყენებისათვის.

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, რომელიც მტკიცედ მიუძღვის საბჭოთა ხალხს ლენინური გზით კომუნიზმის გამარჯვებისაკენ!

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

დილა

№ 5 (390) მაისი, 1969 წ.

გამოცემის წელი 47-ე.

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი

# ერთი უღლის ხარი

10.925

ბრიგადირმა კიდევ ერთხელ მოავლო თვალი ლიანდაგებზე მოსრიალე ამწეებს. ყველაფერი რიგზე ეჩვენა. მთელი დღე მუშაობით დაღლილი მარჯვენა გაოფლილ შუბლზე მოისვა; მაშ, ეს დღეც კარგად დამთავრდა. ახლა შხაპს მიიღებს და...

დგან 1000-ისათვის ბლუმსების მიმწოდებელი მეცამეტე ხიდური ამწიდან საავარიო სიგნალები მოისმა. საბაზანოსაკენ მიმავალი ბრიგადირი მონუსხულივით შეჩერდა და თვალის დახამხამებაში ამწის ხიდურზე გაჩნდა.

როგორც ექიმმა ავადმყოფი, ისე გულდასმით გასინჯა მანქანა, „სენსაც“ მალე მიაგნო, ურიკის თვლები აღმოჩნდა ამწის შეფერხების მიზეზი. საქმის გადადება არ შეიძლებოდა. ბრიგადირმა თავის დამხმარეს თამაზ ღონღაძეს მოუხმო, მათ გარდა შემკეთებელ ბრიგადიდან აქ აღარავინ ჩანდა. სამუშაო კი პასუხსაგები და საძნელო იყო.

— მოდი, თამაზ, ვსინჯოთ, იქნებ ოსტატის გამოუძახებლად გავართვათ თავი ამ საქმეს? — თქვა ბრიგადირმა.

მთავარი ამწის დაზიანების ამბავი მთელ საამქროს მოედო. ხუმრობა საქმე ხომ არ არის, ის არის ამ უზარმაზარი დგანის მასაზრდოებელი. ამწის გაჩერება დგანის გაცდენას ნიშნავს. დგანის გაცდენა კი, მოგეხსენებათ, არასგზით არ შეიძლება.

ჩვიდმეტი წელიწადია მიხეილი დგან 1000-ს ემსახურება და ჯერ არ ყოფილა შემთხვევა, მისი მიზეზით შეფერხებულიყოს მუშაობა. ეს კი ცოტა რამეს როდი ნიშნავს.

დაზიანებული მეცამეტე ამწე დროებითი მეთორმეტეთი შეცვალეს. მართალია, ეს უკანასკნელი ისე მოხერხებულად ვერ ემსახურებოდა დგანს, მაგრამ საამქროს თავკაცებს მეტი გზა არა ჰქონდათ.

შრომაში შეუმჩნევლად გასულიყო დრო. ღამის თორმეტი საათი იყო, ოსტატი საამქროში რომ მოვიდა.

— არ მინდოდა, ავთო, შენი გამოძახება, ვიფიქრე, უშენოდ მოვერეოდით საქმეს, — ბოდიშის კილოზე უთხრა ბრიგადირმა ოსტატს.

— წადი, მიშა, სახლში, დაისვენე, — უპასუხა ოსტატმა მის შემდეგ, რაც შესრულებულ სამუშაოს გადახედა, — ახლა ჩვენ მივხედავთ საქმეს.

მაგრამ შინ წასვლა არ მოხერხდა. კიდევ დიდხანს იფუსფუსა დაღლილმა ბრიგადირმა ოსტატთან ერთად. უკვე მტრედისფერი შეჰპაროდა ცას, საამქროდან რომ გამოვიდა. ღრმად შეისუნთქა შემოდგომის ნოტიო ჰაერი, სხეულში საამო ჟრუანტელი იგრძნო. სახლისაკენ მიმავალი ფიქრში ჩაიძირა.

კაცი კაცით და ლობე ქაცვითო, უთქვამს ჩვენს ხალხს. ყველგან, მთელს ჩვენს სამშობლოში, ეს მეგობრობა და ურთიერთის მხარში დგომაა ყველა გამარჯვების საწინდარი. მთებს შეძრავს ეს სიყვარული, ეს ძმობა, იმოდენა ძალა აქვს მას. ამ გრძნობამ გაიმარჯვა იმ ღამესაც, აჯობა დაღლილობასაც, უძილობასაც, უშველა საქმეს.

საშუალო სკოლის პირველი კლასიდან დაიწყო მიხეილ კოხრეიძისა და ავთანდილ ლეკვეიშვილის მეგობრობა. ოცდაცამეტი წელი გავიდა მას შემდეგ და ისინი კი სულ ერთად არიან შრომაში და ცხოვრებაში.

ვინ იცის, როგორ წავიდოდა მიხეილისა და ავთანდილის ცხოვრების გზა, 1944 წელს სამხედრო კომისარიატში რომ არ გამოეძახათ და ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში არ გაეწვიათ.

მაგრამ ქარხანაზე ფიქრი მაშინ ერთი წუთითაც გულში არ გაუვლიათ... ფრონტი იყო მაშინ მათი საფიქრალი, მიხეილის მამა ბრძოლის ველზე დაეცა, ავთანდილის ძმისაგანაც არაფერი ისმოდა, და ბიჭები მტერზე შურისძიებისათვის ემზადებოდნენ.

ორმოცდაორ წელს, იანეთში, საშუალო სკოლის შენობის სახურავზე საგუშაგო რომ მოაწყეს, ყმაწვილებმა იფიქრეს — ახლა სწავლას აღარავითარი აზრი არა აქვს, ჩვენი ადგილი ფრონტზეაო.



მიხეილ კოხრეიძე



ეროვნული ბიბლიოთეკა

ავთანდილ ლეკვეიშვილი

თურმე შემცდარან. ომის დროს უფრო დიდი გულმოდგინება ყოფილა საჭირო სწავლაშიც, ქარხანაშიც, მინდორშიც...

ეს გულმოდგინება, ეს სიბეჯითე, ეს თავდადება და თავის არდაზოგვა მოაახლოებს გამარჯვებას.

მაშ ასე, მეგობრები ფრონტისაკენ ისწრაფოდნენ. მაგრამ თექვსმეტი წლის ყმაწვილებს ომში ვინ წაიყვანდა!

ექვსი წელი ერთად მუშაობდნენ მდნობელებად ზესტაფონში. მერე კი მათ რუსთავის მეტალურგიულმა ქარხანამ მოუხმო. მალე ბლუმინგის საამქრო უნდა ამოქმედებულიყო. ხიდური ამწეების შემკეთებელ ზეინკლის სპეციალობის შესასწავლად ახალგაზრდების ერთი ჯგუფი სტალინგრადის მეტალურგიულ ქარხანა „წითელ ოქტომბერში“ გაგზავნეს. ავთანდილიცა და მიხეილიც ამ ჯგუფში იყვნენ.

დგანის 1000-ის გაშვების დღიდან კვლავ ერთად არიან ბავშვობის მეგობრები.

ფიქრში გართულ მიხეილს არც შეუმჩნევია, როგორ მიადგა თავისი ბინის კარს. დილის ტკბილ ძილში გაზვეულ ბავშვებს სიყვარულით მოავლო მზერა, მერე ფანჯარასთან მივიდა, ქარხნის ცადაზიდული მილები დევებივით იდგნენ ერთმანეთის მხარდამხარ.

ადამიანებიც ასე დგანან ერთიმეორის მხარდამხარ და ქმნიან ხვალინდელი დღის ახალ ხილამაზეს.

თენგიზ ლეკვეიშვილი

საქ. კ პ ც კ გამომცემლობა

საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.
ბიბლიოთეკა



# [illegible]

### ვახტანგ სიხარულიძე

ფრონტზე რომ წავედი, ჭაბუკობის განუყრელი მეგობარი არქიტექტორი ნიკო მიქელიშვილი თბილისში დავტოვე. ნიკო ენამახვილი კაცი იყო და გამოსამშვიდობებელ სადილზე ჩვეულებისამებრ ბევრი გვაცინა. შემდეგ სადგურზე გამაცილა, გადამკოცნა და მითხრა: „ბიჭო, თავს გაუფრთხილდი, ცოცხალი და გამარჯვებული დაგვიბრუნდიო“.

1944 წლის ოქტომბერში კი სახლიდან წერილი მივიღე, ჩემი და თამარი მატყობინებდა, რომ მიქელიშვილი დაიღუპაო.

ნიკოს ცოლი შეერთო, ბავშვი შეძენოდა. ზამთრისათვის სიღნაღის რაიონში შეშა შეეძინა და საბარგო მანქანით მოჰქონდა. გამომგზავრებისას კაბინაში შოფრის მოხუცი მამა და ნიკო ჩამსხდარიყვნენ. თურმე სწორედ იმ დროს მანქანასთან ჩვილი ბავშვით ხელში ახალგაზრდა ქალი მივიდა და ნიკოს სთხოვა:

— ქმარი ჯარში მყავს. მისი პოლკი თბილისში იდგა. წერილი მივიღე, რომ ამაღამ ფრონტზე მიემგზავრება. ბავშვი უნდა ვაჩვენო მამას, თუ ნებას მომცემთ, მანქანის ძარაზე ავალ.

აბა, ცივ ზამთარში ძარაზე დაწყობილ შეშაზე როგორ დასვამდნენ ჩვილ ბავშვსა და დედამისს.

ნიკო მანქანიდან გადმოვიდა, ქალი და ბავშვი კაბინაში ჩასხდნენ, თვითონ კი მანქანის ძარაზე დაწყობილ შეშაზე ავიდა.

გზაში, ერთ-ერთი მკვეთრი მოსახვევის გავლისას, ძარაზე დაწყობილი შეშა დაიშალა, ნიკო მიწაზე დაენარცხა და მძიმედ დაშავდა. იგი სიღნაღის საავადმყოფოში მიიყვანეს, სადაც მეორე დღეს გარდაიცვალა.

ამ ამბავმა დიდად დამამწუხრა...

ეს ის დრო იყო, როცა ბუდაპეშტისათვის ბრძოლები დასასრულს უახლოვდებოდა.

ერთ დღეს მესამე ასეულში შევრჩი. დაღამებისას ქუჩა გადავჭერით და ერთი სამსართულიანი სახლი დავიკავეთ. იქ გავმაგრდით. სხვათა შორის, უნდა დავძინო, რომ ბრძანების მიხედვით, ამ მხარეს გადმოსვლა გათვალისწინებული არ იყო, მაგრამ რახან შენობა ჩვენს ხელთ იყო, გადავწყვიტეთ ღამე იქვე გაგვეთია.

ნახევარსარდაფში მოვაწყვეთ საკომანდო პუნქტი. ტელეფონით დავუკავშირდი ბატალიონის შტაბს და ადიუტანტი გავაფრთხილე, რომ ღამე მესამე ასეულში ვრჩებოდი.

სარდაფში ჩავედი, საველე ტელეფონს მივუჯექი.

დაღლილობამ თავისი გაიტანა. მაგიდაზე თავჩამოდებულს ჩამეძინა.

...მძინავს და სიზმარში ვხედავ:

ოდნავ გვერდულად დახურული კეპით, ნაცრისფერ კოსტუმში გამოწყობილი ნიკო მიქელიშვილი მომიახლოვდა, ხელი მომხვია, მაკოცა. გაღიმებული მეუბნება — „როგორა ხარ, ბიჭო, ქაქაოზ მეფევ?“ (ასე მეძახდა იგი ხუმრობით).

— მიცანი თუ არა? — მეკითხება ნიკო.

— ნიკო, ჩვენებმა მომწერეს, რომ გარდაიცვალაო, შენ კი ცოცხალსა გხედავ... მოიცადე, ნიკო! სად მიდიხარ, ბიჭო?

— არა, არა! — გაიძახოდა ნიკო და მართლაც სადღაც მიეშურებოდა.

— მოიცადე, რაღაცა უნდა გითხრა! — გავძახი მე.

ძახილის მიუხედავად, ნიკო სულ მალე თვალს მოეფარა.

...მძლავრმა აფეთქებამ გამაღვიძა. მას მეორე, მესამე მოჰყვა.

ზემოდან სერგო თუხარელმა ჩამოირბინა:

— ამხანაგო კაპიტანო, თვითმავალი ქვემეხი „ფერდინანდი“ ცეცხლს უშენს ჩვენს შენობას. ალყაში ვართ მოქცეული!

ტელეფონს მივვარდი. ვრეკავ, მაგრამ ბატალიონის შტაბი არ მპასუხობს. მეკავშირეები გავგზავნე ხაზის აღსადგენად, მაგრამ ქუჩაზე გადასვლის დროს დახოცეს ჰიტლერელებმა.

ზემო სართულების კედლები კი ჭურვების აფეთქებისაგან აკვანივით ირწევიან.

სამივე სართული შემოვირბინე, მეთვალყურენი დავაყენე. ასეულის მებრძოლები სახლის ოთხივე მხარეს, ნახევარსარდაფის ფანჯრებთან ჩავასაფრე.

ყუმბარები კი თანდათან ანგრევდნენ სახლის კედლებს.

— ეს ოხერი, ნეტავ რით არის აშენებული ამოდენა სახლი. კედლებში ჭურვები თავისუფლად გადიან, — მითხრა პოლკის სანიტარული ასეულის მეთაურმა ექიმმა გიორგი ყუბანეიშვილმა.

სარდაფში ჩავედი. ფრთხილად გავიხედე ფანჯრიდან.

სიბნელეში პირდაპირ მდებარე სახლის გასწვრივ გერმანელები ლანდებივით მიდი-მოდიოდნენ.

ერთი მათგანი, ეტყობა ოფიცერი, ხმამაღლა უყვიროდა დანარჩენებს: „ფორვერტს, ფორვერტს“, მერე მოწყვეტით დაიძახა — „შტურმ“ და ჰიტლერელები შეტევაზე წამოვიდნენ.

— აბა, ბიჭებო, ცეცხლი, ახლოს არ მოუშვათ! — შევძახე მებრძოლებს.

აკაკანდნენ ტყვიამფრქვევები და ავტომატები.

ფანჯრის კუთხეში ჩემი ავტომატი ეხარზე მივიბჯინე და იერიშზე მომავალთ ტყვია დავუშინე.

უცებ დავინახე როგორ მოცელილივით დაეცა ის ოფიცერი, იერიშზე რომ მოუძღვებოდა ჰიტლერელებს. არ ვიცი, ვისი ტყვია მოხვდა. გერმანელებმა მოკლული სწრაფად გაათრიეს და ქუჩის პირდაპირ სახლს მოეფარნენ.

თვითმავალი „ფერდინანდი“ სადღაც წავიდა და რამდენიმე ხნის შემდეგ მისი ადგილი უზარმაზარმა ტანკმა „ვეფხვმა“ დაიჭირა.

ტანკმა ცეცხლი დაგვიშინა, ჭურვების აფეთქებებით ჯერ მესამე სართულის, შემდეგ მეორე სართულის მარჯვენა კუთხე ჩამოწვა. მეორე სართულის შუაგული კი ყუმბარებს გამოუთხრიათ და გვირაბივით ხახადაღებული გამოიყურება.

სარდაფში ჩამოჰყავთ დაჭრილები. სახლის ერთ კუნჭულში სანთლების შუქზე, ექიმი ყუბანეიშვილი მებრძოლებს ჭრილობებს უხვევს.

ჩამოიყვანეს მუცლის არეში მძიმედ დაჭრილი ასეულის მეთაური ლეიტენანტი სემიონ ზვიაგინი. ექიმმა დიდი წვალებით შეუხვია მას ჭრილობა და ტახტზე დააწვინა.

ერთი საათის განმავლობაში გერმანელთა კიდევ ორი შემოტევა მოვიგერიეთ.

სარდაფში უკვე ოცდათოთხმეტი დაჭრილი იწვა.

უკვე ოთხჯერ გავგზავნე მებრძოლები კავშირის აღსადგენად, მაგრამ უშედეგოდ.

„ნეტავ სად არიან ჩვენები? ნუთუ ვერ ხვდებიან, რომ ალყაში ვართ მოქცეულნი“ — ვფიქრობდი და ჩემი თავისათვის ვერ მეპატიებინა ის ამბავი, რომ თავდაცვა იქ არ მოვაწყვეთ, სადაც ნაბრძანები იყო და აქ, ამ სარეგველაში შემოვყავით თავი. „რას ფიქრობენ ბატალიონის შტაბში, ჩვენთან კავშირი რომ არ არის ორ საათზე მეტი. ნუთუ ყველას დაეძინა?“

ღამის თორმეტი საათისათვის სროლა შეწყდა. მტრის ტანკი სადღაც წავიდა, ერთხანს გვესმოდა ჩასაფრებული გერმანელების ლაპარაკი, შემდეგ სიჩუმე ჩამოვარდა.

დანგრეულ შენობაში ფრთხილად დავდიოდი. ნანგრევებიდან თანდათან მეხმაურებოდნენ ჩვენები. მათ ცემენტით შეკავშირებული ჩამონგრეული აგურების ლოდებიდან საიმედო თავშესაფარი მოეწყოთ და გამოცდილი მონადირეებივით ჩასაფრებულნი ფხიზლობდნენ, ავტომატები და ხელყუმბარები გაემზადებინათ.

„ყოჩაღ, ბიჭებო! — გავიფიქრე. — დილამდე უნდა გავუძლოთ, მერე ჩვენები მოგვეშველებიან!“.

მტრის ქვეითებმა ახლა სახლის ეზოს მხრიდან შემოგვიტიეს. გერმანელთა ტანკმა ზურგიდან დაგვიშინა ცეცხლი.

ოცამდე კაცი უკანა სარდაფის ფანჯრებთან ჩავსაფრდით.

* დასასრული. იხ. „დროშა“, № 4.

# დიადი წიგნი

სამოცი წლის წინათ, 1909 წლის მაისში გამოვიდა ვ. ი. ლენინის კლასიკური ნაშრომი — „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი“.

ამ წიგნმა განუზომლად დიდი როლი შეასრულა მთელი მოწინავე კაცობრიობის აზროვნების ისტორიაში. ეს იყო უბრწყინვალესი პასუხი რეაქციის შემოტევისადმი იდეოლოგიის ფრონტზე იმპერიალიზმის ეპოქაში და, ამავე დროს, უღრმესი მეცნიერული დასაბუთება და შემდგომ განვითარება დიალექტიკური მატერიალიზმის პრინციპებისა; ლენინმა ამ წიგნში ნათელყო, რომ ავენარიუსისა და მახის ფილოსოფია არსებითად იყო რესტავრაცია ბერკლისა და იუმის სუბიექტური იდეალიზმისა, შენიღბული „ახლებური“, ვითომდა მეცნიერული ტერმინოლოგიით.

ფილოსოფიის ძირითადი საკითხის — ყოფიერებისადმი აზროვნების დამოკიდებულების საკითხის გადაჭრის ცდას რომ მიმართავდნენ, მახისტები აცხადებდნენ, თითქოს მათ შეძლეს ასულიყვნენ მატერიალიზმსა და იდეალიზმზე „მაღლა“, თითქოს დასძლიეს ძირითად ფილოსოფიურ მიმართულებათა „შეზღუდულობა“. ლენინმა ნათელყო, რომ ყველაფერი ეს ამაო ილუზიები იყო.

მახისტებმა თავიანთი ფილოსოფია „უახლესი ბუნებისმეტყველების ფილოსოფიად“ გამოაცხადეს. ლენინმა კი თავისი წიგნის დასაწყისშივე („შესავლის მაგიერ“) ნათელყო, რომ ეს „ახალი“ იდეები გამოთქმული იყო ჯერ ისევ ეპისკოპოს ჯორჯ ბერკლის თხზულებაში „ტრაქტატი ადამიანის შემეცნების საფუძვლებზე“, რომელიც 1710 წელს გამოქვეყნდა. ემპირიოკრიტიციზმის მიმდევრები ამტკიცებდნენ, რომ მატერიალური სამყარო არსებობს არა ადამიანის ცნობიერებისაგან დამოუკიდებლად, არამედ მხოლოდ ადამიანთა აღქმებში, შეგრძნებებში, რომ ბუნებისა და საზოგადოების განვითარებაში ობიექტური კანონები არ არის, რომ ადამიანის მიერ გარე სამყაროს შეცნობა მეტად არასარწმუნოა.

პირველი რევოლუციის დამარცხების შემდეგ რუსეთში მახიზმის იდეების ქადაგებას შეუდგნენ მენშევიკები — იუშკევიჩი და ვალენტინოვი, აგრეთვე ბოგდანოვი და ბაზაროვი, რომლებიც მაშინ ბოლშევიკებს ემხრობოდნენ. მახიზმის მომხრეთა შორის იყვნენ ისეთებიც, ვინც მოითხოვდა სოციალიზმის შერწყმას რელიგიასთან. მათი აზრით, ასეთი შერწყმა თუ შეხამება სარგებლობას მოუტანდა სოციალიზმს. „ახალი რელიგიის“ ასეთ მქადაგებლებს „ღვთისმშენებლები“ ეწოდათ.

ვ. ი. ლენინმა გენიალურად გვიჩვენა და დაასაბუთა, რომ მახიზმი ეწინააღმდეგება მეცნიერებასა და საზოგადოებრივ პრაქტიკას, რომ მის „სიახლეებს“ მიღმა იმალება ჩვეულებრივი სუბიექტური იდეალიზმი და რელიგიური ბნელეთისმოციქულობა.

ლენინის ამ ბრძოლას დიალექტიკური მატერიალიზმის დასაცავად მსოფლიო მნიშვნელობა ჰქონდა, ვინაიდან მეორე ინტერნაციონალის ოპორტუნისტები ფილოსოფიის საკითხებში ნეოკანტიანობისა და მახიზმის პოზიციებზე დაექანნენ.

წიგნში „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი“ ვ. ი. ლენინმა განსაკუთრებით დიდი ყურადღება მიაქცია შემეცნების მატერიალისტური თეორიის დაცვისა და შემდგომი განვითარების საქმეს. მახისტებს მიაჩნდათ, რომ ადამიანის გონება არ სცილდება შეგრძნებათა საზღვრებს და საგნების ბუნების შესახებ რაიმეს სარწმუნოდ ცოდნა მას არ შეუძლია. მახისტების საწინააღმდეგოდ ლენინმა დაასაბუთა ბუნებისა და საზოგადოების კანონების მეცნიერული შემეცნების შესაძლებლობა. ლენინის ამ წიგნს ჰქონდა და მუდამ ექნება არა მარტო თეორიული, არამედ ღრმა საზოგადოებრივი და პრაქტიკული მნიშვნელობა — ლენინმა გზა გაუხსნა ადამიანის გენიას, მის ყოვლისმძლეველ გონებას სამყაროს საიდუმლოებათა შეცნობისაკენ.

ის ბუმბერაზული წარმატებანი, რასაც მეცნიერებამ ჩვენს დროში მიაღწია, არის ბრწყინვალე დადასტურება ლენინის გენიალური იდეებისა, რომლებიც გადმოცემულია წიგნში „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი“.

ლენინის ამ ნაშრომში ნაჩვენები იყო უდიდესი მნიშვნელობა ისტორიის მატერიალისტური გაგებისა, რომელიც მარქსმა და ენგელსმა აღმოაჩინეს. წიგნში „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი“ ლენინმა განავითარა და ახალ, უფრო მაღალ საფეხურზე აიყვანა ისტორიული მატერიალიზმის პრინციპები. ვ. ი. ლენინმა ცხადყო დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის განუყრელი შინაგანი ერთიანობა.

ვ. ი. ლენინმა ღრმად დაასაბუთა ფილოსოფიის პარტიულობის პრინციპი. ფილოსოფიაში ძველთაგანვე არსებობს ორი ძირითადი ბანაკი — მატერიალიზმი და იდეალიზმი. ბრძოლა ამ ფილოსოფიურ მიმდინარეობათა შორის ასახავს ძირითადი საზოგადოებრივი კლასების ბრძოლას. „უახლესი ფილოსოფია, — წერდა ლენინი, — ისევე პარტიულია, როგორც ორი ათასი წლის წინათ იყო“. დიალექტიკური მატერიალიზმი პროლეტარიატის ფილოსოფიაა, იდეალიზმი, რომელიც რელიგიას უერთდება, ებრძვის და გზას ულობავს ყოველივე მოწინავეს და პროგრესულს.

თავის წიგნში ლენინმა განმარტა და დაასაბუთა, რომ მარქსისტების ამოცანა იმაში მდგომარეობს, რათა შეითვისონ და კრიტიკულად გადაამუშაონ მეცნიერების ყველა მიღწევა, გამოიყენონ ბურჟუაზიულ მეცნიერთა მიღწევებიც, მაგრამ „შეძლონ თავიანთი ხაზის გატარება და ბრძოლა მტრული ძალებისა და კლასების მთელ ხაზთან“.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობა მსოფლიო ისტორიულ გამარჯვებებს აღწევდნენ და აღწევენ მარქსიზმ-ლენინიზმისადმი ერთგულების მეოხებით. ისინი მტკიცედ იცავენ მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების სიწმინდეს, ულმობლად აღკვეთენ რევიზიონისტთა და დოგმატიკოსთა ცდებს — დაამახინჯონ ეს მოძღვრება, გამოაცალონ მას რევოლუციური შინაარსი.

ლენინის წიგნი გზის მაჩვენებელი შუქურაა მთელი მოწინავე კაცობრიობისათვის.

საბა ჯაფარიძე

---

„ფანჯრებიდან სროლისას ხშირად უნდა შევიცვალოთ პოზიციები“ — გავიფიქრე, მაგრამ ეს მაშინვე დამავიწყდა.

ეზოში მოკლე გადარბენებით ჩვენკენ მოიწევენ ფაშისტები, მაგრამ ცეცხლის ზღუდე ვერ გამოურღვევიათ.

ტანკმა კვლავ ყუმბარები დაგვიშინა.

კიდევ ერთი იერიში მოვიგერიეთ.

მაგრამ აქ მოხდა ის, რასაც არ მოველოდი.

მტრის ტანკისტებმა ჩემი ადგილსამყოფელი ავტომატის ლულიდან გამოვარდნილი ცეცხლით აღმოაჩინეს, ფანჯარას ყუმბარა ესროლეს. ჭურვი ჩემს მარცხნივ, კედელთან აფეთქდა. ინსტინქტურად შემოვბრუნდი, აფეთქებისაგან თვალთ დამიბნელდა. თვალები რომ გავახილე, სარდაფში მტვრის ბული იდგა.

მარცხენა ფეხზე სისველე ვიგრძენი.

„დავიჭერი!“ — გამიელვა თავში.

ჩემს მაგიერ ოცეულთან ზემდეგი ფუხაევი დავტოვე. სარდაფის იმ მონაკვეთში გავედი, სადაც დაჭრილები იწვნენ.

მივდიოდი და ძალა მელეოდა. ექიმი ვერ ვნახე. ზურგჩანთიდან იოდი და სახვევი ამოვიღე, თვითონ შევიხვიე ჭრილობა. ჭურვის ნამსხვრევი მომხვედროდა, მაგრამ ტკივილებს რატომღაც არ ვგრძნობდი.

ღამის ორ საათზე პოლკის შტაბიდან გამოგზავნილმა ორმა მზვერავმა შემოაღწიეს ჩვენთან. კავშირგაბმულობის ხაზს გამოყოლოდნენ, შემდეგ გაწყვეტილი ხაზი ენახათ, გერმანელთა ალყაც შეემჩნიათ. ფაშისტების იერიშების მიმართულებით გაიგეს, სადაც ვიყავით მომწყვდეულნი და დიდი გაჭირვებით ჩვენამდე მოაღწიეს.

მზვერავებმა უკან გაბრუნება დააპირეს, მაშველ ძალებს გამოვიძახებთო.

ამის ნება არ მივეცი. ვუთხარი:

— მძიმედ დაჭრილების ამ მდგომარეობაში დატოვება არ შეიძლება. აქედან უნდა გავაღწიოთ, დაჭრილები უნდა გავიყვანოთ. თქვენი დახმარების გარეშე ამას ვერ გავაკეთებთ.

მზვერავები გავგზავნე მტრის ალყაში სუსტი ადგილის მოსაძებნად.

ისინი რამდენიმე ხნის შემდეგ დაბრუნდნენ და მითხრეს:

— არის ერთი ადგილი, სადაც წყდება მთლიანი ალყის ჯაჭვი. მაგრამ მძიმედ დაჭრილები როგორ გავიყვანოთ? შეგვამჩნევენ, ყველას ამოგვხოცავენ.

დაჭრილებს კი არაფრის გზით არ დავტოვებდით, თუნდ ყველანი გავმწყდარიყავით.

გამახსენდა, სახლი რომ დავიკავეთ, სარდაფის ერთ კუთხეში თოკების დიდი შეკვრები ვნახეთ, მზვერავებს ვუთხარი:

— თოკები მონახეთ, მძიმედ დაჭრილები ფრთხილად დააკარით საკაცეებს.

სარდაფის ერთ-ერთი ამოსასვლელიდან სახლის წინა ფასადის ჩრდილოეთ მხარეს ამოვედით — მებრძოლებმა საკაცეებით ამოიტანეს მძიმედ დაჭრილები და ერთმანეთის გვერდზე დააწვინეს.

საკაცეების სახელურებს გრძელი თოკები გამოვაბით.

ზემდეგ ფუხაევს ვუბრძანე: გზის მეორე მხარეს მძიმედ დაჭრილების გადაყვანის შემდეგ, თეთრ შესანიღბავ ხალათებში გამოწყობილი მსუბუქად დაჭრილები და სხვა მებრძოლები გადმოეყვანა.

წინ მზვერავები გავუშვი, ხელში საკაცეებზე გამობმული თოკების წვერები ეჭირათ. მეც ყავარჯენზე დაყრდნობილი ოციოდე ნაბიჯის დაცილებით უკან გავყევი მათ.

გარშემო სიწყნარე იყო.

მზვერავები სიბნელეში მდგომ სახლს მოეფარნენ, მალე მეც დავეწიე მათ. მიდამოები მივათვალ-მოვათვალიერეთ, საეჭვო ვერაფერი შევამჩნიეთ.

მზვერავებმა თოკები გამოსწიეს და თოვლიან გზაზე რიგრიგობით საკაცეებზე დაკრული ოთხი მძიმედ დაჭრილი გადმოაცურეს.

შემდეგ ფუხაევმა მსუბუქად დაჭრილები გადმოიყვანა, ხოლო სულ ბოლოს სალად დარჩენილმა მებრძოლებმა დატოვეს იმ სახლის ნანგრევები, რომელიც კინაღამ ჩვენი ასეულის სასაფლაოდ იქცა.

ბევრი წვალების შემდეგ ჩვენი ჯარების განლაგებას მივატანეთ. დაჭრილები ჰოსპიტლებში მოათავსეს.

ჭრილობების მოსაშუშებლად შვიდ თვეზე მეტი დამჭირდა ჰოსპიტალში წოლა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



▲ სანერგე ნაკვეთში.

ფოტო თარხან არჩვაძისა.

# ყვარლის ყურძენი

ხე მრუდე და ხე მართალი, ხეო, მაგრამ, კარგო ხეო, — ოდითგანვე ასე ეალერსებოდა ქართველი კაცი ვაზს.

ყვარელი მუდამ განთქმული იყო თავისი ვენახებით, თავისი ღვინით.

ძველისძველი ნათქვამია — ყვარელი ხომ ყვარელია, შილდაც საყვარელიაო.

შილდელებიც მუდამ პირველი მევენახენი იყვნენ; მათი ვენახები დღეს უფრო სანიმუშო და სამაგალითოა, კიდრე ოდესმე ყოფილა.

მიმდინარე წლის იანვრის ბოლოს აქაური ორი კოლმეურნეობა გაერთიანდა და იქცა ერთ გამსხვილებულ „შილდის კოლმეურნეობად".

ახლა მას აქვს 4.768 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო სავარგული, აქედან სახნავ-სათესია 2.136 ჰექტარი, ვენახი — 855 ჰექტარი, აქედან 367 ჰექტარი სრულმოსავლიანია.

შარშან კოლმეურნეობამ მიიღო 1.280 ათასი მანეთი შემოსავალი, მიმდინარე წელს დაგეგმილია 1.800 ათასი მანეთი.

გეგმით გათვალისწინებულია, რომ შილდელებმა წელს უნდა მიიღონ 2.040 ტონა ყურძენი, მათ კი გადაწყვიტეს ამ გეგმას 160 ტონით გადააჭარბონ

წელს ჭირვეული გაზაფხული იყო. უჩვეულო ამინდმა შეაფერხა საგაზაფხულო სამუშაოების დაწყება. აპრილმა ბოლოს თავისი გაიტანა, დათბა და კოლმეურნეები ზვრებსა, მინდვრებში და ბაღჩა-ბაღებში გავიდნენ.

გასაგებია, რომ წლევანდელი ძნელი გაზაფხულის გამო მათ განსაკუთრებით დიდი სამუშაოები მოელით. უფრო მეტი მუყაითობის გამოჩენა მართებთ.

შილდის კოლმეურნეობას ნამყენი ვაზის წარმოების დარგში გარკვეული გამოცდილება აქვს; განსაკუთრებული წარმატებები მოიპოვეს მათ უკანასკნელ 3-4 წელს. შარშან შილდელებმა აქვე გამოყვანილი ნამყენი ვაზით 45 ჰექტარი ახალი ვენახი გააშენეს, გეგმა კი 35 ჰექტარს ითვალისწინებდა. მომავალ ხუთწლედის ბოლოსთვის კოლმეურნეობის ზვრები 1300 ჰექტარამდე უნდა გაიზარდოს, ამისათვის ყოველწლიურად 65-70 ჰექტარ ვენახს აშენებენ. ამას კი საკმაო რაოდენობით სჭირდება ნამყენი. კოლმეურნეობამ მიმდინარე წლისათვის დასახა ღონისძიებანი სანერგე მეურნეობის გაფართოებისათვის,

დაამყნეს და სანერგეში გადაიტანეს ნახევარი მილიონი ცალი ვაზი.

ამ საქმეს დიდი ამაგი დასდეს მესათბურეებმა და მომვლელებმა — ვანო ქურულიშვილმა, გოგია ზურაბიშვილმა, ქორა გოგინაშვილმა და სხვებმა. სანერგეს ხელმძღვანელობს გამოცდილი სპეციალისტი, აგრონომი ალექსი ცისკარიშვილი. მათ გადაწყვეტილი აქვთ სანერგიდან მიიღონ ხულ ცოტა 50 პროცენტი პირველი ხარისხის ვაზი.

შილდის კოლმეურნეობას ორი ჰექტარი საცდელი ნაკვეთი აქვს, ეს ნაკვეთი მრავალიარუსიანია, ცდის დანიშნულებაა საჰექტარო მოსავლიანობის გაზრდა. თუმცა ცდის დაწყებიდან მხოლოდ ორი წელი გავიდა, მაგრამ საქმეს უკვე კარგი პირი უჩანს. თუ ახალ მეთოდზე გადაყვანამდე ეს ნაკვეთები 6-7 ტონა ყურძენს იძლეოდნენ, გასულ წელს თითოეული მათგანიდან 10-10 ტონა ყურძენი მოკრიფეს. უახლოეს ორ-სამ წელში ამ ნაკვეთების მოსავლიანობა 18-20 ტონამდე გაიზრდება. ამ ვენახებს უვლიან ნიკო გულიაშვილი და იორამ ბურდიაშვილი.

კოლმეურნეობის წარმატებათა მთავარი საწინდარია თავდადებული შრომა და მაღალი ტექნიკა. აქ უკვე დიდი ხანია თითქმის მთლიანად მექანიზირებულია ხორბლის და სიმინდის მოყვანა. თოხნის და შეტეხვის გარდა, მევენახეობაში მექანიზებულია ნიადაგის ხვნა, კულტივაცია, ბორდოს სითხით და გოგირდით წამლობა, საყრდენი მასალის შედგმა და ა. შ.

უახლოეს მომავალში დაინერგება ვაზის ძირების გამოსათოხნი გუთანი.

შილდელები ყველაფერს აკეთებენ, რათა წლევანდელი რთველი უხვი და ბარაქიანი იყოს.

**ა. ქავთარაძე**



შესვენება.

მევენახე ვახტანგ გელაშვილი.



კოლმეურნეობის თავმჯდომარე ინდიკო სეფაშვილი (მარჯვნივ) და მეძროხეობის ფერმის ბრიგადირი ვალიკო ზუბიტაშვილი



სანერგე ფარდული.



# ეს თითქოს გუშინ იყო

ხშირად გაიგონებთ, ომი დიდი ხანია ისტორიად იქცაო; შეიძლება ასეც იყოს. მაგრამ, აბა, ჰკითხეთ ყოფილ ფრონტელებს; ახე მგონია, გუშინ იყო ყველაფერიო, გეტყვიან და მართალიც იქნებიან. გუშინდელი დღესავით ახსოვთ მათ როგორ გრგვინავდა ირგვლივ ცა და მიწა, ახსოვთ გვერდით მდგომი თანამებრძოლების გამამხნევებელი ღიმილიც და მათი დაკარგვით გამოწვეული ტკივილებიც, მტრის მიერ გადაბუგული ქალაქებისა და სოფლების მდუმარე გოდება, განთავისუფლებული თანამემამულეების სიხარულის ცრემლები, დროებითი მარცხის სიმწარე და გამარჯვების დიდი ზეიმი.

1944 წლის 20 ოქტომბერს უკრაინის მესამე ფრონტის ჯარებმა გაათავისუფლეს იუგოსლავიის დედაქალაქი ბელგრადი და მოძმე უნგრელი ხალხის დედაქალაქის — ბუდაპეშტის გასათავისუფლებლად დაიწყეს ბრძოლა. ფაშისტური გერმანიის მთავარსარდლობა, მრავალი მწვავე დამარცხების შემდეგ, ყველა ღონეს ხმარობდა ბუდაპეშტის შენარჩუნებისათვის. ჰიტლერის უშუალო მითითებით ბუდაპეშტის მისადგომებთან მათ თავი მოუყარეს 55 რჩეულ დივიზიას, მათ შორის ცხრა სატანკო დივიზიას.

იოლი როდი იყო ამ უზარმაზარი ძალის დათრგუნვა და დაძლევა. მაგრამ ეს აუცილებელი იყო. და აი, ძლევამოსილმა საბჭოთა არმიამ ბოლომდე შეასრულა თავისი კეთილშობილური მისია — მედგარი ბრძოლების შემდეგ მთლიანად გაწმინდა უნგრეთის მიწა-წყალი ჰიტლერელი დამპყრობლებისაგან. ათასობით საბჭოთა მეომარი დაეცა ამ ბრძოლებში. საქართველოს ბევრმა შვილმაც შესწირა თავი მოძმე უნგრეთის განთავისუფლებას. ბევრი იმ ბრძოლების მონაწილე კი დღესაც ჩვენს შორის დგას და თავდადებით განაგრძობს შრომას. მათ შორის არის შალვა შელიაც.

შალვა აფხაზეთში, სოფელ ბალმარანშია დაბადებული. თვრამეტი წლისა იყო, ომი რომ დაიწყო. იბრძოდა ლატვიაში ქალაქ დვინსკის დასაცავად; პოლკი, რომელშიც შალვა მსახურობდა და რომელსაც ჩვენი სახელოვანი თანამემამულე პეტრე (პეპიკო) ჩხობაძე მეთაურობდა, თორმეტი დღის განმავლობაში უმკლავდებოდა მტრის ათმაგად ჭარბ ძალებს. იმ ბრძოლებში შალვა მძიმედ დაიჭრა, დიდხანს იწვა ჰოსპიტალში, მერე ისევ ფრონტს მიაშურა. 32-ე მოტომექანიზებულ ბრიგადაში მეავტომატეთა ოცეული ჩაიბარა, მისმა მეავტომატეებმა დიდი ამაგი დასდეს, ხარკოვის განთავისუფლებას. მერე დნეპრიც გადალახეს და ქ. ზნამენკის განთავისუფლებისათვის იბრძოდნენ. შალვა შელია დაჯილდოებულ იქნა სამამულო ომის ორდენით, იმავე ხანებში იგი შედის კომუნისტური პარტიის რიგებში. ბუქარესტის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში სიმამაცის გამოჩენისათვის იგი დააჯილდოვეს წითელი ვარსკვლავის ორდენით, მიანიჭეს უფროსი ლეიტენანტის წოდება და დანიშნეს ასეულის მეთაურად.

შალვა შელიას ასეულს ცხარე შეტევითი ბრძოლა მოუხდა ფაშისტებთან ტრანსილვანიის ალპებში, რომელიც რუმინეთისა და უნგრეთის საზღვრებთან მდებარეობს. ალპებს თუ გადალახავდნენ, ჩვენ ჯარებს გზა ეხსნებოდათ უნგრეთისაკენ. ამიტომ ჰიტლერელები გააფთრებულ წინააღმდეგობას გვიწევდნენ. ზოგჯერ დღეში 7-8-ჯერ გადმოდიოდნენ კონტრიერიშზე დაკარგული პოზიციების დასაბრუნებლად.

მამაცურად იბრძოდნენ შალვა შელიას მეავტომატეთა ასეულის მეომრები. თვით შელია და მისი პოლკის მეთაური, საბჭოთა კავშირის გმირი კაპიტანი პავლე როსლიკი მუდამ ცხარე ბრძოლის შუაგულში იყვნენ და პირადი მაგალითით აღაფრთოვანებდნენ ჯარისკაცებს; ტრანსილვანიის ალპების განთავისუფლებისათვის წარმოებულ ბრძოლებში მეავტომატეთა ასეულმა არაერთგზის ისახელა თავი. ამის შემდეგ შელია დაჯილდოებული იქნა სამამულო ომის პირველი ხარისხის ორდენით, ხოლო პავლე როსლიკის დაჭრის შემდეგ სწორედ მას, ოცდასამი წლის კაპიტანს მიანდეს პოლკის მეთაურობა.

საბჭოთა ჯარების შეტევა დღითიდღე ძლიერდებოდა: უკრაინის მეორე და მესამე ფრონტები სულ უფრო ავიწროებდნენ რკალს ბუდაპეშტის ირგვლივ და ქალაქს ქალაქზე ათავისუფლებდნენ. შალვა შელიას სამხედრო შენაერთი, რომელიც უკრაინის მესამე ფრონტის შემადგენლობაში შედიოდა, სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ უტევდა. მისი ამოცანა იყო გაეთავისუფლებინა ქალაქები: დოროგი, ესტერგომი, შეერთებოდა უკრაინის მეორე ფრონტის ჯარებს და ამით დაემთავრებინა ბუდაპეშტის ალყის შემორტყმა; პოლკი, რომელსაც შელია ედგა სათავეში, 1944 წლის 27 დეკემბრის დილას ორი-სამი კილომეტრით მიუახლოვდა ქალაქ დოროგს. ჰიტლერელებმა თავგანწირული წინააღმდეგობა გაუწიეს ჩვენს მეომრებს. პოლკი იძულებული შეიქნა დროებით თავდაცვაზე გადასულიყო.

შუადღისას მზვერავებმა შელიას მოახსენეს, ქალაქის ახლოს ტყეში მტრის ორმოცამდე ტანკია შენიღბული. ქალაქ ესტერგომზე შეტევის დროს ამ ტანკებს შეეძლოთ ზურგიდან მოქცეოდნენ და მოულოდნელად თავს დასხმოდნენ ჩვენს პოლკს. შალვამ დახედა თავის საველე რუკას, ლურჯი ფანქრით შემოხაზა ტანკების განლაგების ადგილი და მათი კონტრშეტევის შესაძლებელი მიმართულება, რომელიც, მისი აზრით, სოფელ კლაშპრემ-პუხტოზე უნდა გასულიყო. მან გადაწყვიტა თვითონ გერმანელები მოემწყვდია მათსავე დაგებულ მახეში და მცირე ჯგუფით — 30 მებრძოლით ჩასაფრებოდა სოფელშუა გამავალი გზის ორივე მხარეს.

ამ გაბედული და სერიოზული ოპერაციის შესრულებას ფრთხილი და გამოცდილი მეთაური სჭირდებოდა, ამიტომ ბრძოლის ხელმძღვანელობა თვითონ შალვამ იკისრა. ტანკსაწინააღმდეგო ყუმბარებითა და თოფებით შეიარაღებული მამაცთა პატარა ჯგუფი სათანადო ადგილას ჩასაფრდა და შეინიღბა. საღამოს ჟამს გერმანელთა ტანკები სოფლისაკენ დაიძრნენ. გამოცდილ მეთაურს გუმანმა არ უმტყუნა, ტანკები ქ. ესტერგომის მიმართულებით გასვლას აპირებდნენ, ამიტომ გზათ ეს სოფელი უნდა გაევლოთ, რომ ჩვენ შემტევ ძალებს ზურგში მოქცეოდნენ.

შალვამ მებრძოლები წინასწარ გააფრთხილა, მანამ თვითონ არ ვესვრი, სროლა არავინ ასტეხოსო. ფაშისტებს სოფელი ცარიელი ეგულებოდათ, მაგრამ წინ მაინც მოტოციკლისტები გაუშვეს დასაზვერად. შალვამ მოტოციკლისტები გაატარა. მათ კი თავისიანებს სიგნალი მისცეს „გზა თავისუფალიაო“. ოციოდე წუთის შემდეგ დაიძრა გერმანელთა ტანკების კოლონა. უზარმაზარი ტანკები მუხლუხების ღრჭიალით და მოტორების გრუხუნით ახლოვდებოდნენ. მებრძოლები დაიძაბნენ, სუნთქვაც კი შეეკრათ; როცა მეწინავე ტანკი შელიას გაუსწორდა, შალვამ მას ტანკსაწინააღმდეგო ყუმბარა სტყორცნა. ტანკს ცეცხლი გაუჩნდა. მებრძოლებმაც დაუშინეს ყუმბარები და ტანკსაწინააღმდეგო თოფები, თან ტყვიამფრქვევის და ავტომატების ჯერებიც მიაყოლეს. 15-20 წუთის განმავლობაში მათ 9 ტანკი დასწვეს.

გერმანელები არ მოელოდნენ ასეთ გაბედულ თავდასხმას, ისიც ასეთ თითქოს ცარიელ სოფელში. ისე დაიბნენ და აირ-დაირივნენ, რომ დანარჩენმა ტანკებმა ერთი გასროლაც კი ვერ მოასწრეს, სასწრაფოდ პირი იბრუნეს და ისევ ტყეს შეაფარეს თავი. შალვას კი ამ გაბედულთა ჯგუფიდან ერთი მებრძოლიც არ დაუკარგავს. შელიას მიერ სწორად ორგანიზებულმა ჩასაფრებამ, საბჭოთა მებრძოლების თავდადებამ და გმირულმა ნებისყოფამ უზრუნველყო ჩვენი შემტევი ძალების უსაფრთხოება ზურგიდან. ამ ოპერაციის ბრწყინვალედ ჩატარებისათვის ბრძოლის ყველა მონაწილე დაჯილდოებულ იქნა ორდენებით და მედლებით, ხოლო მათი მეთაური — შალვა შელია დააჯილდოეს საბრძოლო წითელი დროშის ორდენით.



ფრონტელი მეგობრები — პავლე როსლიკი და შალვა შელია.

ამის შემდეგ ჩვენმა ჯარებმა ზედიზედ აიღეს ქალაქები: დოროგი და ესტერგომი, შეერთდნენ უკრაინის მეორე და მესამე ფრონტები, რითაც საბოლოოდ საშუალება მოუსპეს გერმანელებს გამოეხსნათ ბუდაპეშტის რკალში მომწყვდეული 55 დივიზია. 1945 წლის 13 თებერვალს ჩვენი ჯარების მიერ საბოლოოდ ლიკვიდირებული იქნა მტრის ჯარების დაჯგუფება ბუდაპეშტის მიდამოებში. მოძმე უნგრეთის ტერიტორია გაწმენდილ იქნა ფაშისტთა ურდოებისაგან.

ომის შემდეგ შალვა შელიამ დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, შემდეგ კი ასპირანტურაც. დღეს იგი კვლავ მოწინავე ადამიანთა რიგებშია, წარმატებით განაგრძობს შრომას ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის, კვლავ ძველებური შემართებით იბრძვის ჩვენი ქვეყნის უკეთესი მომავლისათვის.

ილია ტატიშვილი

# წლები და შეხვედრები

რუსუდან ნიკოლაძე

მამაჩემს, ნიკო ნიკოლაძეს სანუკვარ სურვილად ექცა გაეცნო თავისი სამშობლო ალფონს დოდესთვის; 1875 წელს მამა პარიზიდან საქართველოში წამოვიდა, 1877 წელს რუსეთ-თურქეთის ომი დაიწყო და იგი ფრონტზე წავიდა კორესპონდენტად; ამას მოჰყვა კონფლიქტი ცენზურასთან, სასამართლო პროცესი ამის გამო და 1880 წელს მამა ჯერ სტავროპოლში გადაასახლეს, უვადოდ, მერე ნაროდოვოლცების მიერ მეფის მოკვლის შემდეგ, 1881 წლის შემოდგომიდან სტავროპოლში გადაკარგვა პეტერბურგით შეუცვალეს, უვადო დასჯა კი ხუთი წლის ვადით, 1881-1886 წლებით.

იმ ხუთწლეულში რუსულ ჟურნალებში და რუს მწერლებთან მუშაობაში ჩაბმული მამა რამდენჯერმე იყო პეტერბურგიდან პარიზში მივლინებული: 1882 წელს, 1884-ში და, ბოლოს, 1885 წელს, ვიქტორ ჰიუგოს დასაფლავებაზე. სამივეჯერ მას ძლიერ თბილი შეხვედრები ჰქონია დოდესთან, რომელიც ახლა დიდად დაინტერესებული იყო რუსული მწერლობით. განსაკუთრებით მას აქეთ, რაც დოსტოევსკის და ტურგენევის გარდაცვალებამ ერთგვარად გაამახვილა მთელი მსოფლიოს ყურადღება მათი შემოქმედებითი მემკვიდრეობის მიმართ, მამა ამბობდა, რომ დოდეს ამ ორი მწერლიდან ტურგენევი უფრო მეტად აინტერესებდა, არაერთი საუბარი ჰქონია მის ნაწერებზე და პიროვნებაზე მამასთან. დოდეს აინტერესებდა მამაჩემის აზრიც ტურგენევის როლსა და ადგილზე რუსულ ლიტერატურაში. ამის გარდა, ისინი ხშირად საუბრობდნენ ტოლსტოისა და დოსტოევსკიზე. იმჟამად ხომ სამივე ამ მწერლის ნაწერები ფრანგულადაც გამოდიოდა და დოდე გულმოდგინედ ეცნობოდა მათი წერის მანერას, სტილს. მამა ამბობდა, რომ ჰიუგოს დანაფლავებაზე დოდეს უთქვამს მისთვის — რუსეთის ამ გენიალურ მწერალ-ნოვატორების გაცნობამ ჩემს კალამზეც მოახდინა გარკვეული გავლენაო, ისევე, როგორც, თქვენივე საშუალებით, თქვენს გულმგზნებარე ხალხთან და სამშობლოსთან დაახლოებამ მე სულ ახალნაირად ამინთო გული და თვალებიც ამიხილა, როგორც მოქალაქეს და როგორც ჩემი სამშობლოს შვილსაო.

შემდგომი მათი შეხვედრა მოხდა უკვე 1889 წელს, პარიზის საიუბილეო მსოფლიო გამოფენაზე, როცა საფრანგეთმა თავისი დიდი პირველი რევოლუციის ასი წლისთავი იზეიმა (1789-1889). პარიზმა ეს გამოფენა უკვდავყო 300-მეტრიანი ეიფელის კოშკის აგებით, რომელიც რკინის გიგანტური ისრის სახით აიტყორცნა პარიზის ცაში.

მოპასანი, როგორც ცნობილია, ძალიან უარყოფითად შეხვდა ამ კოშკს, პრესის ფურცლებზეც გამოვიდა — ეს კოშკი პარიზს მის უნიკალურ, განუმეორებელ სახეს უკარგავსო. მამა კი, პირიქით, აღტაცებული იყო ტექნიკის ასეთი თავისებური სიახლით, უხაროდა, რომ გაჩნდა ასეთი მაღალი გადასახედი, საიდანაც შეიძლებოდა თვალი მიგეწვდინა მთელი პარიზისა და მისი მიდამოებისათვის. ოცდაორი წლის წინ მამა ბაწრებით დამაგრებული ჰაერბურთით სწორედ ამავე ადგილიდან ავიდა პარიზის ცაში, ოღონდ სამჯერ უფრო ნაკლებ სიმაღლეზე.

დოდე ამ საკითხშიაც მამაჩემის მხარეზე ყოფილა, მასაც ძლიერ მოსწონდა ახალი კოშკი.

იმ ხანებში ჯიხაიშში ახლად დასახლებულ მამას პარიზელი მეგობარი თავის სოფელში დაუპატიჟნია, ერთად წავიდეთ ახლავეო, მაგრამ დოდეს უთქვამს. ჯერჯერობით ეს სიამოვნება ჩემთვის მიუწვდომელიაო. ამიტომ მას უთხოვნია მამასათვის, რაც შეიძლება მეტი ფოტოსურათები გამომიგზავნე, რომ ჯერ შორიდან გავეცნო თქვენს მშვენიერ ქვეყანას, სანამ პირადად შევძლებ თქვენთან ჩამოსვლასო.

მამა სიხარულით შეპირებია და პარიზიდან დაბრუნებისას პირველ რიგში ჩვენი მთა და ბარის საუკეთესო ხედების შერჩევა დაუწყია თავისი ახალი მეგობრისათვის; მაგრამ დოდეს, პირველ რიგში, ადამიანები აინტერესებდა, და მამას დაუწყია დაგროვება ფოტოსურათებისა, რომლებიც გამოაჩენდნენ ქართველთა განთქმულ სილამაზეს, მამაკაცთა ვაჟკაცურ ძალას და მოხდენილობას, ქალთა სინაზესა და კდემამოსილებას. მათ შორის მამას განუზრახავს გადაეღო ფოტო თავისი დედის, ელისაბედ ლორთქიფანიძის ბიძაშვილის, ჯიხაიშელი საშუალო შეძლების მემამულის, ტარიელ ლორთქიფანიძისათვის; ეს იყო ჩვენი კუთხის ულამაზესი მოხუცი, ძველი ქართული ვაჟკაცური თვალადობისა და ტანადობის ნამდვილი განსახიერება. მამას წინასწარ ჰქონდა წარმოდგენილი ის აღტაცება, რომელიც დოდეს ცეცხლოვან ბუნებაში უნდა გამოეწვია ასეთი გარეგნობის მოხუცის ხილვას.

ჩემს პატარაობისას, ოთხმოციან წლებში, ჯიხაიშში ახლად დასახლებული რომ ვიყავით, ერთ-ერთი გამოსარჩევი ნიშანი ლორთქიფანიძეების იმ შტოსი, რომელსაც ტარიელი ეკუთვნოდა — იყო ფაფახის ნაცვლად ან ფაფანაკის ტარება „მამია გურიელივით“ (ჯიხაიშში ამ თავხურვას ფაფანიკი ეწოდებოდა), ანდა ბიძია ტარიელივით „გურულადვე“ თავის წაკვრა თეთრი ყაბალახით (ყაბალახი ზაფხულში აბრეშუმისა იყო და ზამთარში — თივთიკისა); რიონელი თერგდალეულები რამდენჯერმე დაბრუნებიან ჯიხაიშის ამ თავისებურობას: სამეგრელოს და გურიის ელემენტების მოზაიკურ ჩართვას ჩვენს იმერულ გარემოში. მაგალითად, ჯიხაიში (ნაციხარი), და „გოჩა“ (ანუ პატარა) ჯიხაიში — მეგრულია; ეს თავხურვები და ზოგი სხვა წვრილმანი გურული იყო და ა. შ. სხვათა შორის, აქვე მინდა დავუმატო, რომ ერთი ასეთი ფაფანაკიანი ლორთქიფანიძე, სახელად დარისპანი, მარცხენა ხელზე ძეწკვით მიბორკილ მიმინოს ატარებდა, რის გამო მე ის მძულდა თურმე: ცოდვაა მიმინოო, თურმე ვტიროდი ყოველ მის მოსვლაზე.

ბიძია ტარიელის ეზო და სახლკარი ძალიან ახლო იყო ჩვენგან, ხონი-იანეთის შემაერთებელი შარაგზის ვიწრო შესახვევის გადაღმა; მის ოჯახთან ხშირი, ყოველდღიური ურთიერთობისთვის მამას, ჩვენი იქ დასახლების პირველივე დღიდან, სპეციალური გვერდის კარი ჰქონდა გაჭრილი; გარდა თავისი პიროვნული ღირსებებისა, ტარიელ ლორთქიფანიძე კიდევ იმისთვის იყო ჩვენს სოფელში ცნობილი და პატივცემული, რომ მას რამდენიმე „ნასწავლი“ (ე. ი. რუსეთში უმაღლესდამთავრებული), გამოჩენილი ვაჟი ჰყავდა ბაქოში, თბილისსა და ქუთაისში, რომლებიც თავის დედ-მამას არ ივიწყებდნენ, დიდ პატივს სცემდნენ და ხშირად მთელი თავისი ოჯახით მათ ესტუმრებოდნენ.

ტარიელის უფროსი შვილი, ილარიონი ცნობილი პედაგოგი იყო და ჯერ ბაქოს, მერე ქუთაისის რეალური სასწავლებლის დირექტორი. შემდგომში გამოჩენილი მათემატიკოსი ანდრია რაზმაძე მისი მოწაფე იყო ქუთაისში; ჩვენი ცნობილი ექიმი ქალი ანა ქავთარაძე-ლორთქიფანიძე, პეტრე ქავთარაძის ცოლი ილარიონის უფროსი ქალიშვილი იყო.

ტარიელის მეორე ვაჟი კონსტანტინე (კოწია) ლორთქიფანიძე გამოჩენილი ექიმი-თერაპევტი იყო ჯერ ბაქოში, მერე თბილისში და დიდი საავადმყოფოების დირექტორი და ხელმძღვანელი. მესამე ვაჟიშვილი ბესო ტექნიკის დარგში მოღვაწეობდა.

მაგრამ შვილებზე უფრო მეტად ბიძია ტარიელს სახელი გაუთქვა ორმა ადამიანმა, რომელთაც მძიმე ხვედრი ხვდათ — ისინი „გააციმბირეს“ და კატორღაში გაგზავნეს. ორივე მწერალი იყო, პუბლიცისტი და ცნობილი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე. ერთი იყო მისი დისწული, გიორგი ლასხიშვილი; მეორე კი — ვფიქრობ, მარტო ჩვენში შეიძლება ასეთ ახლობელს ნათესავი ეწოდოს — ცოტა ძნელი დასახსომებელია, თუ რა იყო ეს მეორე ტარიელისათვის: ტარიელის ბიცოლა (თუ არ ვცდები, ანა), მამაჩემის და ხელთუფლიშვილების დედისდედა, ფირან ლორთქიფანიძის მეუღლე, 1829 წელს დაქვრივდა ჯიხაიშში, რადგან ფირანი თურქეთის ფრონტზე დაიღუპა, ფოთის განთავისუფლების დროს. უფრო გვიან ფირანის ქვრივი კულაშელმა მიქელაძემ ითხოვა, რომლის ქალიშვილის, მაიას ვაჟი იყო გიორგი ზდანოვიჩი-მაიაშვილი. მაიას მეუღლე და გიორგის მამა, ფელიქს ზდანოვიჩი 1831 წლის პოლონეთის აჯანყებისთვის საქართველოში გადმოსახლებული „ინსურგენტის“ შვილი იყო და მისი მამის ცეცხლოვანი, დაუმორჩილებელი ბუნება, როგორც ჩანს, შვილიშვილში გამეორებულა. ზდანოვიჩს ხომ „თმაც ცეცხლისფერი ჰქონდა“, აკაკის თქმით.

ამრიგად, გიორგი ზდანოვიჩი იაკობ ნიკოლაძის და ბესარიონ ხელთუფლიშვილის შვილის დეიდაშვილი იყო, ტარიელ ლორთქიფანიძისათვის კი ბიცოლის შვილიშვილი უკვე სხვა მეუღლისაგან.

მამაჩემს, მამიდა ანიჩკას და აკაკი წერეთელს ძალიან უყვარდათ ასეთი აწეწილი ნათესაური ხაზების „ამოხსნა“; მამიდა კატო კი ასეთი „უსაქმური თავადური დროსტარების“ მტერი იყო და ამგვარად დახლართული გორგლების ამოხსნას რომ დაიწყებდნენ, წყრომით შესძახებდა ხოლმე: „— ბეჩა, აკაკი, არ გააჭირეთ საქმე მაგ თქვენი ქვისლმძახალ-ნათესაობით?! ასე რომ გაჰყვე, ალბათ, რუსხელმწიფეც ჩვენი ნათესავი გამოვაო“.

მაგრამ, დავუბრუნდეთ ისევ ტარიელ ლორთქიფანიძეს. ტარიელი მამაჩემსაც და გიორგი ზდანოვიჩსაც თავის „დისწულებად“ სთვლიდა; ისინი კი მას ბიძია ტარიელს უწოდებდნენ, ჩვენ კი — ბაბუას.

1877 წელს „50-ის პროცესის“ განაჩენით გიორ-

• იხ. „დროშა“, № 4.



ეროვნული ბიბლიოთეკა



ბაბუა ტარიელი.

გი ზდანოვიჩი „გაიციმბირეს“, რაც ბიძია ტარიელს სიკვდილივით უგლოვია და გამოუტირია.

ზდანოვიჩმა სასჯელი რომ მოიხადა და შინ დაბრუნდა, ახლა ტარიელის დისწული, მეორე გიორგი, გვარად ლასხიშვილი ჩაუვარდათ ხელში ჟანდარმებს. 1889 წლის ზაფხულში მასაც „ციმბირი გადაუწყვიტეს“.

რა ამბავი დატრიალებულა ამის გაგებისას ჯიხაიში, ტარიელის ოჯახსა და ნათესაობაში! პატიმარი ქუთაისის „ნაობახტში“ იჯდა; და ამიტომ დედაჩემს, რომელიც პატიმრის დის, ნინო ლასხიშვილის მეგობარი იყო და, ამას გარდა, სთვლიდა, რომ ისიც ვალდებული იყო ილიას გაზეთის გამო დასჯილისთვის რამე პატივი ეცა, დაუპირებია ქუთაისში წასვლა მამაჩემთან ერთად; როგორ გასწყრომია ამისთვის ბიძია ტარიელი: — ჩვენ უნდა ვეახლოთ ჟანდარმებს? ეგ რავა გეკადრებათ შენ და ნიკოს! თუ გინდათ დაეხმაროთ ჩემს გიორგის, დაე ნიკო მივიდეს ჭავჭავაძესთან თბილისში და ორივემ იქიდან აბრძანებიონ ქუთაისში, რომ ჩემი დისწული გამოსათხოვებლად აქ, თავის ოჯახში მოგვიყვანონ იმ ჯალათებმაო!

ვინ აუსრულა ბიძია ტარიელს ეს გეგმა, უკვე აღარ ვიცი; ფაქტი კი ფაქტად რჩება, რომ გიორგი ლასხიშვილი მართლაც მოიყვანეს ჯიხაიში ტარიელთან საპატიმროს ეტლით და ჟანდარმთა ორი ოფიცრის თანხლებით!

ღმერთო, რა გლოვითა და მოთქმით, რა გულსაკლავი ტირილით ჩატარდა ეს გამოთხოვება ბიძია ტარიელის ეზოში, ნახევარი ჯიხაიშის მოსახლეობის თანდასწრებით! ის „ჯოჯოხეთის წუთები“, სისხლისფრად აალებული საღამოს ცა და გულისშემძვრელი ქვითინი მეც კი მახსოვს დღემდე, თუმცა მაშინ ოთხნახევარი წლისა უნდა ვყოფილიყავ, თუ არ ვცდები.

ქუთაისი რა შუაში იყო, მაგრამ მას აქეთ ბიძია ტარიელს ეს ქალაქი შეძულებული ჰქონდა და მისკენ გახედვაც კი აღარ უნდოდა დიდი ხნის განმავლობაში. ამიტომ მამას გეგმის განხორციელება ბაბუა ტარიელისათვის სურათის გადაღების თაობაზე, ყველასათვის მოულოდნელად, ძალიან გართულდა; ჯიხაიში იმჟამად ფოტოგრაფი არავის ენახა; საჭირო იყო ბიძია ტარიელის ქუთაისში წაყვანა. მაგრამ ამაზე, აბა, ვინ მოახერხებდა მის დათანხმებას? მამაჩემის თხოვნა და ხვეწნა მან ახლოც კი არ მიიკარა: თუ ჩემი დახატვა ნებავთ, თვითონ მობრძანდნენ აქ, გზა ხომ უკვე იციანო.

მაგრამ მამას მოხუცის ამ გაჯიუტებამ გული არ გაუტეხა, მან გადაწყვიტა თავისი განრისხებული ბიძის სიტყვა პირდაპირი მნიშვნელობით განეხორციელებინა: შეახტა თავის ცხენს, რომელსაც სოკრატი ერქვა, მიაქროლა ის ქუთაისში და იქიდან საუკეთესო ეტლით საუკეთესო ფოტოგრაფი „აახლა“ თავის ბიძას; ფოტოგრაფს თან წამოეღო უშველებელი აპარატი, მისი დასამაგრებელი „აქლემის სიმაღლის“ სამფეხით, კასეტ-ფირფიტებით სავსე სკივრისოდენა ყუთით და აპარატზე გადასაფარებელი საბნისოდენა შავი მაუდით; აი ასეთ „მძიმე არტილერიას“ მოითხოვდა წარსულ საუკუნეში სულ უბრალო ფოტოს გადაღებაც.

ფოტოგრაფის ამ ეტლს, ცხენზე ამხედრებული ნიკო ნიკოლაძის თანხლებით, ტარიელის ეზოსთან მისვლამდე ჯიხაიშის ბაზარი გამოუვლია და ისე დაუინტერესებია იქაური ხალხი, რომ მამა გაუჩერებიათ — რა ამბავია და სად მიდიხართო. შემდეგ ნახევარი ეს ხალხიც უკან მოჰყოლია მათ ბაბუა ტარიელთან, სადაც ეტლის და მამაჩემის ბედაურის სოკრატის გამოჩენას ასევე დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია.

მაგრამ, ვაი ასეთ მისვლასო! — ხშირად იგონებდა მამა იმ თავისი „ფოტო-იერიშის“ ეპოპეას. ქუთაისზე სულ ტყუილ-უბრალოდ განრისხებულ, დისწულზე მგლოვიარე მოხუცს ისე მტრულად და მედიდურად მიუღია საბრალო, ასევე ყოვლად უდანაშაულო ფოტოგრაფიც, მისი ჯიუტი მომყვანიც, რომ კინაღამ ორივესთვის ფარ-ხმალი არ დაუყრევინებია! ფოტოგრაფმა თურმე დაუწყო ვედრება: გთხოვთ, აქეთ გამოიხედოთ, ბატონო ჩემო, გთხოვთ ასე მოტრიალდეთ, ამ სკამზე სჯობს თქვენი დაბრძანებაო და სხვ. მაგრამ მოხუცს არც თვით გადამღები მიუკარებია ახლოს, არც მისი თხოვნისათვის მიუგდია ყური — თავხურვა და ჩოხის კალთები გაისწორეთო.

ბაბუა ტარიელი, რაც ის მახსოვს, სულ შავი ჩოხით დადიოდა, თეთრი ყაბალახი გურულად ჰქონდა წაკრული, რაც საოცრად უხდებოდა მის ადრე გათეთრებულ თმას და გიშერივით შავ თვალ-წარბს და წვერ-ულვაშს; მამას მიყვანილ ფოტოგრაფს ის რომ დაუნახავს ეტლიდან, აივანზე, თურმე წამოუძახნია:

— ოჰ, რა დიდებული ობიექტიაო!

ბაბუა ტარიელს კი არც ეს მოსწონებია და კინაღამ უარი უთქვამს გადაღებაზე, ამის გამო. მამა, თურმე, სულ კანკალებდა, ვაითუ სულ ჩამეფუშოს ეს საქმეო.

დიდი წვალების შემდეგ, მრავალტანჯულ ფოტოგრაფს, როგორც იქნა, მარტო პროფილით მოუხერხებია თავისი მიუკარებელი ობიექტის გადაღება. პირდაპირ გამოხედვაზე კი, თურმე, მოხუცი ვერასგზით ვერ დაუთანხმებიათ, ვერც საბრალო ფოტოგრაფს, ვერც მასზე არანაკლებად დაქანცულ მამაჩემს.

ორ საათზე მეტი გაგრძელებულა ეს განუმეორებელი ორთაბრძოლა, რომელიც ნამდვილი მხატვრული ფოტოშედევრის მიღებით დამთავრდა. როგორც საფრანგეთში, ისე ნევას ნაპირებზე ამ სურათს ყველგან ალტაცება გამოუწვევია, სადაც კი მამას ის უჩვენებია თავისი მეგობრებისთვის თუ ნაცნობებისთვის.

მაგრამ, სამწუხაროდ, მამას ის მეგობარი, რომლისთვისაც მან მთელი ეს ამბავი ასტეხა, ალფონს დოდე, მას პარიზში უკვე დამბლადაცემული, ბორბლებიან სავარძელში ჩამჯდარი დახვედრია. უსიტყვოდაც ცხადია, რა მძიმე იქნებოდა ორივესთვის ეს შეხვედრა!

რა თქმა უნდა, ახლა ალფონს დოდეს ჯიხაიშისაკენ წამოსვლაზე ლაპარაკიც კი ზედმეტი იყო! ორი, თუ სამი წლის შემდეგ დოდე გარდაიცვალა.

თეიმურაზ ჯანგულაშვილი

## ცხენები

ყირგიზული სურათებიდან

თვლემენ ქარები ნარზენალები,
გაოფლილები მთებში ჭენებით;
ნაპერწკლებს აღარ ჰყრიან ნალები
და ნაწვიმარზე სძოვენ ცხენები.

ნაჩლიქარები ველზე მოფინეს
და ლურჯი ტბის პირს გაუნაპირეს,
თითდაუდებელ ნოხად ფოფინებს
მათი ზურგები საუნაგირე.

არ ილესავენ ლაგმებზე კბილებს,
რძით დატენილი მიაქვთ ცურები,
მწვანე მდელოზე მოშავო ჩრდილებს,
ვით ღრუბლის ფთილებს მიაცურებენ.

და ძროხებივით დამძიმებულებს
ჩლიქებით მდელო გადაუნაყავთ
და ზეზეურად ჩაძინებულებს
ალვირი მხოლოდ სიზმრად უნახავთ.

მთათა დუმილში, ველთა დუმილში
წყნარად ღიღინებს მწყემსი მწველავი;
მზად აქვს სტუმრისთვის
ჯამი კუმისის,
ცხენის მჟავე რძით გასაფერავი.

ყირგიზულ თიხის ჯამსა სინჯავენ
ჩემი თითები მზით გარუჯული,
შემილიტინებს ყელში სიმჟავე
და კუმისსა ვსვამ თვალდახუჭული.

აბრიალდება ხსოვნის ტალღები,
ვით გამშრალ კვარზე ცეცხლის წანთება,
ფიცხი ცხენები ჩემი ბალღობის
თვალს წამიერად დაელანდება.

გამახსენდება ცხენები ომში, —
ჩემს მკერდზე მათი გრგვინავს ტორები,
დაუტევარნი სივრცეში, დროში
კვლავ ბრძოლის ველზე მიმაქროლებენ.

თვალწინ ცოცხლდება წარსული ჩვენი,
მტრის წყალდიდობა, სისხლის წვიმები,
სამნი: მხედარი, ხმალი და ცხენი
იყვნენ მამულის ფარიც, იმედიც.

ცხენს ელვად მიაქვს ერეკლეს ხმალი,
ცხენი დასტირის მოკლულ კიკვიძეს...
შევსვი კუმისი,
გავალე თვალი,
თითქოს სიზმრიდან გამოვიღვიძე.

ისევ იქ ვიყავ, ისევ ცხელოდა,
ველს ათრთოლებდა რაღაც ნაღველი.
და დაჰკარგვოდათ ცხენებს ცხენობა
და შერჩენოდათ ცხენის სახელი.

მანქანებს ერქვა რაშიც, მერანიც —
სახელი, მათი სადიდებელი;
მანქანით დაჰქრის მწყემსიც, მწველავიც,
ქალიც და კაციც, ყრმაც და ბებერიც.

კოშში რომ ედგათ ოდესღაც ქარი,
მანქანით დაჰყავთ თვითონ ცხენებიც,
დაძროხებულებს შევავლე თვალი,
მოვუთათუნე ზურგზე ხელები.

ყუჩობენ, თითქოს წასულან ძილში,
დაკიდებულნი კანჭებს ფუტუროს,
მოტორის ხმაზე დაფეთდნენ შიშით
და ფეთიანად მზეს შეჰფრუტუნეს.

მათი ფრუტუნი ცირკში, კინოში
და იპოდრომზე გაიგეს მხოლოდ...
თავი შევყავი ფიქრთა გრილოში
მივალ, მივთელავ ღვიას და ღოლოს.

— ქვეყნად სხვა არვინ არ ნახოს მზემა
საკუთარ ბედზე დამდურებული...
შორს სადღაც დამრჩა ცხენების რემა,
როგორც მდინარე დამდორებული.

# ღიმილი



**დიმიტრი მირიანაშვილი**

მოთხრობა

ვასილი ტანმორჩილი ჭაბუკი იყო, სიფრიფანა ტუჩები და თხელი ცხვირი ჰქონდა. ზამთრის ქუდი და მაზარა გეგონებოდათ თავისი კი არა, ნათხოვარი აცვიაო, ისე დიდი ჰქონდა. ვისაც გულს გადაუხსნიდა და დაუმეგობრდებოდა, უყვებოდა საინტერესო ამბებს, მსმენელსაც აცინებდა და თვითონაც გულიანად ხარხარებდა.

ვასილის ოჯახური მდგომარეობა არ ვიცოდი მაშინ, მაგრამ ბუნდოვნად მაგონდება, რომ ფრონტზე წასვლამდე, როცა ჯერ კიდევ დიდი ქალაქის ერთი სკოლის შენობაში ვიყავით დაბანაკებულნი, ეს ჭაბუკი ესაუბრებოდა ხოლმე ვიღაც ახალგაზრდა ქალს, სკოლის ფართო დერეფანში რომ გამოჩნდებოდა ხანდახან. ვფიქრობ, ვასილი ცოლიანი უნდა ყოფილიყო და შვილებიც ჰყოლოდა.

ხშირად მის ახლოს ვხედავდით ხანში შესულ კაცს, მისი კარის მეზობელ ისაის. შვილოო — ასე მიმართავდა ხოლმე ისაი.

მზვერავთა ათეულში ვასილის ფოცხვერს ეძახოდნენ. უჩინრად გაძვრებოდა გაუვალ ბუწკნარში, სადაც ვერც ერთი ძე ხორციელი ვერ მოახერხებდა გასვლას, შეუმჩნევლად მიეპარებოდა მტრის ყარაულს... და ასე მოჰყავდა მოენეები. მაინც მისი ტრაბახი არავის გაუგია, შეუმჩნეველი და უთქმელი კაცი იყო.

როგორც სადაზვერვო ათეულის სხვა მებრძოლები, ისიც თამბაქოს ფაბრიკის მუშა იყო. მარტო მე და მიხეილ გოლდმანი ვიყავით უნივერსიტეტის კურსდამთავრებულნი (ველარ გამიხსენებია, რა ვითარებაში მოვხვდით მოხალისეთა ამ ქვეგანაყოფში მე და მიშა).

ზამთარი იყო. მდინარე ვოლხოვის რომელიღაც ღრმაკალაპოტიან შენაკადის ნაპირას ვიდექით. ირგვლივ დაბურული ტყეები აღმართულიყვნენ. მდინარის პირას ერთადერთი, ხის მორებისაგან შეკრული სახლი იდგა. ჩვენი პოლკის შტაბს ამ სახლში ჰქონდა დროებითი სადგომი.

ახლად იყო შებინდებული. მე წინა ღამით ვიყავი დაზვერვაზე, მერე გამოვიძინე და ის-ის იყო ავდექი. ათეულის მეთაურმა, მაღალმაღალმა, გამხდარმა, მუდამ შუბლშეკრულმა, მაგრამ უაღრესად გულკეთილმა, პუტილოვის ქარხნის მუშამ ტიტოვმა შვიდი კაცი ამოიკითხა, მათი გვარები, ვინც ამ საღამოს უნდა წასულიყო დაზვერვაზე. მათ რიცხვში იყო ვასილიც. მზვერავებმა მიიღეს სურსათი, ივახშმეს, მოიხურეს თეთრი წამოსასხამები და კარგად რომ დაღამდა, წავიდნენ.

ჯერ კიდევ ქალაქში ყოფნისას, მაშინ, როცა ჩვენი პოლკი არ იყო ჩამოყალიბებული, და ჯერ ფიციც არ მიგვეღო, ჩვენთან, მოხალისეთა ლაშქარში მოვიდა ორმოციოდე წლის კაცი, ვასილის კეთილისმსურველი და მეზობელი, სახელად ისაი, ზემოთ რომ ვახსენე. ბევრმა თავიდანვე შეატყო რაღაც უცნაურობა, არასოდეს დამავიწყდება მისი გამხდარი, შავგვრემანი, ნაღვლიანი კი არა, შეშფოთებული სახე, მუდამ წელში ოდნავ მოხრილი მიმოდიოდა და თავისთვის რაღაცას ბუტბუტებდა, ასე იყო თითქმის ოცდაოთხი საათის განმავლობაში. ან რა ძალა, რა ენერგია ჰქონდა, რომ არ იძინებდა არც დღისით არც ღამით.

ისაი რომ დაიღლებოდა, ვასილის საწოლთან ჩამოჯდებოდა, მაშინ ჭაბუკი ანუგეშებდა, ამხნევებდა, ემუდარებოდა ყოფილიყო მშვიდად და არ ეფიქრა ხვალინდელ დღეზე, მაგრამ ისაი მას არ უსმენდა, მხოლოდ ვიშვიშებდა და ოხრავდა.

დღისით სამეცადინოდ გავყავდით მეთაურებს, გვასწავლიდნენ იარაღის ხმარებას, სანგრების გათხრას, სიარულს, ნაშუადღევს, სადილის შემდეგ, ისევ სკოლის შენობაში ვბრუნდებოდით და თავისუფალ დროს, მე და მიშა წიგნებს ვკითხულობდით. კითხვით რომ ვიღლებოდით, ვიძინებდით; ისაი კი აგვივლიდა და ჩაგვივლიდა, ხანდახან ძილბურანში მყოფ მიშას მიადგებოდა და ეუბნებოდა:

— მიშა, მე პროვიზორი ვარ, წამლების კეთება ვიცი, უთხარი მეთაურს, გადამიყვანონ აფთიაქში... უთხარი, ვიდრე ფრონტზე არ წავსულვართ... — და ეს მუდარა განა პირველი იყო! მიშამ ჯერ წესიერი პასუხი გასცა:

— მე ვინ რას მეკითხება, თქვენსავით რიგითი ჯარისკაცი ვარ.

მაგრამ ისაი ვერ ჩამოიცილა ზრდილობიანი პასუხით. შებეზრებულმა გოლდმანმა რამდენჯერმე შეუტია კიდეც, მომეშვიო, მაგრამ ისაი თავისას არ იშლიდა.

ისაი ახლა ჩვენ ჩაგვაცივდა, ხშირად დადიოდა მეთაურებთანაც, სთხოვდა იმას, რაც ყველა ჩვენგანისთვის ჰქონდა ნათხოვარი; ასეთი აბეზარი საქციელის გამო ბევრს შესძულდა ისაი. განა რას თხოულობდა იგი, თავის ადგილს, „ჩემს ადგილზე მე უფრო მეტს გავაკეთებო"; და ისაის ამ მოთხოვნას ყველა ასეთ პასუხს აძლევდა:

— არც ერთი არ ვართ თავის ადგილას, ყველა აკეთებს, რაც საჭიროა, როგორც შეუძლია!

ერთხელ მე და მიშა ფართო დერეფანში ვიდექით და რაღაცაზე ვლაპარაკობდით. ისაი ჩვენთან მოვიდა.

— გესმის, მიშა, — და თან ხელით აჩვენებდა კედლის გაზეთს, ჩვენს გვერდით რომ ეკიდა, — აი, ხედავ, ამ გაზეთს? მე უმაღლესი განათლება მაქვს, წერა შემიძლია, გავასწორებ კიდეც. მიშა, გამიგე, ავადმყოფი ვარ... არავის სურს მომისმინოს... — მიშამ შეუბუზღუნა, მგონი შეაგინა კიდეც, ზურგი შეაქცია. შეურაცხყოფილი ისაი ცივად გაგვშორდა.

ვიდრე ფიცს მივიღებდით, ერთ დღეს ისაი საავადმყოფოში წაიყვანეს. ეს რომ ბიჭებმა გაიგეს, ბევრმა არც კი დაიჯერა მისი ავადმყოფობა, მაგრამ რა მოხდა შემდეგ, ვერ გავიგეთ. ისაი აღარ გამოჩენილა.

დეკემბრის შუა რიცხვები იყო. ბურუსიანი ღამეები ჩამოწვა. თოვდა. მზვერავები დაბრუნდნენ. მტრის ჩასაფრებას წასწყდეტოდნენ. ჩვენებიდან ერთი მოეკლათ, სამი დაეჭრათ. ვასილი მძიმედ იყო დაჭრილი. საკაცით მოიტანეს სანგრებთან. მაზარის ზემოთ თეთრი ხალათი ეცვა. თვალები ჩასცვენოდა, ცხვირი უფრო მეტად გასთხელებოდა, შუბლთან ღრმა ნაოჭები ხანშიშესულის იერს აძლევდნენ. მომეჩვენა, რომ ერთ ღამეში ის მობერდა და თავის ასაკს სამჯერ გაუსწრო. ფეთქადი ტყვია ისეთ ადგილას მოხვედროდა, რომ, ექიმის თქმით, მისი წუთები დათვლილი იყო. ვასილი ტკივილებისაგან იტანჯებოდა. ექიმმა განკარგულება გასცა მძიმედ დაჭრილისათვის წყალი არ მიეცათ. როცა წყალზე უარი უთხრეს, რომელიღაც მზვე-

რავმა წამოიძახა: არაყი მიეცით და ტკივილებს შეუმსუბუქებსო. ამის შემდეგ დაჭრილმა აიჩემა და სულ არაყს ითხოვდა, მაგრამ ვის შეეძლო ექიმის ბრძანების დარღვევა, ეგეც არ იყოს, ჩვენც ვიცოდით, მიიღებს თუ არა დაჭრილი სითხეს, გათავებულია!

— გესმის, დიმა, — მითხრა მისუსტებული ხმით დაჭრილმა, — ვიტანჯები, შემიცოდე, ვიცი, ველარ გადავრჩები, არაყი დამალევინეთ, გამაბრუებს, გამიადვილებს სიკვდილს. შენ მაინც დამალევინე, გეხვეწები, გამიგე... — სვენებ-სვენებით, ძლივს გასაგონად მემუდარებოდა ვასილი.

მე უნიათოდ ვუპასუხე, რომ ეს არ შეიძლება და მის საკაცესთან მუხლებზე ჩავიხარე. დიდხანს ვანუგეშებდი. პირგამშრალი ბიჭი ჩემს თვალწინ იწვოდა, წყალს თხოულობდა.

რა იყო ეს აჩემებული მუდარა — მიგვეცა არაყი — განწირულის უბრალო კაპრიზი თუ გადაწყვეტილება კაცისა, რომელმაც ნამდვილად იცოდა, რომ გაბრუებული სხეული ველარ იგრძნობდა ვერც ტკივილს, ვერც სიკვდილს, თუ მართლა უნდა მომკვდარიყო! აჩემებული მისი თხოვნა მაფიქრებინებდა, რომ მან იცოდა, რას აკეთებდა, იცოდა, რომ ამაზე საშინელი რამ აღარ შეიძლებოდა მოვლენოდა მას და ამიტომ ეს მუდარა წყალწაღებულის მუდარა იყო — შეემსუბუქებინათ მისთვის დარჩენილი წუთები, ვიდრე სხეული გაუძლებდა. მისი აჩემებული თხოვნა — მიგვეცა მისთვის არაყი, მაფიქრებინებდა რომ მას ათჯერ მაინც ჰქონდა გადატანილი, ერთხელ კი არა, ათჯერ, ასეთი რამ, მან თითქოს იცოდა რა იყო სიკვდილი. ამიტომ გვეხვეწებოდა შეგვესრულებინა მისი უკანასკნელი მუდარა, თითქოს არაყი სიცოცხლის ელექსირი ყოფილიყო. ჩვენ კი ამაზეც უარს ვეუბნებოდით, რაღაცის იმედი მაინც გვქონდა.

ვის შეეძლო ასეთ დროს მისთვის ეშველა? არავის. ყველას თავისი საქმე ჰქონდა, ყველა საითღაც მიიჩქაროდა.

გულში ათასი უსიამოვნო გრძნობა მიტრიალებდა. მეჩვენებოდა, თითქოს მიწაზე დასვენებულ ჭაბუკს თავისი გასაკეთებელი გაეკეთებინა — უკანასკნელი მისატანი მიეტანა სამსხვერპლოზე და ყველა ელოდა, როცა მუდარით სავსე მისი თვალები სამუდამოდ დაბნელდებოდა. მე ეს მეჩვენებოდა, და გამოუთქმელი ტკივილით აფორიაქებული, მის სხეულთან ჩამუხლული, რაღაც სისულელეებს ვეუბნებოდი განწირულ კაცს. მაგრამ... მუხლები დამეღალა (მე ისევ ჩემი თავი შემეცოდა!), წელში ავიმართე და ჩემს თავს შევეკითხე: თუკი მედიცინამ უარი თქვა (მთელი „მედიცინა“ ერთი ექიმი იყო), რა შეუძლია „ყურადღებას“, მთელი პოლკიც რომ მთლიანად ყურადღებად გადაიქცეს და ჩემსავით მის მომაკვდავ სხეულთან დაიჩოქოს?! რას შემატებს ეს გაწამებული ვასილის სხეულს? იმ წუთში ერთბაშად რაღაც სიგიჟემ წამომიარა, უცებ მომინდა მთელი პოლკი გამოსულიყო მოწინავე ხაზის ტყეებიდან, მოსულიყვნენ მიწაზე დასვენებულ ვასილის საკაცესთან და მუხლებზე დაეჩოქათ, მთელ პოლკს მის მომაკვდავ სხეულთან დაეჩოქა, მეთაურის თაოსნობით! სწორედ ამ სურვილმა წამომიარა, მაგრამ სულ მალე, ორ-სამ წუთსაც არ ისულდგმულა ამ უცნაურმა სურვილმა და ისევე უმალ გაქრა, როგორც დაიბადა. ეს ხომ ულონობა იყო, ეს ხომ სურვილი იყო, უგვნო სურვილი მოქანცული ფიქრისა, გონებისა!

ცხოვრება თავისი გზით მიდიოდა. ყველას თავისი საქმე ჰქონდა. ვასილიც თავის საქმეს აკეთებდა. თითქოს ამას ისღა დარჩენოდა, მომკვდარიყო და კვდებოდა კიდეც. ის ზრუნავდა ისე წასულიყო მოუსავლეთს, რომ წამება ვერ ეგრძნო — დაბეჯითებით მოითხოვდა არაყს, რომ გონება გაბრუებოდა და ვერ ეგრძნო, თუ როგორ გადადის კაცი ბურანიდან არყოფნაში, სიცოცხლე, როგორ იქცევა არარაობად.

ვასილი არასოდეს არ იყო არყის მოყვარული კაცი: ჰქონდა — დალევდა, არადა იყო თავისთვის, არც გაახსენდებოდა, რომ ქვეყნად ასეთი რამ არსებობს. მე ისიც მჯეროდა, რომ განწირული ახალგაზრდა ჩაგონებული იყო ვიღაც გამოცდილი კაცისგან, რომელმაც იცოდა ამ გაბრუების მომაჯადოებელი ძალა, შეუმჩნევლად რომ მიიყვანს ადამიანს სიკვდილ-სიცოცხლის მიჯნაზე. დაჭრილმა იცოდა, რომ კვდებოდა და თვითონ გამოუწერა თავის თავს წამალი — გაბრუება: დავლევ და ყველაფერი რიგზე იქნება, სიკვდილი ფეხებზეც არა მკიდიაო. იმ წუთებში ეს პატარა, ტანმორჩილი ჭაბუკი ჩემს თვალში იზრდებოდა ბუმბერაზად, გოლიათად, რომელიც ყველაზე დიდი იყო, თვით სიკვდილზედაც კი! მან ამ მუდარით — მისთვის არაყი მიგვეცა — აბუჩად აიგდო სიკვდილი.

იქნებ ის მორწმუნე იყო და მორწმუნეებს ხომ ამ ქვეყნიდან წასვლა ბაღში გასეირნებად მიაჩნიათ! არა, ვასილის ბაღდადი სიცოცხლე იყო, ის ვაჟკაცი იყო, ჩუმი, მხიარული, ცოლის და ორი შვილის პატრონი და აი, ამ ბაღდადის პატრონს სჯეროდა, რომ აქედან წასვლა სამუდამოდ წასვლა იყო იმიტომ, რომ ბაღდადი იწვოდა და ქრებოდა.

საკაცე გერმანელებისაგან მიტოვებულ ძელმიწურში შეიტანეს და ტახტზე დადგეს. ნავთის ლამპა ბჟუტავდა. აუწიეს, სინათლე გვერდიდან ხვდებოდა ვასილის გაწამებულ სახეს. ის ტკივილებისაგან იწვოდა. მას აღარ ჰქონდა ძალა, ამ ჯოჯოხეთურ წამებას აეყვირებინა, აეხმიანებინა. ის ახლა ძლივს გასაგონად ამბობდა ისევ იმას, რასაც წელან — ბიჭებს არაყს სთხოვდა.

ბატალიონის მეთაურმა მოხუც ზემდეგს რაღაც ჩასჩურჩულა. მან დასტურის ნიშნად თავი დაუქნია და გარეთ გავიდა. ცოტა ხნის შემდეგ მათარით და ჭიქით ხელში ზემდეგი ისევ ძელმიწურში გაჩნდა. არაყის დასხმისას ხელები უკანკალებდა. მან ძლივძლივობით ჭიქა შეავსო, მათარა მე გადმომაწოდა, ერთი ხელით დაჭრილს თავი წამოუწია და ნელნელა პირთან მიუტანა ჭიქა. დაჭრილმა ჭიქა დაცალა და ძლივს გასაგონად თქვა: — გმადლობთ. ზემდეგმა მისი სხეული ისევ საკაცეზე დაუშვა.

— კიდევ გინდა? — შეეკითხა მეთაური.

— ჰო, — თვალების მოძრაობით და ძლივს გასაგონად თქვა დაჭრილმა.

ზემდეგმა კიდევ შეავსო ჭიქა, ისევ ისე დაალევინა.

— ახლა როგორ ხარ? — შეეკითხა ზემდეგი.

— ახლა კარგად ვარ, ახლა ვერაფერი ველარ მომერევა, — თქვა ჭაბუკმა და თვალები მილულა, მიყუჩდა, ყველას ეგონა დაიძინაო და მართლაც იყო. დაიძინა და ისე, რომ აღარც გაუღვიძია, მაგრამ მოხდა რაღაც სასწაულებრივი რამ: მიცვალებულს სახეზე ნათელი ღიმილი შერჩენოდა. ტუჩებთან მხოლოდ ღიმილის ხაზები ჩანდა, შუბლიც ფართოდ გახსნოდა; ვინც ვასილის მოღიმარი სახე დაინახა, გაოცდა, გაიკვირვა — მსგავსი რამ არ გვინახავსო. თითქოს რაღაც სასაცილოს უყვებოდა და შუაზე გაწყვეტოდა ეს სიხარულით მონაყოლი, თითქოს რაღაც სასაცილოს უსმენდა და ამას გამოეწვია ეს უკვდავად დარჩენილი ღიმილი.

მეორე დღეს, ძელმიწურის უკან მოკლეტარიანი რკინის ნიჩბებით ღრმა თოვლი გადავხვეტეთ და მიწა გამოვაჩინეთ. მერე სამარე გავთხარეთ და ორი ჯარისკაცის დახმარებით სერჟანტმა ფროლოვმა და მე მიცვალებული ძელმიწურიდან გამოვიტანეთ. მაზარიდან თეთრი ხალათი გადავხადეთ, ფროლოვმა სახეზე თეთრი ნაჭერი გადააფარა და ჯარისკაცებს უბრძანა საფლავში ჩასულიყვნენ. მათ ბრძანება მკვირცხლად შეასრულეს. მე და ფროლოვმა მიცვალებული ავწიეთ და მათ მივაწოდეთ. ჯარისკაცებმა მაზარიანი ვასილი სათუთად დაასვენეს, მაზარა გაუსწორეს და პირიდან გადახდილი თეთრი ნაჭერი ხელმეორედ გადააფარეს სახეზე. მისი ღიმილი სამუდამოდ დაიფარა.

ჯარისკაცებმა აამუშავეს ნიჩბები, მიწის მიყრა დაიწყეს. მე შემაჟრჟოლა. ნიჩაბი ღრმა თოვლში ვისროლე და თეთრ ზვინზე ჩავჯექი. ფროლოვმა მჯდომარე რომ დამინახა, მიყვირა:

— შენ რას შვრები!

— არაფერს, არ შემიძლია მიწის მიყრა.

— რა, ცუდად ხარ? — მან ნიჩაბი იღლიაში ამოიჩარა და ახლოს მოვიდა, — ფერი არ მომწონს შენი, რა, გეშინია?

—არ ვიცი... შიში რა შუაშია... მე მაგის გაღიმებულ სახეს მიწას ვერ მივაყრი... რაც გინდათ, ის მიყავით...

ფროლოვი გაბრაზდა, სახე წამოუწითლდა და ღრიალი დაიწყო:

— ჩვენ რა, მხეცები ვართ?! მიწას რომ ვაყრით, ჩვენ მხეცები ვართ? თქვი, ჩვენ ადამიანები არა ვართ, რომ მიწას ვაყრით?! შენ შეგნებული ხარ? გეცოდება? ასეა, ხომ? ჩვენ არ გვეცოდება? — ყვიროდა ფროლოვი და უშვერი სიტყვებით მაგინებდა. მე თავჩაღუნული თეთრ თოვლს დავყურებდი და ძლივს გასაგონად ჩემთვის ვბუტბუტებდი:

— როგორც გინდათ, ისე იფიქრეთ, არ შემიძლია და ეგ არის... — ნიდაყვები მუხლებზე მქონდა დაყრდნობილი და ხელის გულები სახეზე აფარებული. მისი ღრიალი არ მესმოდა. ისევ მიცვალებულზე, მის ჩაუმქრალ ღიმილზე ვფიქრობდი. ეს რა სასწაული იყო! რატომ იცინოდა, რამ გაახარა, ნუთუ გონების გაბრუებას ამდენი შეუძლია! ნუთუ მართლა ისე კვდებოდა, რომ ველარ გრძნობდა სიკვდილს?! თავი გაბრუებული მქონდა და ძალაუნებურად ვფიქრობდი ამ უწყინარ, მხიარულ, პატარა, მაგრამ ბუმბერაზ ადამიანზე, რომელმაც დატოვა ბაღდადიანი სამყარო, ჩაუქრობელი ღიმილი! რა მოეჩვენა ბიჭს იმ წუთებში, როცა სული მის სხეულს სტოვებდა?! იქნებ ახალგაზრდა ცოლი გამოეცხადა? იქნებ თავის ობლად დარჩენილ ბავშვებს ეთამაშებოდა? იქნებ კვიმატი რამ ჩასჩურჩულა ყურში იხაიმ სიკვდილ-სიცოცხლის გზაჯვარედინზე? ნეტავ რა უთხრა ისეთი, რომ გააცინა მომაკვდავი კაცი!

ფიქრები ველარ დავიმორჩილე.

როდის მოათავეს ჯარისკაცებმა თავისი საქმე და როდის წავიდნენ იქიდან, ვერ გავიგე.

იმ დღით ჩვენმა პოლკმა დატოვა ეს არემარე, გაღიმებული ჯარისკაცი კი იქ, ტყეში დარჩა, მიწის ქვეშ.

# ქართული მელოდიები

იონა ვაკელი



## ნამოსახლარი

რაც უნდა შორს ვიყო, რაც უნდა არ მოხდეს,
როგორ დავივიწყებ მშობლიურ სამოთხეს!
ახლაც თვალწინ მიდგას ხეებზე მაღლარი,
ეზო და ჭიშკარი, ჩემი ნასახლარი...
გალმა — ხილიანში დახხმული ჩხავერი,
ფოთლებით შემოსილი მწვანე ტალავერი...
მახსოვს აქ ლხინიც და ხმა ჭექდა მქუხარი,
ო, როგორ ბურღავდა ცას კვამლით ბუხარი!
აქ მე მიმიღია კაცობის სახელი,
სიცოცხლის ძალაც და ნათელი ნაღველიც.
ხიზმარშიც მანდა ვარ და ძლიერ მაღელვებს —
ძნელად გასასვლელი მაგ ტყე და მაგ ღელე...
ახლა ვის რა ვუთხრა, ან ვისთან ვიდავო,
აღარ ჩანს ის წმინდა მამის კარმიდამო...
დედასაც ვერ ვხედავ ეზოში თავშალით,
არც ცხენი ჭიხვინებს უბელო, ავშარით,
აქ მხოლოდ დროს ბერტყვას გაუძლო მუხებმა,
და თუ ზოგიერთს ემჩნევა ჩამუხლება,
მე მაინც გულს მიკეთებს იმათი ჩერო,
რომ ახლაც ფეხზე დგანან, მამულო ჩემო!



## ურემი

აგერ, ეზოში დგას წინსადგარით
ხარირემივით ძველი ურემი,
ახლაც ისევ ჩანს ამაყად მდგარი —
მძიმე უღლით და აპეურებით.

და ეჩვენება, თითქოს ნამიანს
აქ ჩვილ ბალახს ძოვს ნიშა, ნიკორა,
და დღე კი არა, თითქოს ღამეა
და ტალახიან გზაზე მიგორავს.

მიგორავს, მიდის მტკიცედ შეკრული,
ჩალდაყიც მძიმე შვენის თელასი,
პატრონი ზედ ზის, არ მოხდის რული,
ისმის ღიღინი ოროველასი.

და უცებ შეკრთა, მის გვერდით მძიმედ —
რაღაც მანქანამ გაიხრიალა,
თვალად ნატიფი და მოციმციმე,
თავით ბოლომდე იყო კრიალა.

ეს ელვარება ურემს რად უნდა,
უბრალო ხვედრის არის ჩვეული,
შრომის ფერხულში ჩაბმული მუდამ,
ჯერ არ ყოფილა არსად ძლეული.

და მიდის ასე მძიმე ჭრიალით,
მთვარიან ღამის კრთიან თვალები,
რომ ჩაუვლიან მას გვერდით მგზავრნი —
ხვდებიან ჩუმად და მოკრძალებით.

მათ ახსოვთ ძველი დღენი ყუდარო,
და მაინც ფიქრში ცოცხლობს ურემი.
ასეა, შენ ხალხს თუ უანგაროდ
და პატიოსნად ემსახურები!

## რა ცოტა გვყოფნის

რა ცოტა გვყოფნის, რა ცოტა გვინდა,
ოღონდ კი იყოს გულთბილად თქმული —
გამხნევების ხმა მართალი, წმინდა
და სიხარულით სავსეა გული!
რა დაამოკლებს დიდსა თუ მცირეს
ვნებებს ჩვენ სულში რომ დგას ხალისად,
ერთი ღიმილი თუ დაიჭირე
გზად მიმავალი ტურფა ქალისა...
და შემდეგ თუნდაც გაჰქრეს ვით ფიქრი
წმინდა ჩვენება უფაქიზესი,
მაინც დარჩება შენს გულში იგი,
როგორც უკვდავი სიცოცხლის ფესვი!

რა ცოტა გვყოფნის, რა ცოტა გვინდა!
თვით სული ჩვენი ცოცხლობს ნუგეშით,
ეს რომ არ იყოს, ფიქრები წმინდა
ჩაინთქებოდა მღვრიე გუბეში...
ჩაინთქმებოდა, სულ გაქრებოდა
ბევრი ხითბო და ბევრი ალერსი,
არც სიყვარული არ იქნებოდა
თვით კაცის ცეცხლზე უმხურვალესი.
და მიდის ასე ცხოვრება ჩვენი,
ლაღი ოცნებით ცოცხლდება სული,
უკიდეგანო სიკეთის მჩენი
ნათელ ფიქრებით გარემოცული!

## გუში

ლადო სულაბერიძე

ნეტავი გუშინ ვინ გამიხსენა?
ნეტავი გუშინ ვინ მომიგონა?
ფოთლების კარავი ვინ ამიშენა?
ცისფერი ბურთი ვინ მომიგორა?
ნეტავი გუშინ ვინ მომინატრა?
ნეტავი გუშინ ვის დავესიზმრე?
ვინ გამიხდა მტრად?
ვინ გამიხდა მტრად?
ვინ მიყოფდა ზვრებს?
ვინ მიყოფდა ზვრებს?
დღევანდელი მზეც გადაიწვერა,
საწუთროს ქარმა ჩამომიქროლა.
ვაი თუ გუშინ
მართლა არავინ არ გამიხსენა.
ვაი თუ გუშინ
მართლა არავინ არ მომიგონა.



## ლიახვი

ჩამოვიარე გორები
დიდ ქვათა გორებ-გორებით.
ტალღებში ამოვიკეცე
ჩრდილები შავი ქორების.
სამაჩაბლოში პატარა
თქორითაც დავითქორები.
აქ მოვალ,
გორის ციხესთან
უცებ გავხდები გორელი.
დაფორეჯებულ კალმახთა
გუნდით მტკვარს შევეტბორები,
რომ საქართველოს დიდ გზაზე
გავცვითო ჩემი ტორებით
ტალღებში ამოკეცილი
ჩრდილები შავი ქორების.

## აყვავებულ რტოზე

აყვავებულ რტოზე მღერის
ჩიტი ჩიორა;
აყვავებულ რტოზე დაფრთხა
ნისლი ფიორა.
გული ჩიტის გალობასა
დააჩვიო რა,
კაცი ხარ და, დაეხსენი
მერე იოლად.
აყვავებულ რტოზე მღერის
ჩიტი ჩიორა.



## პოეტის მეუღლეს

მარიკა ჩიქოვანს

ქალბატონო მარიკა,
ეს ზამთარიც გავიდა,
ეს ზამთარიც გავიდა,
თოვლიანი, ცივი,
გმირთა მოედანთან
შენი ციხის ქავიდან
კვლავაც შენი არწივი
ჰყივის,
ჰყივის,
ჰყივის.
შენი ბედლის ხორბალი
რა გულუხვად არიგა,
შენი პეშვით უყრიდი
პეშვზე მწიფე ხორბალს.
წყალი არ მიაკელი,
ქალბატონო მარიკა,
მგოსნის წუთისოფლის
წისქვილისა ბორბალს.
იატაკზე დაჰყარა
გაბზარული რითმები,
ფრთხილად აგროვებდი,
ინახავდი ჩუმად.
შენი ღრუბლის ჩრდილში
წკვარამივით ვრინდდები,
იქნებ ყური მოვკრა
შენს დამალულ გუმანს.
დარეგვს, გამოანგრევს
საფლავს ცხელი სინათლე,
ბრძენის ყოვლისმხედველი
დაშრეტილი თვალის.
კვლავაც იციცინათლებს,
კვლავაც იციცინათლებს
ნაპერწკლები პოეტთან
დაფერფლილი ქალის.
ქალბატონო მარიკა,
ეს ზამთარიც გავიდა.
ეს ზამთარიც გავიდა
თოვლიანი, ცივი.
გმირთა მოედანთან
შენი ციხის ქავიდან
კვლავაც შენი არწივი
ჰყივის,
ჰყივის,
ჰყივის.

# ქალები

## ისე, როგორც ჯუნგლებში

„იყო დრო, როცა ქალებს თავისუფლად შეეძლოთ სიარული ქუჩებში შებინდების შემდეგაც კი. ახლა ასე აღარ არის. ქუჩები და პარკები იქცა ჯუნგლებად, სადაც ადამიანს ყოველ ნაბიჯზე საშინელი საფრთხე ემუქრება... ქალებს თავს ესხმიან ლიფტებში და მეტროს ღერეფნებში, თავს ესხმიან, როცა ექსკურსიიდან შინ ბრუნდებიან, თავს ესხმიან საკუთარ სახლებში, კინოში და სამსახურში".

ასე წერს ვაშინგტონის ჟურნალი „პარეიდი". ამერიკაში ამ მხრივ ყველაზე · უმწეონი ქალები არიან. თვე ისე არ გავა, რომ ამერიკულ გაზეთებში არ დაიბეჭდოს პოლიციის მიმართვა ქალებისადმი. აი, ერთი ასეთი მოწოდება: „ლედი! თქვენი ნამუსი და სიცოცხლე საფრთხეშია! შეძლებით თავის დაცვა!" მაგრამ, როგორ მოახერხოს ეს ქალმა? რჩევა მრავალნაირია: იყიდოს პატარა პოლიციური სასტვენი, რომელიც შეიძლება სამკაულივით გაიკეთო მაჯაზე; შეიძინოს გერმანული ქოფაკი; ხელჩანთით ატაროს ცრემლსადენი გაზით გატენილი სულ პატარა კაფსულა; შეისწავლოს იაპონური ჭიდაობის „ძიუ-დოს" ილეთები და ა. შ. მაგრამ მთავარი რჩევაა: „იყიდეთ! ყვირილი მთავარი იარაღია ქალისა, რომელსაც თავს ესხმიან. იყვირეთ, რაც ძალი და ღონე გაქვთ!"

მაგრამ რაც არ უნდა ხმამაღლა იყვირონ ქალებმა, ეს მათ ცოტათი შველის. გამოძიების ფედერალური ბიუროს უფროსის ჰუვერის აღიარებითაც კი ამერიკაში დანაშაულობანი იზრდება ყოველწლიურად თითქმის ოცი პროცენტით. ეს აიძულებს საღად მოაზროვნე ამერიკელებს ეძებონ ამ სოციალური ფენომენის მიზეზები. აი, მაგალითად, რა დასკვნამდე მიდის ცნობილი ამერიკელი ისტორიკოსი, პრეზიდენტ კენედის ყოფილი თანაშემწე არტურ შლეზინგერი ჟურნალ „სატერდეი რევიუს" ფურცლებზე:

„თანამედროვე ამერიკაში ძალმომრეობისადმი ასეთი კოლოსალური შემწყნარებლობის ერთ-ერთი

# მკვლელები

მიზეზი, რა თქმა უნდა, ის არის, რომ ჩვენი ქვეყანა, მთელი ერთი თაობის სიცოცხლის მანძილზე, მეტად თუ ნაკლებად ხანგრძლივად, ცხოვრობს საომარ ვითარებაში. ეს კი იწვევს ადამიანის სიცოცხლის გაუფასურებას, — კაცი ეჩვევა კაცის კვლას. ხოლო ომი, რომელსაც ახლა ჩვენ ვაწარმოებთ, კიდევ უფრო მეტად უწყობს ხელს გამხეცებას, ვიდრე მეორე მსოფლიო ომი ან ომი კორეაში... როცა ძალმომრეობა კანონდება იმ საქმის სახელით, რომელშიც ხალხი ვერ ხედავს ზნეობრივ მიზანს, ამას არ შეუძლია არ წააქეზოს ცალკეული ადამიანები გამოიყენონ ძალადობა და თავიანთი მანიაკური თვალსაზრისით გამართლებაც მოუძებნონ მას".

შლეზინგერი ძალმომრეობის ატმოსფეროს წარმოქმნის მეორე მიზეზად ასახელებს ამერიკული კინოსა და ტელევიზიის გამხრწნელ გავლენას. გადაშვები მთელი საათობით ხედავენ ეკრანის წინ, ჰიპნოზირებულნი მკვლელობებით, წამებით, მთვრალთა ჩხუბითა და დანების ტრიალით, რომლებიც განუწყვეტლივ ენაცვლებიან ერთმანეთს.

არის ძალმომრეობის კიდევ ერთი მიზეზი: ყოვლისმომცველი მისწრაფება, რადაც არ უნდა დაგიჯდეს, მოიხვეჭო ფული, სიმდიდრე. ამერიკაში დაიბადა და დღემდე ჰყვავის ე. წ. „კიდნეპი" — ადამიანების მოტაცება მდიდარი ნათესავებისაგან ფულის გამოძალვის მიზნით; ბოლო ხანებში ამერიკის პრესა აახმაურა მორიგმა „კიდნეპმა" — მოიტაცეს პრეზიდენტ ნიქსონის პირადი მეგობრის, ცნობილი ფლორიდელი მილიონერის რობერტ მაკლის ქალიშვილი.

# გამტაცებლები

ოცი წლის სტუდენტი ბარბარა მაკლი და დედამისი ტეხასიდან ფლორიდაში მიდიოდნენ. გზად, ქალაქ ატლანტის მახლობლად, ისინი ერთ ჰოტელში გაჩერდნენ. ღამით მათ ოთახში, მოტყუებით, ვითომ პოლიციელები იყვნენ, შეიჭრნენ ორნი: ახალგაზრდა კაცი და ვაჟურად გადაცმული ქალიშვილი. დედას მათ ხელ-ფეხი შეუკრეს, ბარბარა კი თან წაიყვანეს. ერთი დღის შემდეგ მაკლმა ვიღაც უცნობის წერილი მიიღო:

„ბარბარას ხიფათი არ ელის. — ნათქვამი იყო წერილში, — მაგრამ ერთგვარ უხერხულობას განიცდის. იგი ახლა წევს ყუთში, რომელიც ერთ მოფარებულ ადგილას მიწაშია ჩაფლული. აქვს ერთი კვირის სამყოფი წყალი და საჭმელი. შვიდი დღის შემდეგ ბატარიებს, რომლებიც მას ჰაერს აწვდიან, ძალა გამოელევათ და ჰაერის მიწოდება ყუთში შეწყდება. ნახევარი მილიონი დოლარი, ჩემი აზრით, არც თუ ძალიან დიდი ფულია, და თუ ამ თანხას გადაიხდით, მიგასწავლით იმ ადგილს, სადაც შეიძლება ბარბარა ცოცხალი იპოვოთ".

შემდეგ წერილში ნათქვამი იყო, რომ მაკლმა ნახევარი მილიონი დოლარი უნდა ჩააწყოს ჩემოდანში, ჩაიცვას თეთრი კოსტუმი და გაეშუროს ზღვის სანაპიროზე, მაიამის რაიონში, მომტაცებლებთან შესახვედრად. მილიონერმა თანხმობა ფულის გადაბრძანებაზე მომტაცებლებს უნდა აცნობოს გაზეთის მეშვეობით, სადაც გამოაქვეყნებს ასეთ განცხადებას: „ბარბარა, ჩვენ ყველაფერზე თანახმა ვართ".

პოლიციამ თავისი ყველაზე საუკეთესო ძაღლები აამოქმედა ბარბარას საძებნელად. ისინი ჩასაფრებულნი იყვნენ ყოველ ნაბიჯზე, მაგრამ ბოროტმოქმედებმა მათ მაინც ხელი — ერ იდგეს. მომტაცებლებმა ფულით სავსე ჩემოდანი დაავლეს და სროლით მიიმალნენ.

მეორე დილით რადიოთი გადასცეს და პრესაში გამოაქვეყნეს ცნობა, თითქოს ზღვის ნაპირზე პოლიციელები შემთხვევით აღმოჩნდნენ და თითქოს ისინი შემთხვევით წააწყდნენ ბოროტმოქმედებს, და რომ მაკლს არ უთხოვია პოლიციისათვის დახმარება; იგი ძველებურად მზად არის გაიღოს გამოსასყიდი ნახევარი მილიონი დოლარის რაოდენობით.

ბოლოს და ბოლოს, როგორ იქნა გადაცემული ეს ფული, არავინ იცის. ამჯერად ჩასაფრებული არავინ იყო. მაგრამ პოლიციისათვის უკვე ცნობილი იყო დამნაშავეთა ვინაობა. ესენი იყვნენ მაიამის ოკეანოლოგიის ინსტიტუტის ტექნიკოსი ჰარი კრისტი და იმავე ინსტიტუტის ასპირანტი ქალიშვილი რუტ შიერი. დეტექტივები მუშაობდნენ დღე და ღამე: ძიების მიმდინარეობას ხომ თვით თეთრ სახლში ადევნებდნენ თვალს!

ფული რომ მიიღო, ჰარი კრისტმა დაურეკა მილიონერ მაკლს და შეატყობინა ბარბარას ადგილსამყოფელი. ამ დალაპარაკებისათვის მაკლის ბინაში დადგმული იყო სპეციალური ტელეფონი, რომლის ნომერი იცოდა მხოლოდ კრისტმა (და, რა თქმა უნდა, გამოძიების ფედერალურმა ბიურომაც). ასეთი ტელეფონის დადგმის აუცილებლობა წარმოიშვა მას შემდეგ, რაც მაკლის ბინაზე ამერიკის სხვადასხვა ქალაქებიდან შეუწყვეტლივ დაიწყეს რეკვა სავსებო პიროვნებებმა, რომლებიც თავს ბარბარას მომტაცებლებად ასაღებდნენ და ოცნებობდნენ საარაკო გამოსასყიდის თუნდაც მცირე ნაწილის მიღებაზე.

ათობით პოლიციელი გაქანდა მაიამის ახლოს მდებარე ტყეში, სადაც მიწაში იწვა ბარბარა, ეძებდნენ მთელ ღამეს, თითქმის იმედიც კი დაკარგეს და მხოლოდ გათენებისას ერთმა პოლიციელმა გაიგონა ადამიანის ხმა, რომელიც მიწიდან ამოდიოდა. წუთის შემდეგ წააწყდნენ რეზინის მილებს, რომელთა შემწეობითაც სუნთქავდა ცოცხლად დამარხული ბარბარა. მშველელებმა დროზე მიუსწრეს: ბატარიებს უკვე გამოლეოდათ ძალა, ცოტაც და ქალიშვილი მოიხრჩობოდა.

კრისტმა ვერ მოახერხა შორს წასვლა: იგი გარშემორტყმული იყო ჯერ კიდევ მანამდე, სანამ მაკლს სპეციალური ტელეფონით დაურეკავდა. იგი ლამობდა კატერით ოკეანეში დამალვას, მაგრამ აღმოაჩინეს სანაპირო დაცვის ვერტმფრენებმა, მათ მიუთითეს საპატრულო ხომალდებს მისი ადგილსამყოფელი. მდევრებისაგან თავის დასაღწევად კრისტი გადავიდა პატარა უკაცრიელ ტროპიკულ კუნძულზე, რომელიც სავსე იყო გველებითა და ნიანგებით. პოლიციელებმა იგი ჭაობიდან ამოათრიეს. კრისტი იხრჩობოდა და სასოწარკვეთილი ყვირილით მოითხოვდა შველას. ჭაობის ზედაპირზე დარჩენილი იყო მარტო მისი თავი და მარცხენა ხელი, რომლითაც ფულით გატენილი ჩემოდანი ჩაებღუჯა.

რუტ შიერი დღემდე ვერსად იპოვნეს, ვარაუდობენ, რომ კრისტმა წყალში დაახრჩო იგი, რათა მისთვის არ გაეყო ფული.




ეროვნული ბიბლიოთეკა

ილუსტრაციები ვლადიმერ მაიაკოვსკის
პოემისათვის

„ვლადიმერ ილიას ძე ლენინი“

მხატვარი თენგიზ სამსონაძე







# თენგიზ სამსონაძე

ილუსტრაციები ვლადიმერ მაიაკოვსკის პოემისათვის

„ვლადიმერ ილიას ძე ლენინი“









ეროვნული
ბიბლიოთეკა



# საფლავის ქვათა ღაღადის

გიორგი ლომთათიძე

მომდევნო ხანაში, XVIII საუკუნის დამდეგს შემოვყავართ იმ ეპიტაფიებს, რომელნიც მივაკვლიეთ 1949 წელს, უკვე საბარათიანოს, ალგეთის ხეობაში მირჩენილ ერთ-ერთ ნასოფლარში, ძველ ბოგვში („კაკლიანში“). თითქმის მიტოვებულ სასაფლაოზე, „სამკარებიანი საყდრის“ გვერდით ძევს ორი დიდი სწორკუთხა ლოდი, რომლებზედაც საკმაოდ მოხდენილი ხელით არის ამოკვეთილი მხედრული წარწერები. ისინიც დაქარაგმებულია და, ზემოთ განხილულთა მსგავსად, ქარაგმების გახსნითა და თანამედროვე სასვენი ნიშნებით გადმოგვაქვს.

პირველი:

„ქ. საფლავსა ამას მდებარე ვარ მე, საგინასშვილი საამ. ყანდაარს მიცვალებული აქ მამასვენეს, მეფობაში გიორგისა. ვინცა მიხილოთ, შენდობას მიბრძანებდეთ, გევედრებით, ქორონიკონსა ტჲე (1707 წ.)“.

როგორც ჩანს, ეს „ალგეთს გაზრდილი მგელი“, მეომარი აზნაური ყოფილა; შესაძლოა, მას უბრძოლია ავღანეთში, სპარსეთის შაჰის წინააღმდეგ ამბოხებულთა დასათრგუნავად ქართლის მეფის გიორგი XI (1676-1688, 1703-1709 წწ.) მეთაურობით გაგზავნილ ჯარში. იგი იქ „მიცვალებულა“ და მერმე, ჩვენებური ძველი ჩვეულებისამებრ (გავიხსენოთ თუნდაც ბერსუმა ერისთავი III საუკუნეში!), მისი ნეშტი სამშობლოში ჩამოუსვენებიათ და მიწისათვის მიუბარებიათ საგვარეულო სასაფლაოზე — ღონიერი (ჩანს, საგინაანთ კუთვნილი) სოფლის მთავარი საყდრის გვერდით.

ამრიგად, წარწერა გვევლინება ერთ ახალ უტყუარ სამტკიცად იმ კარგად ცნობილი, ჩვენთვის სავალალო ისტორიული ვითარებისა, რომ ირანის შაჰები ყიზილბაშებთან ერთად წარგზავნილი ქართველი მხედრობის ხელითა და სისხლითაც ახშობდნენ ხოლმე თავიანთი ვრცელი საბრძანისის ამა თუ იმ მხარეში აფეთქებულ აჯანყებას. კერძოდ გიორგი XI ასეთი ძალაუნებური ბრძოლა (მისი მეორედ მეფობის დროს) ცნობილია ისტორიულ წყაროებში. ისიც ცნობილია, რომ იგი სწორედ იმ ომში დაიღუპა, 1709 წელს. ახლა კი გავიცანით მისი ერთი, მანამდე „უცნობი ჯარისკაცი“, რომელიც სპარსეთის ტახტის სიმრთელეს შესწირვია შორეულ ავღანეთში, თავის მეფე-მხედართმთავარზე ორი წლით ადრე.

მეორე:

„ქ. მე, მესხი შალიკაშვილი როსტომის ასული და საგინაშვილის, ბოქაულთუხუცეს ზაალის მეუღლე, მთავარეფისკოპოზის იოსების დედა, ბატონი შვენიერი ამა სამარხსა მივეფარე. ვინცავინ მიხილოთ, შენდობასა ყოფდეთ, გევედრები, რათა თქვენაც შეწყალებული იქმნათ. ქორონიკონსა ტპა (1693 წ.).“

მაშ, იმ „სამარხს მიფარებია“ ქართლის მეფის მოხელის ზაალ საგინაშვილის თანამეცხედრე, მესხი ქალი, როსტომ შალიკაშვილის ასული შვენიერი (მართლაც და რა მშვენიერი სახელია ქართველი მანდილოსნისათვის?!). მას საჭიროდ მიუჩნევია თავისი ტომობრიობის აღნიშვნა: ეს ხომ ის ხანაა, როდესაც, მართალია, არც ქართლს ულხინს და არც კახეთს, მაგრამ მესხეთ-ჯავახეთი უკვე მთლად ჰყავთ დატორილი ოსმალებს და მათთან ვერ-შემგუებელნი და ქართველობის მტკიცედ მიმდევარნი მრავლად მოიწევენ იქიდან საქართველოს შიდა, ამ მხრივ უფრო სანუგეშო მხარეებისაკენ. კერძოდ, ქალებსაც აქეთ, „საქრისტიანოში“ ათხოვებენ (გავიხსენოთ თუნდაც ზემოთ აღნიშნული, მეორე ცოლი სულხან-საბასი, სამცხის ათაბაგის ასული!).

შვენიერის ვაჟი დიდი სამღვდელო პირი დამდგარა და ამას საგანგებოდ გვამცნობს ეპიტაფია — ეგებ სულაც მისი შედგენილი? შვენიერი დაუკრძალავთ 14 წლით ადრე, ვიდრე ავღანეთიდან ჩამოასვენებდნენ საამს, რომელიც, შესაძლოა, მისი შვილი ან მაზლი თუ მაზლიშვილი იყო.

ორივე სამარხის ლოდები დაძრული და მათ ქვეშ მიწა აჩიჩქნილი დაგვხვდა,. ხოლო ძვლები — უდიერად მიმობნეული და დანაკლულებულიც. მეგზური გლეხის განმარტებით, „ეს სულ უბრალო საქმეზე მოხდა: ერთს უთქვამს, დამესიზმრა, რომ იმ საფლავებში ოქროა დამარხულიო; ამდგარან, უთხრიათ, ძვლები ამოუყრიათ და კი ვერა უპოვნიათ-რაო“. ასე, ხელმეორედ დალუპულან და „წაწყმედილან“ შენდობის მავედრებელი შვენიერი და საამი — სიკვდილიდან სამიოდე საუკუნის შემდგომ, უგუნური სიხარბის გამოისობით. აქ ისევ გვახსენდება ფიტარეთში დაკრძალული პაპუნა ორბელისშვილის ჭირისუფალთა დაწერილი, „შეძრვად ხელს ნუ მყოფთო!“.

თბილისის შორიახლოს, კოჯრის მაღალი ფლატის ძირობაზე მდებარე სოფელ ლოუბანთან, ნასოფლარ „გალმა ტაგნაგეთის“ ძველი საყდრის გარეთ არის საფლავის ბრტყელი ქვა, რომელსაც აწერია (მხედრულად):

„ქ. საფლავსა ამას... მდებარე ვარ შაყულაშვილის ქალი, ბატონის ქაიხოსროს გამდელი ასმათ. და აწ გევედრები ყოველთა, ვინცავინ წარიკითხევდეთ, შენდობას ბრძანებდეთ. სეკდენბერს ივ (16), ქორონიკონსა, ტბჟ (1704 წ.).“

აქ უკვე ყმა გლეხის ქალი ასმათი გვაცნობს თავს და თანაც იმ გარემოებას, რომელსაც სოციალურად თითქოს გამოურჩევია იგი თანამოძმეთაგან და საგანგებო ეპიტაფიის ღირსად უქცევია: ჩანს, თავადის გამზრდელი ყოფილა და თვით იმ ქაიხოსროს თუ მის სახლობას მადლიერება გამოუჩენიათ, წარწერიანი ლოდი დაუდევთ ამაგდარი „მდაბიო“ ქალის საფლავზე. ეს მომხდარა XVIII საუკუნის დამდეგს.

თანდათან ჩვენს დროს ვუახლოვდებით, XIX-XX საუკუნეებში შემოვდივართ.

ისევ და ისევ ალგეთის ხეობაში, იმავე საგინაანთ სოფელში, ოღონდ ახლა უკვე მაწევანს* მდგარ „კვირაცხოვლის“ ძველ, ასომთავრულ-წარწერიან საყდარში ყურადღებას იქცევს ერთი ბრტყელი სწორკუთხოვანი ლოდი, რომელზედაც მოხდენილი მხედრული ასოებით ამოკვეთილია შემდეგი წარწერა, თითქმის ლექსად გამართული:

„1877-სა ცამეტს ივნისსა  
ბრძოლის ველზედა ზივინსა  
ოცდა ცხრა წლისა ჭაბუკსა  
სამი ტყვია მხვდა ბედკრულსა,  
იქავე აღსრულებულსა.  
არ ვუჩივი ბედსა  
მამა-პაპიდან მამაცი,  
თავგანწირული ვაჟკაცი  
მე, სვიმონ საგინაშვილი,  
რადგან ვპოვეთ დაკარგული,  
ოსმალოსგან შეპყრობილი  
საქართველოს ძმა მამული“.

ეს ეპიტაფია ნამდვილად სისხლით არის დაწერილი. რუსეთ-ოსმალეთის ომში მოკლულ ახალგაზრდა ქვემოქართლელს, ოდესღაც ყანდაარში დაღუპული საამის შორეულ შთამომავალ-მოგვარეს მართლაც შეეძლო მშვიდობით განესვენა და აღარც „შენდობა ეთხოვა მკითხველთათვის“: მისი და მრავალი თვისტომის ძველებურ სიქველეს, რუსის ძლევამოსილი მხედრობის მხარდამხარ და მეწინავე რაზმებში ბრძოლას ნაყოფი გამოუღია და თურქეთს მართლაც გამოსტაცეს ჯერ კიდევ მის კლანჭებში ნამყოფი ქართული ქვეყნები. იმხანად ახდა საუკეთესო მამულიშვილთა დიდი ხნის ოცნება და მრავალი „თავგანწირული ვაჟკაცის“ უდროოდ დაღუპვას უკვე ფუჭად არ ჩაუვლია. ადვილი წარმოსადგენია, რა დიდი სიხარულით შეეგებებოდა იმ საშვილიშვილო საქმეს ბოგვში დაკრძალული რძალი საგინაშვილებისა, მესხი შვენიერი, თავისი საკუთრივი სამშობლოს მთლიანად „პოვნას“, გამოხსნას რომ შესწრებოდა?!

რუსეთსა და თურქეთს ადრეც (1853-1856 წწ.) ჰქონდათ სამკვდრო-სასიცოცხლო ომი („ყირიმისა“), რომელშიც აგრეთვე თავდადებით მონაწილეობდა ქართველი მხედრობა, მეტადრე ჩვენი ქვეყნის საზღვრების ახლოს. მაშინ აქ დიდი სახელი მოიპოვა ძლევამოსილმა, ნაწრთობმა გენერალმა ივანე ანდრონიკაშვილმა, რომელმაც ყოველმხრივ დასჯაბნა თურქების ჯარი გურიის მიწაწყალზე და რომლის ერთ მთავარ საყრდენს სწორედ მამაცი ქართული ცხენოსანი მილიცია წარმოადგენდა. ბრძოლა კი უაღრესად სისხლისმღვრელი გამოდგა.

გურიის სოფელ შემოქმედში მდებარე მონასტრის „ზარზმის საყდარში“ (ამ სახელწოდებაშიც კვლავ მესხეთის გამოძახილი რეკავს!), სხვებს შორის გამოირჩევა ორი საფლავის ქვა, რომელთა მარმარილოს ფიქლებზე ამოკვეთილია ასეთი წარწერები:

„აქ არის დასაფლავებული კახელი თავადი დავით ზაალის ძე ვახვახოვი. მე და ჩემთან დასაფლავებული ზაქარია ვართ ერთათ დახოცილნი იმ საშინელს გენერალ ანდრონიკოვის ოსმალთან ომში 1855-სა წელსა ივნისის 9-სა დღესა. მხილველსა გთხოვთ თითო შენდობასა და გებრალებოდეთ, რათა ძვალთა ჩვენთაც ვეღარ ნახეს სამშობლო ჩვენი ქვეყანა“.

„აქ არის დასაფლავებული კახელი თავადი ზაქარია ივანეს ძე ანდრონიკოვი, ერთათ ერთს ომში მკვდარი დავით ვახვახოვთან 1855-სა წელსა ივნისის 9-სა დღესა“.

ამ ორ მეომარს საქართველოს მაშინდელ დასავლეთ განაპირას უპოვნიათ განსასვენებელი — სწორედ იმ გურიის მიწაში, რომლის ხვედაც დიდად იყო იმხანად დამოკიდებული იმაზე, გაუმარჯვდებოდათ ჩვენებს თურქებზე თუ არა.

---

დასასრული. იხ. „დროშა“, № 4.

* თეთრი წყაროს რაიონში შემავალი სოფელი მაწევანი აკადემიკოს ნიკო მუსხელიშვილის დედულეთია (საგინაანთ მხრივ). წინამდებარე წერილის ბეჭდვისას ავტორი გამოესაუბრა ნ. მუსხელიშვილს სვიმონ საგინაშვილის ეპიტაფიის შესახებ და შეიტყო მისგან, რომ ის სვიმონი პაპამისის ღვიძლი ძმა ყოფილა. უფრო მეტიც: ბრძოლის ველზე დაღუპული სვიმონის ცხედარი სამშობლოში ურმით ჩამოუსვენებია ერთ ნაყაჩაღარ „თათარს“, რომელიც გამოსწორების გზაზე დაუყენებია სვიმონის უფროს ძმას (ნ. მუსხელიშვილის პაპას), ისე რომ რუსის ჯარის ოფიცერიც კი გამხდარა, სვიმონთან ერთად უომნია ოსმალთა წინააღმდეგ და ისე მოქცევია მას, როგორც ერთგული ძმა.

# მკვლევარი და მემატიანე

**იონა მეუნარგიას გარდაცვალებიდან 50 წლისთავის გამო**

ეროვნული ბიბლიოთეკა

იონა მეუნარგიამ ფასდაუდებელი ღვაწლი და ამაგი დასდო ქართულ ლიტერატურათმცოდნეობას და ქართული ლიტერატურის მეცნიერულ ისტორიას. ქართველი მწერლების ბიოგრაფიები, რომლებიც იონა მეუნარგიამ დაგვიტოვა, დღესაც ისეთი ძვირფასი წყაროა, რომელსაც გვერდს ვერ აუვლის ქართული ლიტერატურის ვერც ერთი კეთილსინდისიერი მკვლევარი.

იონა მეუნარგიას მონოგრაფიულ გამოკვლევებში წარსულის დიდი შემოქმედნი — ალექსანდრე ჭავჭავაძე, გრ. ორბელიანი, ნ. ბარათაშვილი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ალ. ყაზბეგი და სხვები — ჩვენს წინაშე წარმოსდგებიან როგორც ცოცხლები; ამ მონოგრაფიებში მემატიანის ტალანტი შერწყმულია მხატვრის და შემოქმედის ოსტატობასთან, და ამავე დროს, ავტორი ყველგან იცავს მეცნიერულ სიზუსტეს.

ამ ჟანრის გამოკვლევები იონა მეუნარგიას გამოჩენამდე ჩვენში თითქმის არ იყო. თვითონ იონა წერდა: „ცხოვრების აღწერა ჯერ არ შედგენილა ჩვენში. სურათები, ლიტერატურული მოგონება, სილუეტი არც კი გაგონილა. თითქოს იღბლად დაჰყოლია ჩვენს ლიტერატურას, რუსთაველიდან დაწყებული, შესანიშნავი მწერლებისა და ადამიანთა ვინაობის უცოდინრობა. ეს ნაკლოვანება ქართული მწერლობისა უნდა გასწორდეს იმ პირებზე მაინც, რომელთაც ამ საუკუნეში გადმოუბიჯებიათ ფეხი, ან ამ საუკუნესთან ერთად დაბადებულან და ოთხმოცი წლის სალმობა თავიანთი მაგარი ზურგით უტარებიათ, ან კიდევ ამ საუკუნეში დაბადებულან, ამავე საუკუნეში უცხოვრიათ, უმოღვაწნიათ და უდროოდ დაჰკარგვიან ჩვენს ქვეყანას“.

ამ სტრიქონებში ჩანს დიდი პატრიოტული გრძნობა, უზომო სიყვარული ქართული მწერლობისა. ეს სიყვარული და თავდადება ჩანს იონა მეუნარგიას თითოეულ სტრიქონში; ის, როგორც მემატიანე, დაუზარებლად ეძებს ამა თუ იმ მწერლის ბიოგრაფიის დიდ თუ პატარა ეპიზოდს, ის თითოეული მწერლის სულში ცხოვრობს, რომ არ გამორჩეს არც ერთი მნიშვნელოვანი შტრიხი მწერლის ცხოვრებიდან. ასეთი სიყვარულისა და დაუზარელი შრომის ნაკვალევი ატყვია მის მონოგრაფიებს.

იონა მეუნარგია დაიბადა 1852 წელს სოფელ ცაიში (ზუგდიდის რაიონი), სწავლობდა ჯერ მარტვილში, შემდეგ ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში, შემდეგ იგი თბილისის სასულიერო სემინარიაში შედის, საიდანაც 1874 წელს გამორიცხეს, როგორც „პოლიტიკურად არასაიმედო პიროვნება“. სწავლას მოწყურებული ახალგაზრდა მიემგზავრება ჯერ რუსეთში, შემდეგ შვეიცარიაში. ჟენევიდან იგი, ნიკო ნიკოლაძის, ალ. სარაჯიშვილის და ალ. ჭყონიას დახმარებით, გადადის პარიზში, სადაც მას უფრო მეტი საშუალება ეძლევა გაეცნოს ფრანგული და მსოფლიო კლასიკური ლიტერატურის ყველაზე საუკეთესო ნიმუშებს. იონა პარიზში გაეცნო და დაუახლოვდა მრავალ ფრანგ ლიტერატორსა და საზოგადო მოღვაწეს, მაგრამ განსაკუთრებით ახლო ურთიერთობა ჰქონდა ვიქტორ ჰიუგოსთან. იონა მეუნარგიას თავის უბის წიგნაკში ჩაუწერია თავისივე საუბარი დიდ ფრანგ მწერალთან. აი ისიც:

„ჰ ი უ გ ო — საქართველოდან ხარ? ქალების სილამაზით განთქმული ქვეყნიდან?

ი ო ნ ა — დიახ, მაგრამ არა მარტო ამით, სხვა განძითაც არის განთქმული ჩემი პატარა სამშობლო.

ჰ ი უ გ ო — მაგალითად?

ი ო ნ ა — პოეზიითაც.

ჰ ი უ გ ო — ვინ გყავთ გამოჩენილი პოეტი?

ი ო ნ ა — რუსთაველი, რომელსაც ბევრი ვერ დაედრება მსოფლიოში.

ჰ ი უ გ ო — რა დაწერა?

ი ო ნ ა — საგმირო პოემა „ვეფხისტყაოსანი“.

ჰ ი უ გ ო — ჰო, გამიგონია, საინტერესო უნდა იყოს, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერ ვიცნობ!“

აი, როგორ ნაკლებად ცნობილი იყო საქართველო და მისი უბრწყინვალესი კულტურა თვით ვიქტორ ჰიუგოსათვისაც კი. ამის შემდეგ განა გასაგები არ არის, რომ იონა მეუნარგია საფრანგეთიდან სამშობლოში დაბრუნებისთანავე იწყებს „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნას რუსულ და ფრანგულ ენებზე! სხვა მხრივაც დიდი ამაგი დასდო მეუნარგიამ „ვეფხისტყაოსანს“, საკმარისია, თუნდაც აღინიშნოს ის, რომ ზიჩიმ თავისი ილუსტრაციები იონას თარგმანის მიხედვით შეასრულა.

ილია ჭავჭავაძემ გაზეთ „ივერიის“ გამოცემა რომ გადაწყვიტა, ასეთი წერილი გაუგზავნა იმ დროს პეტერბურგში მყოფ იონა მეუნარგიას:

„დაგვანებე, ჩემო იონავ, თავი და დაგვაობლე ამისთანა გაჭირვების დღეს. მაგრამ რა გაეწყობა? თურმე სოფელი ასეა. თუმცა შენ ბევრს გვაკლიხარ, მაგრამ ჩვენ მაინც ჩვენსას არ ვიშლით და ვჩხირკედელაობთ, პირველ იანვრისათვის ვნახოთ, ღერძი ბედისა როგორ დაიწყებს ტრიალს. გიგზავნი გამოცხადებულს და ყველგან გაგზავნილ უწყებას ჩვენი ახალი გაზეთის გამოცემის თაობაზე.

შენი ფსევდონიმი არც ერთი არ მომეწონა. აქ მოვიგონეთ ორი ფსევდონიმი: 1. „მე ვარ და ჩემი ნაბადი“, თუმცა გრძელია, მაგრამ შენზედ ზედ გამოჭრილია; 2. „აბედი“, ვითომ ნაკვესმა შენ ცეცხლი მოგიკიდა, როგორც აბედს და შენ ჩვენ გადმოგვეცი. ეს უკანასკნელი კარგია, მაგრამ აკაკი წერეთელს საბუთს მისცემს ქართული აბედი რუსულ Обед-ად გადააქციოს; მაინც შენ სხვის სადილების მაძებარს გეძახოდა და დაგცინოდა. ორში ერთი ამოირჩიე და ტელეგრამით მაცნობე“.

აქ უკვე ნათლად ჩანს, თუ რაოდენ ანგარიშს უწევდა და როგორ აფასებდა დიდი ილია იონა მეუნარგიას ღვაწლსა და შრომას.

ჩვენ ზემოთ უკვე მოვიხსენიეთ იონა მეუნარგიას მონოგრაფიები, როგორც უძვირფასესი წყარო ჩვენი ლიტერატურის ისტორიის შესასწავლად. თვითონ იონა ძალიან მორიდებული კაცი იყო და აი რას წერდა თავის თავზე:

„მე ხომ მეწვრილმანე ვარ ქართული მწერლობისა და ჩემგან შეკრებილი წვრილმანებით მე თქვენ ილიას სურათი, ზოგიერთ შემთხვევაში, მაინც თუ ნათლად დაგიხატეთ, ჩემს ვალს მოხდილად მივიჩნევ“. თავმდაბლურად არის ნათქვამი, მაგრამ ჩვენ ხომ ვიცით, რომ იონას ეს ნაშრომები ყველა ქართულ ოჯახში სამაგიდო წიგნებად იქცა. ხსენებულ მონოგრაფიებს გარდა, იონას კალამს ეკუთვნის შესანიშნავი ნაშრომები: „სამეგრელო, დავით დადიანი და მისი დრო“, „გრიგოლ დადიანის ცხოვრება“, „ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანი“, „არქეოლოგიური მოგზაურობა სვანეთში“, „აჭარა-ქობულეთში“ და „ფურცლები სემინარიელის დღიურიდან“.

**ალექსანდრე სიგუა.**

---

**დრო დადგა უკვე ისეთი კვლავ, რომ კახელები მარტო კახეთისათვის აღარ იქნევდნენ ხმალს.**

**სვიმონ საგინაშვილის, დავით ვახვახიშვილისა და ზაქარია ანდრონიკაშვილის ეპიტაფიები გამსჭვალულია ერთიდაიგივე, თვისობრივ ახალი, ძალუმი მისწრაფებით: თავი შესწირონ საქართველოს ისტორიული მიწა-წყლის კვლავ გაერთიანების სანუკვარ საქმეს.**

**მაგრამ ამით როდი თავდება უცხო მტარვალებთან შეხლისა და ბრძოლის ანარეკლი ქართულ ეპიტაფიებში!**

**შიდა ქართლში, გორის მახლობლად მდებარე სოფელ ურბნისში წლობით ითხრებოდა ძველი ნაქალაქარი. იქ მუშაობის დროს, 1954 წელს, სოფლის ახლანდელ სასაფლაოზე შევნიშნეთ ერთი „მატური“, რომლის წახნაგებში ჩასმულ მარმარილოს ფიქლებზე ამოკვეთილია ორი ასეთი წარწერა:**

„ამ ძეგლის ქვეშ განისვენებს გვამი ოლასი. ობლებად დავრჩით და და ოთხი ძმა. წვითა და დაგვით აღვზარდე შრომასა და ბრძოლაში ძმები, სოფლისა და ქალაქის მუშები... და აი, ერთმა მათგანმა, საყვარელმა ძმამ რაჟდენმა, რომელიც ჩემს გვერდით განისვენებს, სამშობლოს შესწირა სიცოცხლე. მე კი ბოროტი ხელით ნასროლმა ტყვიამ ერთი თვის ჯვარდაწერილი გამაბედნიერა შავი მიწისათვის“.

„ამ ძეგლის ქვეშ განისვენებს გვამი რაჟდენი(სა)... აწყვერში ბრძოლის ველზე დავეცი ოსმალებთან ბრძოლაში“...

**რაჟდენი, ჩანს, 1918 წლის გაზაფხულზე მოუკლავთ ბრძოლის ველზე, ოსმალთა უკანასკნელი შემოსევის დროს.**

**ამ ეპიტაფიათა შემდგენელს, საკმაოდ განათლებულ კაცს, რატომღაც დავიწყებია დაკრძალული და-ძმის გვარის აღნიშვნა (ურბნელთა უმეტესობას კაკაშვილები, ხანიშვილები და ხიზანაშვილები შეადგენენ, არიან აგრეთვე ელიაშვილები, ვარძელაშვილები და სხვ.). შიდა-ქართლელი გლეხის სახლში წამოზრდილ ობოლ ჭაბუკსაც ხვდომია წილად საქართველოში კიდევ ერთხელ შემოჭრილი და ახალციხე-ახალქალაქისათვის ამაოდ მებრძოლი მოძალადისადმი წინააღმდეგობაში მონაწილეობა და ძველ ქართულ ქალაქ აწყურთან კიდევაც შეკვდომია იგი მას.**

* * *

**ამრიგად, ჩვენ მიერ გაცნობილი ეპიტაფიების — უთუოდ შინაარსიანი და თან დიდად ემოციური წერილობითი ძეგლების — ხნოვანება ჯერ ანტიკური ხანიდან და მერე XVII საუკუნიდან ოქტომბრის რევოლუციამდე მოდის. როგორც უკვე ითქვა, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ მათ, რომლებშიც წითელ ზოლად გაივლის იმ ადამიანთა მამულიშვილური თავდადების ამბავი, ვისი სახელითა და სულიერი რაობის გათვალისწინებითაც დაუწერიათ ხოლმე ჭირისუფლებს სიცოცხლესთან გამოსათხოვარი სიტყვები. ეს უკანასკნელნი გაგვახსენებენ, კიდევ ერთხელ, ჩვენს სასიქადულო წინაპრებს, რომელნიც — ქრისტიანული წესისამებრ — თითქმის ერთხმად მოითხოვენ შენდობას, თუმცა არა დაუშავებიათ-რა უმთავრესი წმიდათა წმიდის, სამშობლოს წინაშე. პირიქით!**

**ასეთი ძეგლების შემდგომი აღრიცხვა, შესწავლა და გამოცემა (რაშიც მკვლევარებს მთელი საქართველოს ინტელიგენცია, — კერძოდ მოწაფე-მასწავლებლობაც — უნდა მიეხმაროს) ჩვენი ისტორიული მეცნიერების ერთ-ერთი საპატიო ამოცანაა. გვგონია, რომ მკითხველიც დაგვეთანხმება.**

# „მხიარულ ტალღაზე“

„— ბავშვებო, გინდათ სახლობანა ვითამაშოთ?.. მე მამა ვიქნები, მზია— დედა იქნება, დანარჩენები ჩვენი შვილები იქნებით, თანახმა ხართ?..

— მხოლოდ იცოდე, ზაზა, მოსამსახურე თუ არ გვეყოლება, მე არ ვიქნები დედა, — განაცხადა მზიამ“.

ეს მინიატურა ნანა კანდელაკის სატირულ-იუმორისტული მოთხრობების კრებულიდანაა ამოღებული. წიგნის სათაურია „მხიარულ ტალღაზე“. ტალღა ტალღას მისდევს, მოთხრობას მოთხრობა, მახვილ სატირას მსუბუქი იუმორი სცვლის. ხუმრობა საქმე როდია ერთ კრებულში თავი მოუყაროთ ამ ხასიათის ორმოცდაათ მოთხრობას და ამდენსავე მინიატურას.

ეს წერილი ნანა კანდელაკის მინიატურით დავიწყე, არა იმიტომ, რომ სხვა მინიატურებთან შედარებით განსაკუთრებით მომეწონა, არის კრებულში ამ ნაწარმოებზე უკეთესიც, მაგრამ ვარჩიე ნებისმიერი. აბა, დაუკვირდით, სულ რამდენიმე სტრიქონში როგორაა გამოხატული იმ ბავშვის ბუნება, ყური ნიადაგ მოზრდილი ადამიანებისკენ რომ აქვს მიპყრობილი. ეს მინიატურა მიგვანიშნებს იმაზეც, თუ რაოდენ დიდი სიფრთხილე მართებს აღმზრდელებს, ბავშვს შთააგონონ ცხოვრების სიკეთე. „მოსამსახურე თუ არ გვეყოლება“... სასაცილოა, როცა ამას პაწია გოგონა ამბობს, მაგრამ ამ სასაცილოს იქით დგას სხვა რამ. და ეს რომ იგრძნობა, სწორედ აქ მჟღავნდება მწერლის ალღო. ასეთ მინიატურას ბევრს შეხვდებით კრებულში. წაიკითხავთ ბევრ საინტერესო სატირულ-იუმორისტულ მოთხრობას და ყოველი მათგანი, რასაკვირველია მეტნაკლებად, ჩაგაფიქრებთ ცხოვრების ზოგიერთ მანკიერებაზე, გაგაცნობთ იმ ადამიანებს, რომლებიც ხელისშემშლელ ჩრდილებად ასდევნებიან პატიოსან ადამიანებს.

მხიარული, მსუბუქი თხრობა ყოველ ნაწარმოებს სასიამოვნო საკითხავს ხდის. არავითარი მსჯელობა, მხოლოდ მოქმედება, დიალოგი და ზოგჯერ სხარტი, მოულოდნელი ფინალი! — აი, რა ახასიათებს ნანა კანდელაკის ამ კრებულში თავმოყრილ მინიატურებსა თუ მოთხრობებს. მოვუსმინოთ თვით ნანა კანდელაკს და ერთხელ კიდევ დავრწმუნდეთ, თუ რაოდენ დამახასიათებელია მისთვის იუმორი, როგორ ქმნის კომიკურ სიტუაციას და როგორ ავლენს დიალოგში მოქმედი გმირების ხასიათს.

„ენაცვალოს დედა, ნამეტანი უყვარს ყველას!

ერთადერთი, მილიცია არ სცემს პატივს.

— თავხედიაო, — მიმტკიცებს მილიციის უფროსი, — ხულიგანიაო.

— ღმერთო კი მომკალი, ამას ჩემს კაკულიზე ამბობთ?! რატომ, ბატონო, რა დაგიშავათ?!

— დაგავიწყდათ, რომ გუშინ კაცს სცემა?!

— ცემა რა საკადრისია, ბატონო... უბრალოდ, მკლავის კუნთები გაივარჯიშა ბიჭმა... ასე ვთქვათ, ფიზკულტურის თვალსაზრისით. კაკულის ბრალი ხომ არ არის, რომ ავტობუსში სივიწროვეა?!

— ის რაღა იყო, წუხელის მთელი ხეები რომ გადატეხა ქუჩაში?

— ნასვამი იყო, ბატონო, ბავშვია... მთვრალი კაცი, კარგი კაცი!“

დიალოგი გრძელდება, თანდათან მჟღავნდება „მზრუნველი“ [illegible] სახე. ნანა კანდელაკი მახვილი თვალით არჩევს ცხოვრების მანკიერ მხარეებს და მოხერხებულადაც ამათრახებს, მაგრამ უნდა შევნიშნოთ, რომ ეს ამბები უმეტესად ოჯახურ სფეროში ხდება. ამით ერთფეროვნება ეტყობა კრებულს. ერთფეროვნება იგრძნობა გმირთა მეტყველებაშიც.

კრებულში თავმოყრილ ნაწარმოებებს შორის კარგის საზომად მხედველობაში მაქვს სატირულ-იუმორისტული მოთხრობები: „საწყალი გულის კაცი“, „საჭირბოროტო საკითხი“, „ჩაშლილი იუბილე“ და „გულშემატკივარი ნათესავები“.

ეს არის ჯანსაღი, საქმიანი სატირა და იუმორი. სხვანაირად ვერც წარმოგიდგებათ ნანა კანდელაკის შემოქმედება. ამ სიცოცხლით სავსე ქალის ბუნების გამომხეურებაა ის სილაღე და ჰაეროვნება, რაც მის ნაწარმოებებს ახასიათებს.

თენგიზ გოგოლაძე

# უფროსი ედა

„უფროსი ედა“ ეკუთვნის მსოფლიო ლიტერატურის იმ ძეგლთა რიცხვს, რომლებიც უხვ მასალას იძლევიან კაცობრიობის უძველესი სულიერი კულტურის შესასწავლად. ამ ძეგლში აირეკლა სკანდინავიელ ხალხთა წარმართობისდროინდელი სულიერი სამყარო, გასაოცარი ფანტაზია, რთული კოსმოგონია, შეხედულებანი ბუნებისა და ცხოვრების მოვლენებზე.

ვაქვეყნებთ ადგილებს „უფროსი ედას“ მეორე სიმღერიდან.

## სიტყვანი უზენაესისა

სახლსა სადგომელსა
სანამ შეხვიდოდე,
ნახე და გასინჯე
ყველა შესასვლელი, —
რამეთუ, ვინ უწყის,
იქ, სადმე, ფარულად
მტერი ჩაგისაფრდა.

მშვიდობა გულუხვებს!
სტუმარი მოვიდა!
ადგილს, სად მონახავს?
იჩქარის ის, ვისაც
კერასთან სასწრაფოდ
გათბობა ეწადა.

სითბო ძვირფასია
სახსრებგაყინული
ნამგზავრი კაცისთვის;
საზრდო და სამოსი
სჭირდებათ ყარიბებს
კლდოვან მხარეებში.

სტუმარს ზრუნვა უნდა:
წყალი, ხელსახოცი,
შინ შეპატიჟება;
შენი მხიარული
სიტყვა უნდა უთხრა,
მასაც მოუსმინო.

ჭკუა ეჭირვება
შინიდან შორს გასულს, —
შინ ყოვლის მცოდნე ხარ;
უვიცს ბრძენთა შორის
აუგად შეხედავს
მხილველი ყოველი.

ტვირთი არ არსებობს
მგზავრთათვის უმჯობეს
ცხოვრების სიბრძნისა:
სჯობს ძვირფას საგანძურს
ის უცხო მხარეში
ლატაკთ სიმდიდრეა.

ლაჩარს იმედი აქვს
სიკვდილს არ შეხვდება,
თუ ომს გაექცევა;
დადგება სიბერე
და სიკვდილს ვერავინ
ვერ დაემალება.

უგუნური ან ლაყბობს,
ან დუმს უადგილოდ,
სტუმრად თუ გეწვევა;
ყლუპს როგორც კი შესვამს,
მყისვე გაამჟღავნებს,
რა მცირე სიბრძნეს ფლობს.

ვაჟკაცმა იარაღს
ჟამსა მგზავრობისა
ხელი არ გაუშვას;
რამეთუ, ვინ უწყის,
როდის დასჭირდება
ხმარება მახვილის.

მეგობრის ერთგული
იყავ და მეგობარს
მისას ემეგობრე;
მტერს კი მეგობრისას,
გახხოვდეს, მეგობრად
ნურასდროს გაიხდი.

უხვნი ბედნიერნი,
მამაცნი არიან —
დარდი არ იციან;
ძუნწს სულ ეშინია,
საჩუქრის გაცემა
მის გულს არ ახარებს.

სიტყვისა, საქმისა, —
ჰხამს მეგობართანაც
კარგი დაკვირვება;
ასედაც მოხდება:
ზედმეტს წამოროშავ
და მერმე ინანებ.

ცქცხლი ყველასათვის
დიდი სიკეთეა
და მზის ბრწყინვალება;
სალი ხარ სხეულით —
გწამდეს, გაქვს სიცოცხლე
ჯანსაღი, უხინჯო.

სნეულიც არ არის
ქვეყნად მთლად უბედო:
ზოგს შვილი ახარებს,
ზოგს — ნათესავები,
ზოგს — საქმე კეთილი
და ზოგსაც სიმდიდრე.

კოჭლს ძალუძს ცხენით ჯდომა,
უხელოს — მწყემსობა,
ყრუს — ჩაბმა ბრძოლაში;
დამწვარს ბრმა სჯობია,
ბრმა უქმად არ ივლის, —
მკვდარი ვის რას არგებს!

ჯოგი ილუპება,
კვდება ნათესავი,
ბოლოს შენც მოკვდები;
ვუწყი მე ერთი რამ,
რაიც უკვდავია —
სახელი, დიდება.

თარგმნა გიორგი კალანდაძემ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# უსინათლოთა ნათელი ქალაქი

არიან ადამიანები, რომლებიც პირველ შეხვედრისთანავე მოინადირებენ ხოლმე კაცის გულს. გაეცნობი ასეთ ადამიანს, გამოესაუბრები, და უმალ იგრძნობ, რომ მანამდე უცნობი პიროვნება როგორღაც ახლობელი და ძვირფასი გახდა შენთვის.

ეს იყო ამ ერთი თვის წინ. გაზაფხულის ღრუბლიანი დღე იდგა. ოდნავ სცრიდა. თბილისის გარეუბანში, უსინათლოთა სოღანლუღის საწარმოში ის-ის იყო შესვენება იწყებოდა, როცა დირექტორის კაბინეტის კარი შევაღე.

ოთახის სიღრმეში მიდგმულ სავარძლიდან ჩემს შესახვედრად საშუალო ხანს მიტანებული ახოვანი ვაჟკაცი წამოდგა. სწრაფად შევავლე თვალი ფარდებაკეცილ სარკმელთან შეჩერებულ დირექტორს.

ცოტა რამ უკვე ვიცოდი მასზე, მის ცხოვრებაზე, მუშაობაზე. აქაური პარტორგანიზაციის მდივანმა მიამბო.

...გასული წლის უკანასკნელი კვარტალი ილეოდა, როცა სოღანლუღში ორენბურგის ელექტროქარხნის მუშაკი სერგეი ერმოშინი ჩამოვიდა. უსინათლოთა საზოგადოების სოღანლუღის საწარმო მთელ საქართველოში ერთადერთია, დღის სინათლის ნათურების დამჭერებს და სტარტერებს რომ ამზადებს. აქაურმა პროდუქციამ ისე შორს გაითქვა სახელი, რომ მისი ქება ორენბურგსაც მისწვდა და ქარხნის ხელმძღვანელობამ თავისი წარმომადგენელი გამოგზავნა სოღანლუღში დამჭერების და სტარტერების დიდი პარტიის დასაკვეთად.

შეხვდნენ ერთმანეთს ორენბურგის ქარხნის წარმოგზავნილი სერგეი ერმოშინი და სოღანლუღის საწარმოს დირექტორი ალი გოგიბერიძე. მოითათბირეს. გულმოდგინედ აწონ-დაწონეს ყველაფერი. საქმე რომ მოითავეს, უკვე მეგობრულ საუბარზე გადავიდნენ, იხუმრეს, იცინეს და ბოლოს კმაყოფილები გამოეთხოვენ ერთმანეთს.

აუწერელი იყო სერგეი ერმოშინის გაოცება, როცა გაიგო, რომ ალი გოგიბერიძე, რომელიც გამართული ნაბიჯით მიმოდიოდა თავის კაბინეტში, ასე თავისუფლად რეკავდა ტელეფონზე, მდივნის მიერ მიწოდებულ საქმიან ქაღალდებს ხელს აწერდა და ხალისიანი ხმით ესაუბრებოდა მას— სრულიად უსინათლო იყო და მუქი სათვალის მიღმა მხოლოდ უკუნეთ სიბნელეს გასცქეროდა.

* * *

ეს იყო საშინელი წამი. ამწვანებული ხეხილით დაბურული ეზო აფეთქების ხმამ შეაზანზარა. თორმეტიოდე წლის ბიჭუნამ თვალებზე ხელი აიფარა. როცა ხელი ჩამოიღო, ის ვეღარაფერს ხედავდა.

ასე ძვირად დაუჯდა დინამიტთან თამაში პატარა ალის.

გადიოდა დღეები. ექიმებმა ყოველგვარი იმედი დაკარგეს. მაგრამ პატარა ბიჭმა მთელი სულიერი ძალა და მხნეობა მოიკრიბა. გადაწყვიტა, რადაც არ უნდა დასჯდომოდა, ყველა დაბრკოლება დაეძლია და ცხოვრებაში თავისი ადგილი მოეძებნა.

თვალის ჩინის დაკარგვიდან ოთხი წელი არც იყო გასული, როცა ალი გოგიბერიძემ, თავის თანატოლებზე ორი წლით ადრე, ექსტერნად დაამთავრა საშუალო სკოლა. ეს მისი პირველი დიდი და სერიოზული გამარჯვება იყო.

ამის შემდეგ ალი მოსკოვში განაგრძობს მეცადინეობას. ბრუნდება იქიდან და თბილისის უნივერსიტეტის ეკონომიურ ფაკულტეტზე შედის. ეს ფაკულტეტიც წარჩინებით დაამთავრა. ნიჭიერი ახალგაზრდა კათედრაზე დატოვეს. ალი გოგიბერიძემ აქაც ისახელა თავი. გატაცებით შეეჭიდა საქმეს და სამი წლის შემდეგ ეკონომიური ფაკულტეტის ასპირანტურაც წარმატებით დაამთავრა.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიური ფაკულტეტის კათედრის ასისტენტს ალი გოგიბერიძეს ერთ დღეს წინადადება მისცეს სოღანლუღის უსინათლოთა საწარმოს ხელმძღვანელობა ეკისრა.

* * *

თბილისიდან სამხრეთით მიმავალი გზა თანდათან შორდება დედაქალაქის ცენტრს, ასფალტიანი გზა ჯერ აბანოებს და ორთაჭალის ბაღებს ჩაუვლის, სამასი არაგველის ობელისკს გასცდება და იმ ადგილას, სადაც თბილის-ერევნის რკინიგზა რუსთავის გზატკეცილს გადაკვეთავს, საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების სოღანლუღის დასახლება იწყება.

1929 წელს, მთავრობის დადგენილებით, აქაური მინდვრების დიდი ნაწილი საქართველოს უსინათლოთა საზოგადოებას გადაეცა. უსინათლო მუშების ერთმა ჯგუფმა სოღანლუღის ტერიტორიაზე ცხვრის ტყავის დამუშავების პატარა საამქრო გახსნა და ქურქების გამოშვება დაიწყო. გავი-

და დრო. წარმოება თანდათან გაიზარდა. აშენდა ახალი საცხოვრებელი სახლები და საწარმოო კორპუსები.

სოლანლუღის დასახლება პატარა ქალაქია ქალაქში. აქაურ უსინათლო მუშებს ყველაფერი თავიანთი საკუთარი აქვთ და პირადი საჭიროებისათვის არაფერზე არ უხდებათ ქალაქიდან გასვლა. უსინათლო მუშები აქვე ცხოვრობენ, აქვე მუშაობენ, სამუშაო საათების დამთავრების შემდეგ აქვე ისვენებენ და ერთობიან.

სოლანლუღელ უსინათლო მუშებს თავიანთი საკუთარი რადიოკვანძიც აქვთ და აქვე, დასახლების ტერიტორიაზე, მათთვის ბრაილის შრიფტით აწყობილი ჟურნალიც გამოდის.

* * *

ერთხელ, სოლანლუღის საწარმოო წამოწყებაში, როგორღაც შეიტყვეს, რომ პამიდორის თესლიდან სურნელოვანი ზეთის გამოხდა შეიძლება. ასეთი ცნობა, როგორც გამოირკვა, იტალიის რომელიღაც ჟურნალში ყოფილიყო გამოქვეყნებული. სოლანლუღელმა მუშებმა გადაწყვიტეს საინტერესო ცდა ჩაეტარებინათ და საკონსერვო ქარხნებში დაგროვებული ნარჩენებიდან პამიდორის თესლის ზეთის გამოხდა ეცადათ.

საბჭოთა კავშირში იმჟამად არც ერთი ზეთსახდელი საწარმო არ ხდიდა პამიდორის თესლის ზეთს. ჩვენი სპეციალისტებისათვის უცნობი იყო მისი მიღების ტექნოლოგია და ამ საქმისათვის ხელის მოკიდება დიდ შრომას და რისკს მოითხოვდა.

სოლანლუღელი მუშები თავიანთი ჩანაფიქრის განხორციელებას შეუდგნენ. დაძაბულმა შრომამ და გულმოდგინე ძიებამ თავისი ნაყოფი გამოიღო. სოლანლუღელებმა, მთელ საბჭოთა კავშირში პირველად, მიიღეს პამიდორის თესლის ზეთი, რომელიც არაფრით ჩამოუვარდებოდა სხვა სურნელოვან ზეთებს და მისი გამოყენება წარმატებით შეიძლებოდა პარფიუმერიაში.

სოლანლუღელი მუშების წარმატების ამბავი მოსკოვშიც შეიტყვეს. საბჭოთა კავშირის რამდენიმე მსხვილ საწარმოს დაევალა საპარფიუმერიო მრეწველობისათვის პამიდორის თესლის ზეთის წარმოება დაეწყო.

* * *

უსინათლოთა ქალაქში, უპირველეს ყოვლის, ადამიანებზე ზრუნვა და მათი ბედით დაინტერესება იგრძნობა. აქ ყველა ახალი საქმის და წამოწყების მოთავე ალი გოგიბერიძეა. შეიკრიბებიან დირექტორის კაბინეტში პარტორგანიზაციის მდივანი ჰამლეტ ჯაოშვილი, მთავარი ინჟინერი მაქსიმე თოდუა, მოიხმობენ საამქროს უფროსებს და გაცხოველებული სჯაბაასი იწყება წარმოებაში ახალი ღონისძიებების დასანერგად.

რის გაკეთება შეუძლიათ უსინათლოებს, რომელ დაზგებზე უნდა იმუშაონ მათ — ეს არის კითხვები, რომლებზეც პასუხის გაცემა ადგილზევე უხდებათ წარმოების ხელმძღვანელებს.



პროდუქცია მზად არის გასაგზავნად.

ფოტო ოთარ თურქიასი.



გზა საამქროსაკენ.



სოლანლუღის საწარმოს დირექტორი ალი გოგიბერიძე.

რა კეთდება კიდევ საინტერესო სოლანლუღში? თბილისელმა დიასახლისმა ლაურა ბერიშვილმა გვითხრა:

— ყველაზე მეტად დიასახლისები ემადლიერებიან სოლანლუღის საწარმოს. მის მიერ გამოშვებული „თოლია“ მშვენიერი რამ არის.

ჩვენი რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხიდან სოლანლუღში ხშირად მოდის წერილები, რომლებშიც მომხმარებლები თავიანთ მადლობას გამოთქვამენ სოლანლუღის საწარმოს მიმართ. მათ მოსწონთ უსინათლოების ხელით დამზადებული ლითონის საოჯახო ბადურები, პლასტიკური სუფრები, წინსაფრები, ლაბადები, კაპრონის ხელჩანთები და თოკები, პოლიეთილენის კალათები და კასრები. ხოლო აქაურმა დღის სინათლის დამჭერებმა და სტარტერებმა უკვე კარგა ხანია, რაც შორს გაითქვეს სახელი და ისინი, მოძმე რესპუბლიკების გარდა, უცხოეთის ქვეყნებშიც იგზავნება.

უსინათლოთა ქალაქში მუშებისათვის ბინიდან სამუშაოზე მისასვლელად და საამქროდან საამქროში გადასასვლელად სპეციალური ბილიკებია გაყვანილი. ამ ბილიკებს თავისი ნაკლიც ჰქონდა — მართალია, უსინათლო მუშა შეჩვეული იყო სწორ ბილიკზე სიარულს, მაგრამ ხშირად ჰკარგავდა ორიენტაციას და არ იცოდა, სად შეჩერებულიყო, სად გადაეხვია, რომ საამქროსთვის მიეგნო.

წარმოებაში მოიფიქრეს და ასფალტიანი ბილიკები საამქროების წინ თიხის ფილებით მოაპირკეთეს. ამან საქმეს უშველა. მოდის ახლა მუშა ჯოხის კაკუნით, გამოივლის ბილიკს და იმ ადგილას, სადაც ჯოხი ასფალტის ნაცვლად თიხის ფილას შეეხება — მისთვის ნათელი ხდება, რომ მის წინ საამქროა აღმართული.

სოლანლუღში არიან ისეთი მუშებიც, რომლებსაც მცირეოდენი მხედველობა შერჩენილი აქვთ და თუმცა ბუნდოვნად, მაგრამ ფერებს მაინც არჩევენ. უსინათლოთა ქალაქში ასეთი მუშებისათვის ბილიკების ბორდიურები თეთრად შეღებეს.

ასე ცხოვრობს უსინათლოთა ქალაქი, ყოველ დილით მუშები ჯგუფჯგუფად მიეშურებიან სამუშაოზე, შედიან საამქროებში, იჭერენ დაზგებთან თავიანთ ადგილს, და იწყება დაძაბული შრომა.

ამ შრომის წყალობით ადამიანებმა აჯობეს ბუნების უსამართლობას. ისინი სასახელოდ შრომობენ, ცხოვრობენ, ჰქმნიან მშვენიერ ოჯახებს, ზრდიან ბავშვებს. აქ ყოველ ნაბიჯზე გრძნობ, თუ რაოდენ ბევრი შეუძლია ადამიანის კეთილ გულსა და მონდომებას.

**თ. დემეტრაშვილი**

საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.
ბიბლიოთეკა

# გოჯი-ბიჭი, ხორველა-ბიჭი, ფთიანი...

## ძველი გორელი მოკრივეები

ძველად გორში, ტაძრის მიდამოებში, ყოველი წლის ყველიერის კვირაში იმართებოდა კრივი, ერთმანეთს პირველობას ეცილებოდნენ ქვემო და ზემოუბნელები, სცდიდნენ მკლავის ძალასა და ოსტატობას, სისწრაფესა და გამძლეობას, ვაჟკაცობას და რაინდობას; კრივს თავისი მკაცრად განსაზღვრული წესები ჰქონდა: სახეში დარტყმა დაუშვებელი იყო, წელსქვევით დარტყმა კი, თუნდაც უნებლიეთ, ხომ სულ სამარცხვინოდ ითვლებოდა.

კრივს ჯერ პატარები ვიწყებდით, შემდეგ ჭაბუკები შეგვცვლიდნენ, ბოლოს ასპარეზობაზე გამოდიოდნენ ცნობილი გორელი ფალავნები, ორ დასად დაყოფილნი — ზემო და ქვემოუბნელები. გამარჯვებულნი დამარცხებულებს თანდათან უკან ახევინებდნენ, ბოლოს სულაც გააქცევდნენ. მაგრამ გაქცეულებს არავინ დაედევნებოდნენ, ხელს არავინ ახლებდნენ.

ამას წინათ მივაგენით ძველისძველ სურათს, რომელიც გადაღებულია გორში ამ სამოცდაათი წლის წინათ. მოკრივეების გვარებს სურათზე აღნიშნული არ არის, მაგრამ მაშინდელმა მათმა გულშემატკივრებმა ამოვიცანით ზოგიერთი ფალავნის ვინაობა.

ყველაზე საინტერესო ის არის, რომ ეს ფალავნები გიორგი ლეონიძეს აღწერილი ჰყავს თავის პოემაში „ბავშვობა და ყრმობა". ასე რომ, ეს სურათი ლეონიძის პოემის ერთგვარ ილუსტრაციას წარმოადგენს. პოემაში ვკითხულობთ:

ყველივრის კვირა დამდგარა,
ხმაურობს დუქან-ბაზარი,
ხალხია მოზღვავებული,
სადაც დგას გორის ტაძარი.
ძმური ჩხუბია, — კრივია
გულგაკვერილი ვაჟების,
ხმალმომშუულებს გამოაქვთ
გასაშინჯავად მაჯები.

1. სურათზე პირველი ნომრით აღნიშნულია „გლადკა მედროგე" პოეტი მასზე წერს:

გლადკა მედროგეს შემოკრეს
ქვა-მაჯა გადაკარებით.

ეს იყო ცნობილი მოკრივე, მუდამ ვიწრო, სადა ახალუხში გამოწყობილი. წელგამართული იდგა ხოლმე გაქანებულ დროგზე და სწორედ ამიტომ შეარქვეს გლადკა (гладкий).

2. მის გვერდით ჩანს ხშირ წვერულვაშიანი ხოდელი:

ჰირიმე შენი, ხოდელო,
ეგრე დაუხვდი წინასა,
შენი ამბავი რომ ვიცი,
მუშტით გამტვრევ რკინასა.

სოსო ხოდელი ჩვეულებრივ დინჯი და აუჩქარებელი იყო, კრივში კი მეტად მოძრავი და მკლავმაგარი ფალავანი.

3. ეს კი „ხორველა" გახლავთ. პოემაში მასზე ნათქვამია:

ზემოურებმა იქუხეს,
ქვემონი ჩამოაწვინეს,
ქვემოუბნელთა რაზმები
საზღვარზე გადმოაცილეს.
მოულოდნელად შეჩერდნენ...
რას ჩადის მხარე ძლეული?
„ხორველა ბიჭი" წინ დახვდათ,
სახელგადაწეული.

ხორველა მოდიოდა, რომ გაიგონებდნენ ქვემოუბნელები, მაშინათვე კედელს აღმართავდნენ და გამარჯვებულ ზემოუბნელებს უკან ახევინებდნენ. ეს „ხორველა" გახლდათ კალატოზი გიგა შევარდნაძე.

4. შემდეგ პოეტი წერს:

აფთარია „გოჯი-ბიჯი",
ამირანის ნათესავი,
გაუბრუნა მტერს ნაბიჯი,
თვითონ ჩადგა ვით კლდე-სალი.

„გოჯი-ბიჯი" სირაჯი ვასო ზაზუნაშვილი იყო, გამხდარი, მაგრამ აფთარივით მარდი და მოძრავი.

5. ამ ნომრით „ფთიანია" აღნიშნული:

შენი ჰირიმე „ფთიანო",
დაჰკარ, არ დააგვიანო!
კაცს ჩიჩხვარივით დალეწავ,
მშვიდობა-გუნებიანო.

„ფრთიანს" ვეძახდით სირაჯ ვასო ტეტუნაშვილს, რომელიც ისე გადაეშვებოდა კრივში, თითქო ფრთები ასხიაო. „ფთიანიც" ამიტომ შეარქვეს.

6 და 7. ეს ორნი „ნეფე-დედოფალი" გახლდათ, რომლებიც მოკრივეებთან ერთად მონაწილეობდნენ კრივის შემდეგ გამართულ ყეენობასა და ქეიფში. ნეფედ აქ წარმოსახულია ხილის ვაჭარი სიმონა ჯოხაძე, ხოლო მენახირე „გოგლას ბიჭი" დედოფლად იყო გადაცმული.

8. ეს გახლავთ მეალმე, რომელიც ფეხდაფეხ მიჰყვებოდა ვირზე-პირუკუღმა შემჯდარ შიშველა ყეენს (9). მეალმე მაყურებლებში „ხარჯსა" კრეფდა, ბატის ფრთით ვითომ დავთარში იწერდა ხმამაღლა გამოცხადებით, ვინ და რამდენი შესწირა საარიფანოდ, შეგროვილი ფულით ლრეობა იმართებოდა რომელიმე დუქანში.

შიშველა ყეენს აბა რომელი ჭკუათამყოფელი ითამაშებდა, ისიც ყველივრის სიცივეში. ამ სათაკილო როლს ასრულებდა „გიჟ-ლუკად" წოდებული, არასრულ ჭკუაზე მყოფი „ბურეხა" (9).

10. განთქმული მოკრივე ხიდისთაველი გლეხი კაკა აბაზაშვილი. მოკლე და აწეული ცხვირის გამო „ნოდას" ეძახდნენ.

11. ტანსრული და ღონიერი მიკიტანი ვასო, მეტსახელად „მუშოკა".

12. ჩემი ამხანაგი ვასო ედილაშვილი, „უჩენიკად" წოდებული.

13. ჯურჯალა მედროგე.

14. მოკრივე დურგალი სიმონა მურადოვი, მეტსახელად „საცერა".

15. ვანო „ზაპონიკი".

16. ნიკა წიკლაური, შემდგომში ციმბირში გადასახლეს, იქ გარდაიცვალა.

17. „გოჯი-ბიჯის" ტყუპი ძმა გიორგი ზაზუნაშვილი.

18. ხარაზი სოსო ჩიხლაძე, მეტსახელად „მიხლაძე".

19. „ნახირა" — ალვირით ხელში ეწეოდა სახედარს, რომელზეც პირუკუღმა იჯდა შიშველი ყეენი.

ეს მშვენიერი ხალხური გასართობი — კრივი 1896 წელს აკრძალა გორის მაზრის უფროსმა რევაზ ერისთავმა, რომელმაც შიშველი ყეენის დანახვაზე ფეხები დაგვიბარტყუნა, უბრძანა პოლიციელებს ჩვენი დაშლა და იმათაც აქეთ-იქით გაგვრეკეს.

ამის შემდეგ გორში კრივი აღარ გამართულა.

ერეკლე ლუკაშვილი



# პაემანი სიკვდილთან

ეროვნული ბიბლიოთეკა

გერჰარდ ჰარქენზალი

იდუმალებით მოცულმა მკვლელობამ, რომელიც ბერლინის სამხრეთით ერთ პატარა დაბაში მოხდა, თავზარი დასცა მანამდე მყუდრო და წყნარი დაბის მთელ მოსახლეობას. ყველა კარგად იცნობდა დორა ჰოფაკერს, თავისი სილამაზით და გარეგნობით ეს ქალი ყველას ყურადღებას იქცევდა, და აი იგი, ერთ დღეს, დამხრჩვალი იპოვეს იმ ბებერ მუხასთან, სადაც ხშირად ხვდებოდა თავის შეყვარებულს.

არავინ იცის რა მოხდა ოქტომბრის იმ ნისლიან დღეს. ბევრზე მიიტანეს ეჭვი, დაჰკითხეს აუარებელ ხალხს, მაგრამ მიაგნებენ კი გამომძიებლები ნამდვილი მკვლელის კვალს?

ავტორი მეტად საინტერესოდ და დაძაბულად გადმოგვცემს მთელ ამ ამბავს და მკითხველი მას მიჯაჭვული ჰყავს პირველიდან ბოლო სტრიქონებამდე.

## თავი პირველი

ბერლინის სამხრეთით, იქ, სადაც დრეზდენისა და ოდერის ფრანკფურტისაკენ მიმავალი საავტომობილო გზები ჰკვეთენ ერთმანეთს, ერთი რაიონული ცენტრი მდებარეობს. ძველად აქ, ლამაზი სანახაობის გარდა, მნიშვნელოვანი არაფერი იყო; ახლა კი ბევრი რამ შეიცვალა, და თუმცა ისევ ისე ირხევიან ქარში ფიჭვები და გაშლილი მდინარის ტალღები კვლავ ელამუნებიან ქვიშიან ნაპირს, მაგრამ იქ, სადაც წინათ მყუდროება სუფევდა, ახლა გაუთავებელი გუგუნი და ზრიალი ისმის. გზებზე ოთხმოცდაათი კილომეტრის სიჩქარით მიჰქრიან ავტომანქანები, ხოლო ხის მაღალ კენწეროებს დაჰზუზუნებენ საერთაშორისო საჰაერო გზებზე დედამიწის ყველა კუთხისაკენ მიმავალი თვითმფრინავები.

ადამიანები ახლა მთელ მსოფლიოში უფრო დაუახლოვდნენ ერთმანეთს. საღამოთი ყველგან იციან ის, რაზედაც დილით პოლიტიკოსები ბჭობდნენ მოსკოვსა თუ ვაშინგტონში.

**1961** წლის **27** ოქტომბერს, ბერლინისაკენ მიმავალ გზაზე, ბენზინის ჩამომსხმელი ფრანც ლოში თავის ჩვეულებრივ სამსახურებრივ მოვალეობას ასრულებდა. ბენზინის კოლონასთან აუარებელი მანქანები ირეოდნენ და ფრანცს სულის მოთქმის საშუალებაც არ ჰქონდა, მაგრამ ეს ამბავი სულაც არ აღონებდა, რადგან ეს ფაცი-ფუცი თითქოს ჰფარავდა მის შინაგან მღელვარებას. ფიქრით ის სულ სხვაგან იყო, და მოკლედ მოიბოდიშებდა ხოლმე, როცა კარგად ვერ მოემსახურებოდა რომელიმე შოფერს — ან ნაკლებ ბენზინს ჩაუსხამდა, ან კიდევ ხურდას დააკლებდა.

— მაპატიეთ! — იტყოდა ხოლმე.

— საქმე საქმეა, უნდა იცოდე! — ეტყოდა უკმაყოფილო მგზავრი.

— არა უშავს, სხვა დროს უფრო დამშვიდებული იქნება, — პასუხობდა მეორე.

ფრანცი კი ერთთავად იმ ამბავზე ფიქრობდა, პოტსდამიდან ჩამოსულმა მისმა კოლეგამ რომ შეატყობინა — შენი მუშაობის შესამოწმებლად რამდენიმე კაცი მოდისო.

— იცოდე, საიდუმლოდ გეუბნები, — უთხრა კოლეგამ.

ფრანცმა მადლობა გადაუხადა, თანაც ისეთი სახე მიიღო, თითქოს ეს შემოწმება მას სულაც არ აწუხებდა.

მაგრამ ამის შემდეგ გონება სულ აერია. მაშ რევიზია მოდის? როდის ჩამოვლენ? ერთ საათში, ორ საათში, იქნებ ნაშუადღევს, როცა სამუშაოდან უკვე თავისუფალი იქნება? ან ეგებ სულაც ხვალ ჩამოვიდნენ!

ამ ფიქრებში იყო გართული, როცა მორიგ მანქანაში ბენზინი ჩაასხა. ადგილიდან რომ დაიძრა, მანქანამ სახეზე კვამლის ბოლქვები შეაფრქვია. ფრანცს ხველა აუტყდა, მაგრამ, იმის ნაცვლად რომ გვერდზე შებრუნებულიყო, კვლავ მიმავალ მანქანას მიშტერებოდა, თითქოს მასთან ერთად ქრებოდა მისი იმედები.

„წყეულიმც იყვნენ, — ფიქრობდა ფრანცი, — თუ ნაშუადღევს მოვლენ, მაშინ ერიხიც აქ იქნება, სამუშაოზე და როგორღა ვაჩვენო რევიზორებს ეს ყალბი ქაღალდები. ღორობაა, მაშ რა ჭირია!“

ქუდი მოიძრო და კბილები ისე დააჭირა ერთმანეთს, რომ ყვრიმალის ძვლებს ქვემოთ კუნთებმა ცახცახი დაიწყეს.

„ცხადია, — გაჰყვა იგი თავის ფიქრებს, — კოკა, ერთხელაც იქნება წყალზე გატყდება. პოტსდამში ისე ცოტა ხალხი რომ არ ჰყავდეთ და უფრო ხშირად გზავნიდნენ შესამოწმებლად, ბენზინი უკვე დიდი ხანია თავზე, საყრელად იქნებოდა“.

მაგრამ ახლა სხვა გამოსავალი არ არის! ფული უნდა იშოვოს, ფული უნდა დადოს სალაროში, თორემ ძლიერ ცუდად წაუვა საქმე.

მაგრამ ჰოი, მამა ზეციერო, სად იშოვოს ეს ფული, სად? ეს ხომ სწორედ ის არის, რაც მას აკლია, რასაც მუდამ დაეძებს. განა ეს ნაბიჯიც უფულობამ არ გადაადგმევინა? ფული სჭირდებოდა, ისიც ბლომად და უხვად, ფული სიგარეტისა და არყისათვის, სჭირდებოდა მოტოციკლისათვის და ხანდახან გოგოებში გასავლელად. ვერ წარმოედგინა, როგორ აჭერხებდნენ ყოველივე ამას სხვები, ვისაც შემოსავლის არავითარი დამატებითი წყარო არა ჰქონდა, ვინც მარტო თავისი ხელფასის იმედით იყო და არაფერი დანაზოგი არ გააჩნდა. რა გზას ადგებოდნენ ისინი, ფრანცს ვერ წარმოედგინა.

მაგრამ ახლა ამას რა მნიშვნელობა ჰქონდა — ფული იყო საჭირო.

ფრანცი იქით გაემართა, სადაც მისი კოლეგა იოხენი მანქანას ზეთავდა.

— ცოტა ხნით ვერ შეწყვეტდი მუშაობას? — ჰკითხა მას.

— არ შემიძლია, — უპასუხა იოხენმა, — დრო არა მაქვს.

— ერთ მარკას მოგცემ და მაგ შენს საქმესაც მე გავაკეთებ.

— სიტყვა სიტყვაა, — უნდობლად მიუგო იოხენმა. — დოქტორს ნაშუადღევისთვის სჭირდება მანქანა!

— ნა-შუ-ა-დღე-ვისთვის — დამარცვლა ფრანცმა. მერე ერთ წუთს თვალი დახუჭა და გაიფიქრა: „ნაშუადღევამდე შეიძლება ყველაფერი მოხდეს“. ამოიოხრა, მაგრამ იმავ წამს გაუელვ : იოხენი მარტო ამის გამოც კი მკითხავს — რა მოხდაო.

და მართლაც, კოლეგამ თანაგრძნობით ჰკითხა — რა დაგემართაო?

ფრანცს თავის თავზე ბრაზი მოუვიდა, მერე ისეთი მოძრაობა გააკეთა, თითქოს ტანსაცმლიდან რაღაც ჩამოიბერტყაო.

— რევმატიზმი მაწუხებს, — მოკლედ მიუგო იოხენს, — მაინც გთხოვ, წადი ახლავე ბერლინის ქუჩაზე, თოთხმეტ ნომერ სახლში ცერნერები ცხოვრობენ. იქვეა ზატლერიც. ხომ იცნობ? ჰოდა, კარგი სალამი გადაეცი ჩემგან, ისიც მაშინვე აქეთ გამოსწევს. გასაგებია?

— მერე დაპირებული ერთი მარკა? — ჰკითხა იოხენმა.

ფრანცმა ჯიბეს იტაცა ხელი და ფული ამოიღო — აჰა, წადი ახლა!

ფრანცი სიტყვის კაცი იყო. როგორც კი იოხენი მოსახვევს მიეფარა, ზეთით სავსე ჭურჭელი აიღო და მანქანის შასებს შეაფრქვია. ისე გულმოდგინედ შეუდგა საქმეს, დოქტორს რომ დაენახა, ძალიან გაიხარებდა, თუ ოდნავ მაინც დაკვირვებული კაცი იყო.

ფრანცმა წარმოიდგინა, თითქოს ახლა მართლაც ხელებში შეჰყურებდნენ, ან მის ნამუშევარს მოგვიანებით უსათუოდ შეამოწმებდნენ; ამიტომ უნდოდა მეტად კეთილსინდისიერ მუშად ჩაეთვალათ, თითქოს ჯმით შეიძლებოდა გამოესყიდა თავისი დანაშაული. ახლა მას სჭირდებოდა თანაგრძნობა, შეწყალება, ისეთი რამ, რაც მისდამი სიბრალულის გრძნობას აღუძრავდა ადამიანებს. ამ სურვილით იყო გამსჭვალული, მაგრამ სწორედ ამ წუთებში ახლო-მახლო არავინ იყო და ფრანცს მხოლოდ თავის თავთან შეეძლო საუბარი.

წუთები კი გარბოდნენ, ძვირფასი წუთები და ამ დაწყევლილი დროის ყველა მონაკვეთში შეიძლებოდა გამოჩენილიყო ცისფერი მანქანა, რომელსაც ასე კარგად იცნობდა და რომლის გამოჩენისაც ისე არასოდეს ჰშინებია, როგორც დღეს.

ამასობაში რამდენიმე კლიენტს მოემსახურა.

ყოველ მათგანს ალერსიანად და მლიქვნელივით უღიმოდა. ოდნავადაც კი არ უგრძნობინებია და გადაკრულადაც კი არ უნიშნებია შოფრებისათვის, რომ ის მათგან ზედმეტ გასამრჯელოს მოელოდა.

სად დაიკარგა ეს ზატლერი! ეგებ სჯობდა იოხენისათვის დაებარებინა — უთხარი, რომ სასწრაფო საქმე მაქვსო. მაგრამ იოხენი გაიძვერაა. საკმარისი იყო ეჭვი აეღო რამეზე და უმალ ეცდებოდა საქმეს ძირითძირობამდე ჩასწვდენოდა, ფარდა ბოლომდე აეხადა.

არა, იოხენს ვერ ენდობა კაცი, რაც უთხრა, იმაზე მეტის თქმა არ შეიძლებოდა, და თუ ზატლერი მთლად ჩერჩეტი არ არის, მიხვდება, რომ ფრანცს რაღაც აუცილებელი საქმე აქვს.

მადლობა ღმერთს, აგერ ზატლერიც მოდის. რაღა თქმა უნდა, იოხენიც თან მოსდევს, მაგრამ ფრანცმა მას ხელში ზეთის ქურქელი შეაჩეჩა, ზატლერს კი ანიშნა სამუშაო ჯიხურში შესულიყო. როცა თვითონაც შიგნით შევიდა და კარები მიიხურა, მიხვდა, რომ ზატლერს წარმოდგენაც არა ჰქონდა, თუ რა უბედურება იყო მოსალოდნელი. უფრო მეტიც, ზატლერმა გულუბრყვილოდ შეხედა ფრანცს და ჰკითხა — რა მოხდა, იქნებ ისევ ცოტაოდენი ფულის მოცემას აპირებო!

ფრანცს ეგონა დამცინისო და ხელახლა შიშმა შეიპყრო, შუბლზე ოფლის წვეთები დააყარა. თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა და ცდილობდა დაერწმუნებინა თავისი თავი, რომ იოხენი ისევ მანქანასთან მუშაობს და ჩვენ ყურს არ გვიგდებსო. მერე უცებ შემობრუნდა და ზატლერს შეხედა, ეტყობოდა ისიც თანდათან ხვდებოდა, რომ უდარდელობისათვის არავითარი საფუძველი არ იყო, მაგრამ არც ის უნდოდა რაიმე ცუდი ეფიქრა. ფრანცი ისევ მის წინ იდგა და ეს იმას ნიშნავდა, რომ მისი ხრიკები ჯერ არავის აღმოეჩინა, თუმცა ყოველ შემთხვევისათვის მაინც მზად უნდა ყოფილიყვნენ.

— ძალიან ამყრალდა საქმე? — ჰკითხა ზატლერმა იმ იმედით, ეგებ ფრანცმა გაცინება შეძლოსო.

ფრანცმა ტუჩები მოკუმა და მხოლოდ თავი დაუქნია. „აგრეა!" უთხრა ბოლოს და ზატლერს სიტყვასავით დააყარა: — პოტსდამიდან რამდენიმე კაცი მოდის შემოწმებაზე, ამიტომ სალაროში ფული უნდა ეწყოს, თუ გვინდა, რომ ყველაფერი ისე დარჩეს, როგორც აქამდე იყო. მერე ერთხელ კიდევ გახედა ფანჯარას და გაიმეორა:

— გესმის, ფულია საჭირო, ფული, მერე მობრძანდნენ, რამდენიც ნებავთ.

— ფული! — შეეხმიანა ზატლერი; იგი მაგიდას მიყრდნობოდა და დავიწყებოდა მოეკიდებინა სიგარეტისათვის, ამდენ ხანს ხელში რომ ეჭირა.

— ფული! — მერე გულიანი სიცილით დაუმატა: — ალებაზე რომ მარჯვე ვართ, რატომ არ უნდა დავდოთ!

ფრანცმა თავი დაუქნია. როგორც იქნა, ზატლერი ჩასწვდა საქმის ნამდვილ შინაარსს.

— სწორედ ამიტომ დაგიძახე!

— მე არაფერი არა მაქვს, — შეაწყვეტინა ზატლერმა და თან მხრები აიჩეჩა.

— მოდა, რამენაირად უნდა ვიშოვოთ!

— ვისესხოთ?

— მაშ რა უნდა ვქნათ?

— მერე და ვისგან ვისესხოთ?

ფრანცმა ნიკაპი მოისრისა და გაიმეორა:

— ჰო, ვისგან?

ზატლერი ჯავრისაგან ერთიანად დაძაბული იყო.

— ბოლოსდაბოლოს, თქვი!

ფრანცი მოჭუტული თვალებით მისჩერებოდა.

— მოვიფიქრე, — დაიწყო მან წყნარად, — ეგებ...

და უცებ თითქოს სახიდან ნიღაბი ჩამოიხსნაო, ფრანცმა თუმცა ძალიან კარგად იცოდა, რომ ზატლერი არ დაეთანხმებოდა და გაუძალიანდებოდა, რაღაც ირონიით თუ უზრუნველი ღიმილით დაასრულა:

— დორასაგან ვისესხოთ.

მაგრამ იყო კი ზატლერი საამისოდ მომზადებული? უცებ რომ აყვირებულიყო? ზატლერი მაგიდას მოსცილდა, როგორც იქნა, სიგარეტს მოუკიდა და რამდენჯერმე ღრმად მოქაჩა. მეგობარი გამხჭვალავი თვალით შესცქეროდა, თუმცა ყოველივეს უფრო გრძნობდა, ვიდრე ხედავდა. ვითარება სულ უფრო და უფრო დაძაბული ხდებოდა, ზატლერმა მაინც მოახერხა და თითქოს მხიარულად წამოიძახა:

— ნეკი თითის მოჭრაც რომ დამჭირდეს, მაგას მაინც არ ჩავიდენ!

სცდებოდა ზატლერი, როცა ფიქრობდა, ფრანცი ამ პირველივე მტკიცე უარის შემდეგ თავს დამანებებსო. ფრანცი მას არაფერს დაუთმობდა. მან იმიტომ კი არ წამოუყენა ეს წინადადება, რომ ახე უცებ უკან დაეხია და იარაღი დაეყარა. ფრანცი სულაც არ უწევდა ანგარიშს იმ სავარაუდო მიზეზებს, რომელთა გამოც ზატლერი უარზე იდგა. ის გონივრულად ხჯიდა.

— დორას ფული აქვს და შენ აუცილებლად მოგცემს...

მხიარული პასუხით რომ ვერაფერს გახდა, ზატლერმა მღელვარებით წამოიძახა:

— მაგრამ მე რომ არ მინდა ვთხოვო?!

— შენ თუ არ გინდა, მე მინდა! — მტკიცედ უპასუხა ფრანცმა, — მე და შენ ორივე ერთ ცეცხლში ვართ. მიმიფურთხებია შენი სენტიმენტალობისათვის, გაიგე? პრანჭვა-გრეხვას თავი გაანებე. ტყუილი არ გავა, მაშ აღარც დორას მივმართოთ?

— ეს ერთი და იგივე არ არის! — იცავდა თავს ზატლერი.

ფრანცი დიდად შეშფოთებული იყო და ხვდებოდა, რომ არც ზატლერისათვის უნდა ყოფილიყო სულ ერთი, დააღწევდა თუ არა მისი მეგობარი თავს ამ გასაჭირს. და, ბოლოს, ზატლერი, რაკი დაინახავდა, რომ სხვა გამოსავალი არ იყო, დაეთანხმებოდა.

— ვიცი რატომაც არ გინდა აიღო დორასაგან ფული, — დაიწყო ფრანცმა გამომცდელი ტონით, — თავი მოგაბეზრა და აღარ გინდა, რომ ამ ფულის გამო ისევ ხელში ჩაგიგდოს?

ზატლერმა თავი დაუქნია. ფრანცი მართალი იყო, მაგრამ სათქმელი მას ჯერ არ დაემთავრებინა და შიშისაგან შეძრწუნებული ზატლერი ელოდა კიდევ რას ეტყოდა, ან რას ურჩევდა მეგობარი.

— ბოლოს და ბოლოს, ცოლ-შვილზე მაინც იფიქრე! — განაგრძობდა ფრანცი.

ზატლერს სახე მოეღრუბლა, მაგრამ ვიდრე რაიმეს თქმას მოახერხებდა, ფრანცმა პირზე მომდგარი სიტყვა შეაწყვეტინა და უთხრა:

— ჰელგამ ძალიან გაგანებივრა. ვიცი, თქვენ ორივე ერთნი ხართ, მაგრამ რათ გავიწყდება, რომ დორა მალე პატარა ზატლერს დაბადებს.

— ხმა ჩაიწყვიტე! — გაშმაგებით იყვირა ზატლერმა. და ეს იმიტომ, რომ ფრანცმა დაუფარავად მიახალა პირში სიმართლე.

სხვა დროს ფრანცი არც გაინძრეოდა, მაგრამ, ახლა რაკი მახლობლად იოხენი ეგულებოდა, ზატლერს საყელოში სწვდა და ჩურჩულით უთხრა:

— რა გაღრიალებს! იოხენს ყური აქეთ უჭირავს, რეგვენო, მართლა გინდა შენი ცოლ-შვილი უპატრონოდ დატოვო?! თუ რევიზორებმა ყველაფერი გაიგეს, რამდენიმე თვე, იცი, რანაირ აგარაკზე მოგვიხდება ყოფნა?

— შენ შეიძლება. მე კი არა! — უპასუხა მოქანცულმა ზატლერმა ისე, თითქოს უნდოდა თავის ნათქვამზე ფრანცის დასტურიც მოესმინა.

მაგრამ ფრანცი ასე არ მოქცეულა. იგი ხელახლა მოსდგა ზატლერს, იცოდა რა, რომ სწორედ ოჯახზე ფიქრი და წუხილი აიძულებდა მას წასულიყო დორასთან ფულის სათხოვნელად.

— კარგი, ვთქვათ, გამოვართვი, მერე, ვალი როგორ უნდა გავისტუმრო? — ჰკითხა ზატლერმა, როცა თავის დასაცავად ძალა აღარ ეყო.

ფრანცი გაოცებული იყო, ნუთუ ასეთი სულელიაო. თავს ნელა აკანტურებდა, შემწყნარებლურად, ისე, როგორც მასწავლებლებმა იციან, მოსწავლის უგუნურ პასუხს რომ მოისმენენ.

— სულელო, შენ, ალბათ, გინდოდა გეთქვა რ ო დ ი ს და არა რ ო გ ო რ. რევიზორები რომ წავლენ, ფულს ისევ სალაროდან ავიღებთ და დორას მივუტანთ.

ეს სიტყვები სულაც არ ჟღერდნენ დამაჯერებლად და, რა თქმა უნდა, ეს არ იყო ხსნა. ამიტომ ზატლერმა გესლიანად შენიშნა:

— ჰო, სხვა დროსაც ასე მოვიქცეთ. ვთხოვოთ ფული და დავუბრუნოთ. მერე ისევ, მერე ისევ და მერე ისევ... ადამიანო, გესმის რას ამბობ? — ზატლერი უკვე მწარედ კვნესოდა.

ფრანცი ქვედა ტუჩს იკვნეტდა, თვალები ბოროტად უციმციმებდა, მან ახალი რაღაც მოიფიქრა:

— ვითომ რა მოხდება, უკან რომ აღარ დავუბრუნოთ?

ფრანცი ყირაზეც რომ დამდგარიყო, ზატლერს ამაზე მეტად ველარ გააოცებდა.

— შენ გგონია დორა გვიჩივლებს? — ჰკითხა რაღაც საზიზღარი სიცილით, — პირიქით, გაუხარდება კიდეც, თუ შენთვის ფულის მოცემის საშუალება ექნება.

ზატლერს კი ყველაზე მეტად ამისი ეშინოდა, ამის გამო არ თანხმდებოდა ფრანცის წინადადებას.

— სწორედ მაგის გამო არ მინდა! — კიდევ ერთხელ განუმარტა ზატლერმა, — სწორედ მაგის გამო, რადგან ამ გზით ისევ ხელში ჩამიგდებს. ხოლო რა თვალით ვუცქერი მას, ეს შენ კარგად იცი! — შინაგანი ტანჯვისაგან ხმა აუთრთოლდა და ძლივს განაგრძო: — სიამოვნებით მოვკლავდი! დიახ, მოვკლავდი! ბოლოს მოვუღებდი და მეც საბოლოოდ დავშვიდდებოდი.

ფრანცს ამის გაგონება სულაც არ ეჭაშნიკა, ამიტომ ისევ ადრინდელ ნათქვამს დაუბრუნდა და დაცინვით უთხრა:

— შენც ამბობ რაღა, ისევ ხელში ჩამიგდებსო! ნეტა შენ რა გეხარჯება?

— შენს ლოთობასთან რომ არაფერი მაკავშირებდეს... — არაადამიანური ხმით დაიკვნესა ზატლერმა.

ფრანცმა უხეშად დაუყვირა:

— ეგეთ სიტყვებს თავი გაანებე! ერთად ვსვამდით, ერთად ვხარჯავდით...

მერე ცოტა დამშვიდდა.




— არის მანდ სხვა რამეც, — გადაუკრა სიტყვა მეგობარს, — ჰოფაკერსაც სიამოვნებით გავაწნავ სილას!

ზატლერმა მხრები აიჩეჩა.

— განა დამავიწყდა? — განაგრძობდა ფრანცი, — რომ სწორედ მან დამღუპა. იმ ფარდულის საქმე ხომ გახსოვს?

— რატომ წამოხვედი მისგან? — შეედავა ზატლერი.

— იმის მერე, რაც მან მე, როგორც არამზადა, გარეთ გამომაგდო?

ზატლერს საბაბი მიეცა ფრანცის ნათქვამს დაბრუნებოდა.

— რატომ იქნებოდა სილის გაწნა, თუ ჩვენ დორა ფულს მოგვცემდა?

— დორას ფული ხომ მისი ფულიცაა, — გაიღიმა ფრანცმა, — ჰოდა, რას გავიხარებდი, თუ ამ გზით მას სამაგიეროს გადავუხდიდი!

ირონიულმა ღიმილმა ზატლერს სახე დაუმანჭა.

— მაშ ეგრე მოიქეცი.

— კიდევაც მოვიქცევი.

სწორედ ამ დროს გარეთ ცისფერი მანქანა ჩამოდგა და ფრანცი იძულებული იყო ბენზინის კოლონასთან გასულიყო.

— კარგად იფიქრე! — მოაძახა გასვლისას ზატლერს.

ზატლერი ერთ ხანს გაუნძრევლად იდგა და ფანჯარას მისჩერებოდა, მაგრამ მისი გონება იმას არ აღიქვამდა, რასაც თვალები ხედავდნენ. თავი უბურდა და ვერაფერი მოეხაზრებინა. სიგარეტი მოქაჩა, ხელები შარვლის ჯიბეში ჩაიწყო და თითქოს ბურანში, დორას სახე დაუდგა თვალწინ.

— არამზადა! — შეიგინა და თითქოს ამ სიტყვამ შემოხსნა ყველაფერი, რასაც მისი ტვინი შეებოჭა.

ახლა იგი მოგონებებში ჩაიძირა.

ფრანცი მართლაც არა ტყუოდა. როცა აქ ფარდულის საქმე ჩავარდა, მიუხედავად იმისა, რომ ამ საქმეში მას დიდი მონაწილეობა არ მიუღია, მაინც ორი თვით ჩასვეს.

ახლა თავისი ოჯახი წარმოუდგა თვალწინ, ჰელგა და ორი ბავშვი. ამაზე, ალბათ, უფრო ადრე უნდა ეფიქრა და, უნდა ეფიქრა საერთოდ ყველაფერზე! როგორ ტიროდა ჰელგა და თეთრად ათენებდა ღამეებს, თან ეხვეწებოდა ქმარს — დორას ჩამოშორდიო. და პირველ ხანებში მაინც აიყოლია ეშმაკმა.

მერე უკვე გვიანღა იყო. დორას ისე ჩაუვარდა გულში ზატლერი, მოსვენება აღარ მისცა. ზატლერს ყველაფერი ცოცხლად დაუდგა თვალწინ. რაღაც დაუძლეველმა ვნებამ შეიპყრო. გარდა ამისა, უცნაურმა სიამაყემაც დააბრმავა, კერძოდ იმ ამბავმა, რომ ჰელგას გარდა სხვა ქალსაც მოსწონდა იგი. ნამდვილ სიყვარულზე კი აქ ლაპარაკიც არ შეიძლებოდა. მაისის დღესასწაულზე ბევრი დალია, აღგზნებული იყო და ერთი ორჯერ დორასთან იცეკვა. მარტინ ჰოფაკერს დიახაც არ სიამოვნებდა მათი ეხოდენ თავაწყვეტილი მხიარულება, მაგრამ მაინც დინჯად და დარბაისლურად უჭდა ლუდით სავსე კათხას და, ალბათ, სულ უბრალო რამეზე საუბრობდა.

ზატლერი და დორა ერთად გავიდნენ გარეთ. მინდვრისაკენ გასწიეს. თბილი, მომხიბვლელი საღამო იყო და ზატლერმა ცდუნებას ველარ გაუძლო. მარტო აღკოჰოლი კი არ იყო მიზეზი, რამაც თავიააწყვეტინა, არამედ ის უცნაური აღტკინება, რომელსაც მთელი კვირეების მანძილზე ვერ მოერია. სულ უფრო და უფრო ხშირად ხვდებოდა დორას ხან ბებერ მუხებთან და ხან ჭაობებთან, სადაც თხმელის ბუჩქები იზრდებიან.

რაღა თქმა უნდა, ეს ამბავი მალე მთელმა სოფელმა შეიტყო. პარტიული ორგანიზაციის მდივანი რუსტოვი დიდხანს ესაუბრა ამის თაობაზე.

მინდორსა თუ თავლებში ყველგან მას დასცინოდნენ. დახეთ რას სჩადიან ეს ლაწირაკი და ათი წლით მასზე უფროსი ქალბატონი! (თუმცა ეს ყველაზე უფრო რბილი გამოთქმები იყო იმ სიტყვებიდან, რასაც მათი მისამართით ამბობდნენ). სწორედ ამ მითქმა-მოთქმამ გააჯიუტა ზატლერი. მაგრამ დაცინვას მწარედ განიცდიდა და ამან ჩაუხშო პირვანდელი აღტკინება. მას ახლა უკვე შეეძლო ჩამოშორებოდა დორას, მაგრამ სულელურმა სიჯიუტემ და ქედმაღლობამ შეუშალა ხელი. კეთილი გულით წარმოთქმულ საყვედურებს ზატლერი თვითკმაყოფილების გამომხატველი ღიმილით პასუხობდა, მაგრამ იმასაც გრძნობდა, რომ ეს ქალი უკვე შემაწუხებელი ტვირთი იყო მისთვის. კიდევაც უხაროდა, რომ გულში უკვე შეეძლო მას. ბოლოს იქამდე მივიდა, რომ ხალხის აზრისათვის ჯიბრში ჩადგომა ველარ შეიძლო და გადაწყვიტა, თუ სხვაგვარად ვერ მოხერხდებოდა, ყოველგვარი შელამაზების გარეშე პირში მიეხალა დორასათვის სიმართლე.

დორამ კი სწორედ ახლა დაუწყო ვედრება ცოლად წამიყვანეო. ზატლერს მწარედ გაეცინა. როგორც კი დროს იხელთებდა, ქალი მაშინვე მათ „საერთო ბედნიერებაზე" იწყებდა ლაპარაკს.

ქორწილი! რა ქორწილზე შეიძლება ლაპარაკი, როცა ორივეს ოჯახი ჰყავს! დორა მუდამ ახალ-ახალ საბუთებს გამოძებნიდა ხოლმე იმის დასამტკიცებლად, რომ ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვსო.

— არავითარი მნიშვნელობა არა აქვს! — იმეორებდა ზატლერი, — მას ფანტაზია არ ჰყოფნიდა აეხსნა ქალისათვის, რომ ეს უაზრობაა, რომ გონიერი ადამიანები ასე არ იქცევიან.

— შენი ქმარი, — უთხრა მან დორას, — არასოდეს თავს არ გაგანებებს. ამას იგი არ გააკეთებს, თავისი მორალი აქვს და ადათ-წესებს დაიცავს.

დორამ თვალები დახუჭა ზატლერს მიეკრა და ხელები თავზე შემოაჭდო.

— მარტინი, — წარმოთქვა მან, — ვერ გაბედავს გაყრაზე უარი მითხრას. მე მის რაღაცეებს მოვაკვლევ.

— მიაკვლიე?

— დიახ, მაგისი დიდი საიდუმლო ვიცი.

დორას მეტი არაფერი უთქვამს და არც ზატლერი ჩაეძიებოდა, თუ რა იცოდა. მას არ უნდოდა ეს საიდუმლო გაეგო, არ აინტერესებდა. თუმცა თავის თავისთვისაც ვერ აეხსნა, ისეთი რა უნდა იცოდეს, რომ ქმარი აიძულოს და გაყრაზე დაითანხმოსო. ეს მან, უბრალოდ, სიცრუედ ჩათვალა, ამ ხრიკებით უნდა თავისი გაიტანოსო. დორამ ამით უფრო მეტად შეაძულა თავი ზატლერს, იგი უკვე უპასუხოდ სტოვებდა მის წერილებსაც და იმასაც, რასაც ზეპირად, ბავშვის საშუალებით შემოუთვლიდა ხოლმე.

ახლა იგი ისე ექცეოდა დორას, როგორც ყველა სხვა ქალს. ეს სოფელში შეიტყვეს, და ატყდა ისევ ჩურჩული და მითქმა-მოთქმა. დორას მდგომარეობა იცოდნენ, მაგრამ ის კი არ იცოდნენ, თუ ზატლერი მხოლოდ შირმა იყო, რომ დორას ყველა გაეცურებინა, ალბათ, იმიტომ, რომ ისინი უკვე დიდი ხანია ერთად იყვნენ და ერთად ელოდნენ ბავშვის გაჩენას.

რამდენადაც უაზრო იყო ეს ვარაუდი, იმდენად ჯიუტად ეჭირა ქალს თავი. იმაზე ცუდი არაფერია, როცა სიმართლეს ტყუილად მიიჩნევენ. ზატლერმა დორაზე საბოლოოდ გაიმარჯვა. სოფლის აზრის წინაშე კი უძლური იყო. მას უფლება არ ჰქონდა, რომ თავისი სიმართლისათვის სიტყვიერი სამოსელი შეესხა. ამით თავის სიძულვილს გამოააშკარავებდა. მას არც უნდა ეთქვა ფრანცისათვის ის, რაც ამ ცოტა ხნის წინ უთხრა. სახელდობრ, რომ დორას სიამოვნებით მოჰკლავდა.

ფრანცი კი ახლა აუტყდა — ამ ქალს ფული გამოართვიო. დორა ხომ მარტო იმას ელის, რომ ზატლერი როგორმე ისევ ხელში ჩაიგდოს.

კარის ჭრიალზე ზატლერი შეკრთა, მაგრამ არ შემობრუნებულა. ისე კი აშკარად გრძნობდა ფრანცის მზერას.

— რა ჰქენი? — მოესმა ფრანცის ხმა.

— რაზე მეკითხები?

— მიდიხარ დორასთან თუ არა?

— არა.

ფრანცი მიუახლოვდა.

— სისულელეს თავი გაანებე! — ჩურჩულით გამოსცრა, — პირველ რიგში შენს თავზე იფიქრე, მერე ცოლ-შვილზე, და საერთოდ ყველაზე.

ზატლერმა ხელი მოჰკიდა და ნელა გასწია გვერდზე, ფრანცი იმდენად გაოცებული იყო მისი სიჯიუტით, რომ ეს უმნიშვნელო შეხებაც საკმარისი აღმოჩნდა გვერდზე გამდგარიყო.

— მაშ, არ წახვალ?

— არა და კიდევ არა!

— მას ხომ ფული აქვს? — უთხრა ფრანცმა.

ზატლერი ვერ მიხვდა რა მიზანი ჰქონდა ამ კითხვას და თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია.

— კეთილი, — თქვა ფრანცმა, — მაშ საქმეს სხვანაირად შემოვუაროთ. ჰოფაკერი ხომ სხვაგან არის წასული, ასეა არა?

ზატლერი ოდნავადაც ვერ გარკვეულიყო საით უმიზნებდა ფრანცი და ისე უპასუხა, თითქოს სრულიად უბრალო საგანზე საუბრობენო.

— ჰოფაკერი ერფურტშია წასული მებაღეობის მიღწევათა გამოფენაზე.

— მაშ, დორას მუხებთან შეხვდები. დაწვრილებით აუხსენი ყველაფერი და ერთ ხანს...

— ფრანც რას ამბობ, ფრანც...

— რა თქმა უნდა, შეგიძლია ჩვენს საქმეზე არაფერი უთხრა და პირადად ისესხო, — დამცინავად გამოსცრა ეს სიტყვები, — ეგებ ასე აჯობოს შენთვისაც.

(გაგრძელება იქნება).

გერმანულიდან თარგმნა ვენერა შინდაგორიძემ.

# მწვრთნელი და პრობლემები

ფეხბურთის მომავალ მსოფლიო ჩემპიონატამდე არც ისე დიდი დრო დარჩა, როგორ ემზადება სსრ კავშირის ნაკრები? ამაზე ჩვენ ვესაუბრეთ ნაკრების უფროს მწვრთნელ გ. კაჩალინს. ჩვენი პირველი კითხვა ასეთი იყო:

### რა პრობლემები დგას ნაკრების წინაშე?

— გუნდი, ფაქტიურად, თავიდან ყალიბდება. ვეძებთ, ბევრს ვეძებთ. დავიწყოთ მეკარით. ვერაფრით ვერ მოვძებნეთ იაშინის ღირსეული შემცვლელი. ა. კავაზაშვილი ახლა ადრინდელზე უარესად თამაშობს. სამხრეთ ამერიკაში ტურნე გავმართეთ, წავიყვანეთ ი. პშენიჩნიკოვი და ი. დეგტიარიოვი, მაგრამ ეს უკანასკნელი ავად გახდა და ექვსივე მატჩში პშენიჩნიკოვი გამოვიდა. როგორია ჩვენი დასკვნები? არასახარბიელო. თუ პშენიჩნიკოვს თამაში გამოუვიდა, იგი საუცხოო შთაბეჭდილებას სტოვებს (ასე მოხდა პირველ ოთხ მატჩში), მაგრამ ზოგჯერ იგი წონასწორობიდან გამოდის და სრულიად ყრის ფარ-ხმალს (მეხუთე და მეექვსე მატჩებში), ასეთი თამაშით პშენიჩნიკოვს ძალიან გაუჭირდება ნაკრებში ადგილის შენარჩუნება. მე უფრო მშვიდი და თანაბრად მოქმედი დეგტიარიოვის იმედი მაქვს. ახალი აღმოჩენა გახლავთ დნეპროპეტროვსკის „დნეპრის" მეკარე ა. პილგუი. გავიხსენოთ, როგორ იგერიებდა იგი თბილისელთა ცეცხლოვან შეტევებს „ენძელას" ფინალურ მატჩში, რომელიც სოჭში გაიმართა. ეს პილგუი რომ არა, თბილისელები მრავალ გოლს გაიტანდნენ. იგი სრულიად ახალგაზრდაა. ვნახოთ, როგორ გაიზრდება. ვ. მასლოვს იგი ხომ კიევის დინამოში გადაჰყავს!

### დაცვა?

— დაცვა შედარებით სტაბილურია. აქ ექვსი ჩინებული მოთამაშე გვყავს: ა. პონომარიოვი, ა. შესტერნიოვი, მ. ხურცილავა, რ. ძოძუაშვილი, ვ. კაპლიჩნი და ვ. სმირნოვი. ზოგჯერ ი. ისტომინის მოწვევასაც ვფიქრობთ.

მ. ხურცილავასა და რ. ძოძუაშვილზე მე მხოლოდ კარგის თქმა შემიძლია. ხურცილავა შესანიშნავი ცენტრალური მცველია, ამიტომ უაზროდ მიმაჩნია მისი გამოყვანა ნახევარმცველად და ზოგჯერ თავდამსხმელადაც კი, როგორც ამას მწვრთნელი ვ. სოლოვიოვი აკეთებდა. ის, რომ ძოძუაშვილი თბილისის „დინამოში" მარჯვენა მცველია, ნაკრებში კი მარცხენა, უბრალოდ უნდა ავხსნათ: ძალზე გაგვიძნელდა ნაკრებისათვის მაღალი კლასის მარცხენა მცველის მოძებნა, ამიტომ რეზო ამ ფრთაზე „გადავისროლეთ".

### ნახევარდაცვა?

— ნახევარდაცვაში ჩვენს მოთხოვნილებებს ჯერჯერობით მხოლოდ ვ. მუნტიანი აკმაყოფილებს, ისიც არც თუ სავსებით. მუნტიანი ალიგზნება ხოლმე შეტევისას, დაცვითი ოპერაციებისას უარესად თამაშობს. ძალიან აქებდნენ მინსკელ ვ. სახაროვს, მეც მომწონდა, მაგრამ მან რეჟიმი დაარღვია. ნაკრებში აღარ მოვიწვევთ. იმედებს ვამყარებთ ნ. კისელიოვსა და ა. ჩუმაკოვზე, რა თქმა უნდა, თუ სისტემატურად აამაღლებენ თავიანთ ოსტატობას.

### კ. ასათიანი, გ. სიჭინავა?

კ. ასათიანი დიდად ნიჭიერი ფეხბურთელია, მაგრამ ზოგჯერ თავს ნებას აძლევს მთელი მატჩების მანძილზე „შეისვენოს". ასე მოიქცა იგი „ენძელას" თასის ფინალურ მატჩში. გ. სიჭინავას მე თვითონ ვუთხარი, რომ, თუ სისტემატურად ივარჯიშა და სამაგალითო რეჟიმი დაიცვა, შეიძლება ნაკრებს დაუბრუნდეს.

### თავდასხმაზე რაღას იტყვით?

— აქ ჯერჯერობით ყველაზე მძიმე მდგომარეობაა. თითებზე ჩამოითვლებიან მოთამაშეები, რომელთაც შეუძლიათ ნაკრებში წარმატებით გამოსვლა. და ჩვენც დავიწყოთ ჩამოთვლა. მარჯვენა ფრთაზე...

### მეტრეველი?

— უეჭველად. იგი ორი მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილეა. თავის დროზე დაუმსახურებლად გამოიყვანეს ნაკრებიდან. დამეთანხმებით, ძალზე ძნელია გააკვირვო ბრაზილიელი გულშემატკივარი. მაგრამ უნდა გენახათ, რა ხდებოდა რიო-დეჟანეიროს გიგანტურ „მარაკანაზე" ჩვენი ნაკრებისა და პოპულარულ „ვასკო და გამას" მატჩში. მეტრეველი მეორე ტაიმში გამოვიდა და საყოველთაო მოწონება დაიმსახურა — „საბჭოთა გარინჩა" უწოდეს. ასეთი ასაკის მიუხედავად, მეტრეველმა შეინარჩუნა სისწრაფე ამ სიტყვის საფეხბურთო გაგებით. მაგრამ მას ხომ შემცვლელიც უნდა, ასეთს კი ვერ ვხედავთ. ჩისლენკოს ახლა მოსკოვის „დინამოშიც" აღარა აქვს მყარი ადგილი.

კიდევ უფრო გვიჭირს ცენტრალური თავდამსხმელები. ვ. სტრელცოვზე კარგა ხანია საბოლოოდ ავიღეთ ხელი. რეჟიმის სისტემატური დარღვევა, „ჩამოძინება" მოედანზე — ცუდი მაგალითია სხვებისათვის. მე პირადად მიმაჩნია, რომ სტრელცოვისნაირი ტალანტი 20 წელიწადში ერთხელ თუ გამოჩნდება, მაგრამ ნაკრებში პასიურობას არავის ვაპატიებთ. ჩვენს მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებს ა. ბანიშევსკიც. დიდი პრეტენზიები გვაქვს ა. ბიშოვეცთან. პარტნიორების „არ დანახვა", მეტისმეტად ინდივიდუალური თამაში, ზოგჯერ სრული გამოთიშვა — ხედავთ, რამდენი ცოდვაა! თუ ასე გაგრძელდა, ბიშოვეცზეც ხელს ავიღებთ. რა აზრი აქვს მის მიერ ერთი-ორი მეტოქის მოტყუებას, როდესაც პარტნიორებს ვერ ხედავს და წინ მიიწევს იქამდე, სანამ ბურთს არ წაართმევენ. განა ასეთი მანერით შეიძლება რამეს გახდე ძლიერ მეტოქესთან?!

ნუ მოგეჩვენებათ ეს სურათი მეტისმეტად პესიმისტურად, მე მომწონს ვ. კოზლოვის კომბინაციური მანერა (იგი გამოჯანმრთელდა ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ), ნიჭიერია მ. გერშკოვიჩი, თუმცა იგიც ზოგჯერ ზედმეტად ინდივიდუალურად მოქმედებს, მარცხენა გარემარბებად ჯერჯერობით ვ. ხმელნიცკი და გ. ევრიუჟიხინი თამაშობენ, სრულიად ვანსხვავებული მანერის ფეხბურთელები. ვეძებთ, აქაც ვეძებთ; მე ის მაიმედებს, რომ მოდის მეტად ნიჭიერი ახალგაზრდობა (20 წლამდე), თუმცა ბევრ მათგანს სათადარიგო შემადგენლობებში ცუდად ამეცადინებენ.

### რას იტყვით საბჭოთა ფეხბურთში გამეფებულ ტენდენციებზე?

— იგი უფრო შემტევი უნდა გავხადოთ. რატომ არ უნდა ითამაშოს, მაგალითად, თბილისის „დინამომ" ოთხი თავდამსხმელით? მას ხომ საამისო შემსრულებლები ჰყავს. მერწმუნეთ, თბილისელები მხოლოდ მოიგებენ.

მე უნდა გამოვთქვა ერთი საყვედური კიეველთა მიმართ. აქ მხოლოდ ორი თავდამსხმელი თამაშობს (ცენტრფორვარდი და მარცხენა გარემარბი), მაგრამ რადგანაც კიეველები იგებენ, სხვებიც ბაძავენ. უნდა გითხრათ, რომ სამხრეთ ამერიკაში ხანგრძლივი მოგზაურობის დროს ჩვენ არ გვინახავს, რომელიმე გუნდი სამი თავდამსხმელით გამოდიოდეს, აქ გაბატონებულია კლასიკური ბრაზილიური სისტემა 4+2+4.

### რას იტყვით ჩვენს მეტოქეებზე მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში?

— როგორც მოგეხსენებათ, ჩრდილოეთ ირლანდიელებმა ორჯერ, ბელფასტსა და სტამბოლში სძლიეს თურქებს (4:1, 3:0). ფაქტიურად, ჩვენ ვეთამაშებით არა ჩრდილოეთ ირლანდიის ნაკრებს, არამედ ინგლისის ნაკრების ერთ-ერთ ვარიანტს. ჩრდ. ირლანდიის ნაკრების ფეხბურთელთაგან ხომ მხოლოდ ერთი გამოდის ამ ქვეყნის საკლუბო გუნდში, დანარჩენები კი პირველ ინგლისურ ლიგაში თამაშობენ.

ცალკე უნდა შევჩერდეთ ირლანდიელთა მარცხენა გარემარბ ჯორჯ ბესტზე, რომელიც ახლა ევროპის №-1 ფეხბურთელად ითვლება. მისი ცნობა მოედანზე მეტად იოლია. ბითლზების მიბაძვით ბესტი ატარებს მეტისმეტად გრძელ თმებს.

როგორ უნდა ვებრძოლოთ ამ „გრძელთმიან ბითლზს"? იგი სრულიად უშიშარია და არ ერიდება რამდენიმე მცველთან ბრძოლას. თუ ერთი, პერსონალური მეტოქე მივუჩინეთ მთელი მოედნის მანძილზე (ვთქვათ, შეუპოვარი ისტომინი), ვფიქრობ, ვერ შეძლებს გამკლავებას, ბესტი თავგზას აუბნევს მას. ამიტომ, ჩემი აზრით, საუკეთესო რეცეპტია — განუწყვეტლივ ვუტევდეთ ირლანდიელებს, რათა ბესტს მაქსიმალურად გაუჭირდეს ამოქმედება.

აი, ერთ-ერთი შესაძლებელი ტაქტიკური ხერხი: ბესტი მარცხენა გარემარბია, ამიტომ ჩვენ თვით შევუტევთ მარცხენა ფრთით (ბესტისაგან მაქსიმალურად დაშორებულ უბანზე). თუ ბურთი დავკარგეთ, ბესტსაც გაუჭირდება დაეუფლოს მას. არა მგონია, ჩრდილოეთ ირლანდიის გუნდს ძლიერი მცველები ჰყავდეს, თუმცა მათი სისუსტე თურქებთან არ გამოჩენილა. უბრალოდ, თურქებს არა ჰქონიათ შეტევაზე გადასვლის საშუალება.

ერთი სიტყვით, ჩრდ. ირლანდიელებთან როგორც ბელფასტში, ისე მოსკოვშიც შეტევით თამაშს ვაპირებთ. ხელი უნდა შეგვიწყოს ერთმა გარემოებამაც: ჩრდ. ირლანდიის ფეხბურთელები საზაფხულო შესვენების შემდეგ იკრიბებიან აგვისტოს უკანასკნელ შაბათს და ჩვენთან შეხვედრის მომენტში (10 სექტემბერს ბელფასტსა და 22 სექტემბერს მოსკოვში) ვერ უნდა მოასწრონ ფორმაში შესვლა. ჩვენ კი სექტემბერში საუკეთესოდ ვთამაშობთ ხოლმე.

### თურქების ნაკრებზე რაღას იტყვით?

— თურქებმა ძალზე სუსტად ითამაშეს ჩრდ. ირლანდიელებთან. ბელფასტში მათ ვერავითარი წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს მეტოქეს. როდესაც ანგარიში 4:1 გახდა, მასპინძლებმა დემონსტრატიულად შეწყვიტეს შეტევა. სტამბოლში ირლანდიელთა მწვრთნელმა თავის თავს ნება მისცა „დაესვენებინა" ბესტი და შესანიშნავი მარჯვენა გარემარბი კემპბელი. სტუმრებმა მაინც მოიგეს—3:0.

ეს ასეა, მაგრამ თურქებისაგან ხომ წინასწარ ვერასოდეს გაიგებ როდის თამაშობენ კარგად და როდის არა — ტიპიური „განწყობილების გუნდია". გავიხსენოთ, რომ მათ შეძლეს უნგრელებისა და ჩეხოსლოვაკელების დამარცხება, ჩვენც მოგვიგეს მოსკოვში. ისინი ჩვენთვის ტრადიციულად ძნელი მეტოქეები არიან.

როგორც ვხედავთ, გ. კაჩალინი ძნელი პრობლემების წინაშე დგას. მაგრამ იგი იმედითაა აღსავსე და ზემოხსენებული პრობლემების გადაჭრას ცდილობს. სიძნელეები მას ენერგიას მატებს.

ბიჭი გამრეკელი

# მოზაიკა



## შესქელებული რძე და შეთხელებული წიგნები

ამერიკელებმა კარგად იციან რძის კონდენსირება, რაც უთუოდ ცივილიზაციის დონის მაჩვენებელია. მაგრამ ბოლო ხანებში მათ ამავე ხერხს მიმართეს ბაირონის, შილერის, დოსტოევსკის და სხვა კლასიკოსების ნაწარმოებების გამოცემის დროს; ეს კი არც თუ ისე სასიამოვნო ამბავია!

„რატომ მოვიქანცოთ „ილიადას“ და „ოდისეას“ კითხვით. თუ ოც წუთში შეიძლება ყველა იმ ამბის გაგება, რაც ამ წიგნებშია მოთხრობილი“, — ამტკიცებენ შეთხელებული წიგნების გამომცემლები, რომლებმაც ამ „ბრძნული ხერხით“ რაღაც ორას ორმოცდაათ გვერდიან ტომში ჩასტიეს მთელი ბალზაკი, ტოლსტოი და გოეთე.

შესქელებული რძე შეიძლება წყლით განვაზავოთ, მაგრამ რა დავუმატოთ მსოფლიო ლიტერატურის გენიოსების თხზულებათა შემოკლებულ გამოცემებს, რითაც „რიდერს დაიჯესტის“ გამომცემლებმა ამერიკული წიგნის ბაზრის თაროები გაავსეს?!

ზაფხულობით ნიუ-იორკის სენტრალ-პარკის სცენაზე, ღია ცის ქვეშ, ყოველ საღამოს გადის შექსპირის ტრაგედიების დადგმები: ცათამბჯენების ფონზე იტანჯებიან ჰამლეტი, მეფე ლირი, იღუპებიან ჯულიეტა და ოფელია. განა თეატრს ეყოლებოდა მაყურებელი, ამ ტრაგედიების ნაცვლად მათი საოცრად შემოკლებული, უაზრობამდე მიყვანილი „კონსპექტები“ რომ ეჩვენებინათ?

მაგრამ ამერიკაში ყველა როდი ერთობა „რიდერს დაიჯესტის“ მსგავსი პროდუქციით: მათ გვერდით არიან თავისი საქმის ერთგული მწერლები, რომელთა შემოქმედება შეიყვარა ამერიკელმა ხალხმა და მთელმა კაცობრიობამ.



## მიცვალებული ინტერვიუს იძლევა

არც თუ ისე იშვიათია შემთხვევები, როცა ზეოპერაციულობას გამოდევნებული ამერიკელი ჟურნალისტები მეტად სასაცილო მდგომარეობაშივარდებიან. ასე მოხდა დაგ ჰამარშელდის აფრიკაში უკანასკნელი მოგზაურობის აღწერის დროსაც. მაშინ, როცა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მდივნის გვამი დალეწილი თვითმფრინავის ქვეშ ეგდო, ამერიკის გაზეთებმა დაბეჭდეს ჰამარშელდის სიტყვა, რომელიც მან ვითომ წარმოთქვა იმ ქალაქში, რომელშიც უნდა ჩაფრენილიყო. ჰამარშელდმა ვეღარ მიაღწია დანიშნულ ადგილამდე, მაგრამ გაზეთებში მაინც ზუსტად იყო აღწერილი, თუ რაოდენ ალტაცებით შეხვდნენ მას ქალაქის მკვიდრნი. აქვე მოყვანილი იყო საუბრები, იყო ვრცელი ინტერვიუც, რომელიც ვითომ ჰამარშელდმა მისცა აფრიკელ ჟურნალისტებს.

ამერიკული გაზეთები პირველ გვერდებზე ზოგჯერ იუწყებიან ახალი მთავრობების შექმნას, აჯანყებების დაწყებას, ხოლო მეორე დღეს იგივე გაზეთები ბოლო გვერდზე და წვრილი შრიფტით მორცხვად წერენ, რომ „ფაქტები არ დადასტურდა“, და არავის არა აქვს უფლება პროტესტი გამოთქვას ასეთი დეზინფორმაციის გამო.



## არიან ასეთი შექსპიროლოგებიც

ინგლისში, ისევე როგორც მთელ მსოფლიოში, რა თქმა უნდა, არიან შექსპირის ჭეშმარიტი თაყვანისმცემლები; ისინი დიდად აფასებენ გენიალური თანამემამულის შემოქმედებას. მაგრამ დიდი დრამატურგის სამშობლოში, ამ ბოლო ხანებში, გამოჩნდნენ ფრიად უცნაური შექსპიროლოგებიც. ასე მაგალითად, ინგლისში არსებობს „შექსპირული სადილების საზოგადოება“, რომლის წევრები შეძლებული ხალხი არიან და დიდ თანხას იხდიან საწევრო ანარიცხების სახით.

„შექსპირული სადილების საზოგადოების“ წევრები ხშირად იკრიბებიან და თავიანთ „სხდომებზე“ ჭამენ იმ საჭმელებს და სვამენ იმ სასმელებს, რომლებიც მოხსენებულია შექსპირის პიესებში. „სხდომის“ დროს იმოწმებენ ტექსტის სათანადო ადგილებს, მიმართავენ ფილოლოგიურ ანალიზს, იკვლევენ არის თუ არა შექსპირის მიერ მოხსენებული რომელიმე სასმელი იმ დროის სხვა წყაროებშიც და ა. შ. ამასობაში „შექსპიროლოგები“ გვარიანად გამოთვრებიან ხოლმე.



## პროცესი კოცნის თაობაზე

ჩრდილოეთ კაროლინის ქალაქ მონროში (აშშ) ამას წინათ მოეწყო სასამართლო პროცესი, რომელმაც განიხილა „საქმე კოცნის შესახებ“. ასამართლებდნენ ორ ზანგ ბიჭუნას — ექვსი წლის ჰანოვერ ტომპსონს და რვა წლის ფუზი სიმპსონს, რომლებმაც ქუჩაში, თამაშის დროს, გაბედეს და ლოყაზე აკოცეს ექვსი წლის თეთრკანიან გოგონას ზიზი მარკუსს. სასამართლომ ორივე ბრალდებულს, ოცდაერთი წლის შესრულებამდე, შრომაგამასწორებელ კოლონიაში პატიმრობა მიუსაჯა.

საკითხავია, სხვა რომელ ქვეყანაში შეიძლება შეხვდეთ კანონს, რომლის მიხედვით ექვსი წლის ბიჭუნას თხუთმეტი წლით პატიმრობას მიუსჯიან მხოლოდ იმისათვის, რომ მან ექვსი წლის გოგონას მოფერებით აკოცა?



## როგორ იყიდა სახლი დინ რასკმა

ვაშინგტონის მცხოვრებთა ნახევარზე მეტი ზანგები არიან. ასეთ ქალაქში აფრიკელი დიპლომატები თითქოს თავისუფლად უნდა გრძნობდნენ თავს. მაგრამ სინამდვილეში ასე როდია: აფრიკელი დიპლომატები აქ ძლივს შოულობენ ბინას; ასევე ძნელია მათთვის რესტორნებში ან სხვა რომელიმე საზოგადოებრივ დაწესებულებებში შესვლა.

გაზეთ „ნიუ-ორკ ტაიმსში“ დაიბეჭდა პატარა ცნობა იმის თაობაზე, რომ ერთმა ვაშინგტონელმა სახლის მეპატრონემ, რომელმაც თავისი სახლი ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილ სახელმწიფო მდივანს დინ რასკს მიჰყიდა, მისგან ხელწერილი მოითხოვა. დინ რასკს ამ ხელწერილით პირობა უნდა დაედო, რომ ახლად შეძენილ სახლს ახლო მომავალში არ მიჰყიდდა „არც ზანგს, არც სპარსელს“.

რამდენადაც სეგრეგაციის კანონები ამ რაიონში ოფიციალურად არ მოქმედებენ, დინ რასკმა შეძლო სახლი ამგვარი ხელწერილის გარეშე ეყიდა ორმოცდათექვსმეტ ათას დოლარად. მაგრამ ის ხომ სახელმწიფო მდივანი იყო და დიდი გავლენაც ჰქონდა. აფრიკელი დიპლომატები კი დღემდე იტანჯებიან შესაფერი საცხოვრებელი ბინების ძებნაში.



## ჩვენ კვლავ შევხვდებით

ნიუ-იორკის რაიონში, უაიტპლეინის მახლობლად, რკინიგზის მაღალ ჭიშკარზე ასეთი წარწერაა: „სასაფლაო ჰარსტეილის ძაღლებისათვის. გაიხსნა 1896 წელს“.

სასაფლაოსკენ მიემართება გულმოდგინედ მოკირწყლული ბილიკი, რომელიც ცნობისმოყვარე გამვლელთა თვალისაგან მწვანე ნარგავების ხშირი კედლით არის დაფარული. ლამაზად და სიყვარულით გაფორმებულ საფლავებზე აქ დაინახავთ მარმარილოს ძეგლებს, ყვავილებს, ბევრ სიმწვანეს... ზოგიერთ საფლავზე ამერიკის ზოლიან-ვარსკვლავიანი სახელმწიფო დროშა ფრიალებს, როგორც ოთხფეხა ცხოველებისადმი ამერიკელთა სიყვარულის ნათელი დადასტურება.

„მთელი ცხოვრება მან ისე გაატარა, როგორც ნამდვილმა ჯენტლმენმა“, ასეთი წარწერა აქვს ერთ ძეგლს, რომელსაც საკმაოდ ავი ბულდოგის გამოსახულება ამშვენებს. „იძინე მშვიდად, ჩვენ მალე კვლავ შევხვდებით ერთმანეთს“, — ჰპირდება თავის ოთხფეხ მეგობარს ვინმე მისის დოროთი კრეპსი.

# მოზაიკა



# [illegible] ღორი, ჩემო სოფელო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ექვსი თვეა ქალაქიდან არ გავსულვარ, ლამის ხავსი მომეკიდოს.

წელს, იანვრის ბოლოს, გეხსომებათ, რა დიდი თოვლიანობა იყო. შოთას და ლევანს მოველაპარაკე, ორივენი, რომ იტყვიან, ნადირობის გიჟები არიან. გადავწყვიტეთ და სანადიროდ წავედით გარეულ ღორებზე, ალაზანს გაღმა, ჩემს სოფელში. წინასწარ გავაფრთხილე იქაურები — პარასკევს მოვდივართ და დაგვხვდით-მეთქი. დაგვხვდნენ. ატყდა ალიაქოთი, ქათმების კრიახი, გოჭის ჭყვიტინი, შამფურების ტრიალი და იმ ღამეს სტუმრებიც და მასპინძლებიც ისე გავტიალდით, უკვე კარგად გათენებულიყო, როცა გაგვეღვიძა. მაგრამ ადრეც რომ გაგვღვიძებოდა, სად წავიდოდით, ისეთი თოვლჭყაპი მოდიოდა, თბილისელ ჭაბუკებსაც კი ქუდს დაახურინებდა.

დაიწყო ისევ შამფურების ტრიალი.

სადილობის ხანს მოვიმიზეზე, ავადმყოფი ნათესავი უნდა ვნახო-მეთქი და სუფრიდან გავიძურწე. პირდაპირ გავქანდი ძველ მეღორე ჭიკაანთ გიოსთან: — გიო, უნდა მიშველო, ერთი ღორი მომყიდე.

— მოგყიდო რომელია, — აიტკიცა გიო, — სამ წელიწადში ერთხელ ძლივს გხედავ და ერთ ღორს ვერ დაგიკლავ?! ერთი ბერწი ნეზვი მყავს, იცი, რა ხორცი ექნება?! ის დავკლათ.

— გიო, კი არ გეწყინოს და აქ დასაკლავად არ მინდა, ნეკრესის ღვთისმშობლის ჭალაში უნდა წავიყვანო და იქ მოვკლა.

— ვაიმე, ვაიმე, განათლებული კაცი ხარ, და შენც შესაწირავი მიგაქვს?! — წამოიძახა გიომ.

— შესაწირავი კი არა, ქალაქიდან ამხანაგები ჩამოვიყვანე სანადიროდ და აი, ხომ ხედავ, რანაირი ამინდია, მთაში როგორ გაისვლება სანადიროდ?! მაგ შენ ღორს ხვალ, შუაღამისას ბიჭებს გავატან ჭალაში. ქალიაყვანას იქით რომ ბერმუხა დგას, იმის ძირში პალოზე დავაბმევინებ და დილით ამხანაგებს მოვაკვლევინებ, მე შენ გითხრა, დინგი არ უგავს გარეულ ღორსა, თუ რაო!

— ჰე, რა სახეძაღლი გაიზარდე! ბაღლობაშიც ეგეთი ოხერი და მურდალი იყავი, — რახრახებს ძია გიო.

ისევ სუფრაზე მივბრუნდი და თამადას ახალი ამბავი ვახარე, — ძველი მონადირეები ვნახე და მითხრეს, რომ ნეკრესის ჭალაში გარეული ღორები გამოჩენილან, ხვალ გათენებისას წავიდეთ-მეთქი.

ბიძაშვილები განცვიფრებულნი მიყურებენ, ნეკრესის ჭალაში გარეულ ღორს რა უნდაო?!

თვალი ჩავუკარი და გაჩუმდნენ.

შოთა ამბობს:—ბარე ახლავე დავგეგმოთ ყველაფერი. ხუთნი ჩვენა ვართ, ექვსიოდე მარეკი და სამიოთხი ძაღლიც დაგვჭირდება. საჭიროა ჟაკანიანი და კარტეჩიანი ვაზნები, კარაბინიც გვაქვს.

— ჩემ საგვარეულოში სუყველანი მონადირეები არიან, — ვამშვიდებ მე, — ექვსი კი არა, ათნი წამოვლენ.

— ჰოდა, ვინც წამოვლენ, აქ მოიყვანე თათბირზე.

მოვიდნენ, ათი მარეკი, სამი ძაღლი და ერთი ლეკვიც მოიყვანეს.

მოვითათბირეთ, იარაღი გავამზადეთ, ვაზნები შევამოწმეთ, სუფრაზე აღარ გავჩერდით, ადრე დავიძინეთ და ჯერ გათენებული არ იყო, გზას გავუდექით.

ნეკრესის ჭალა სულ ორ კილომეტრზე იწყება, ჩვენი სოფლის ბოლოს; უკვირთ ლევანსა და შოთას, სოფელთან რა ახლოს ჩამოდენილან გარეული ღორები. ვეუბნები: ხანდახან სოფელშიც კი შემოდიან, როცა სცივათ-მეთქი. თამამად ვლაპარაკობ, მუხის ძირში დაბმული ღორი მეგულება. ჭალის პირში ადგილები გავინაწილეთ, მარეკები მარცხნივ და მარჯვნივ გავუშვით შემოსავლელად და რკალის შესაკრავად. სარიდანი და გივი ჩვენზე წინ მიდიან, იმათ შაშხანები აქვთ და ადგილმდებარეობაც ჩვენზე უკეთ იციან.

მეგობრებს ვაფრთხილებ: ხომ იცით, თუ ეშვი გაგკრა, გაგათავებს, მით უმეტეს თუ დასჭერი და ვერ მოკალი, ვეფხვზე უარესია, ლუკმალუკმად გაქცევთ, თქვენ ცოტა უკან იდექით და თოფები მზად გქონდეთ. ძაღლები რომ მიაკვლევენ და გნიასი ატყდება, მაშინ წამოდით წინ.

ავუშვით ძაღლები, დაიწყეს სუნსული, წამოაგდეს კურდღელი. ლევანმა ბეთქა და ამოატრიალა, გაჯავრდა შოთა: რა დროს კურდღელიაო, ღორები თოფის ხმაზე დაფრთხებიანო, მძიმე-მძიმედ წინ მივიწევთ, უკვე მარეკების ყიჟინა გვესმის. ბერმუხამდე ასიოდე მეტრიღა დარჩა, სარიდანისაკენ გავიქეცი. ბიჭო, ეს ძაღლები რატომ არ იყეფებიან! ხომ არ იცნეს, რომ შინაური ღორია, ან კუდი დაუგრიხე, ან წიხლი ამოარტყი,ააყეფე როგორმე ეგ უპატრონოები!

ბოლოს, როგორც იქნა, ლეკვი ყეფით გაექანა ბერმუხის ძირში.

— აბა, თოფები მზად, მომყევით!— დასჭყივლა სარიდანმა.

გავქანდით წინ, ვხედავთ ღორი დინგს უქნევს ძაღლს და ტრუხუნებს. ბაც — დაახალა შოთამ, დაახალა ლევანმა, დავახალე მეც. გავარდა ღორი, გაიქცა გიო და სანამ ჩვენ მივიდოდით, ხანჯლით თოკი შეაჭრა, რომლითაც პალოზე იყო დაბმული.

—ეგ ერთი და სხვა მრავალი! — დასძახა სარიდანმა. მივცვივდით ჩვენც, სამი ტყვია ჰქონდა მორტყმული — ერთი თავში და ორი ბეჭში.

— სამივე დიდებული ნასროლია,— გვაქებენ ბიჭები, — ოთხი ფუთი მაინც გამოვა, მერე რა დიდებული ხორცი აქვს გარეულ ღორს!

— თუ ძმა ხართ, თავი არ გააფუჭოთ გატყავების დროს, ფიტული მინდა გავაკეთებინო! — გვეხვეწება ლევანი.

ბიჭებმა ოც წუთში გაატყავეს და აქნეს ღორი. ხორცი გუდებში ჩადეს და წამოიკიდეს.

ექვსიოდე შაშვი კიდევ მოვკალით. ჩვენცა და ძაღლებმაც ბევრი ვისუნსულეთ, მეტი ვერაფერი ვნახეთ. საღამოხანს ჩვენი ნადავლით სოფელში დავბრუნდით. ატყდა გარეული ღორის მწვადების ტრიალი, ქეიფი გაგრძელდა. დიდებული დრო გავატარეთ.

ლევანს ახლა თავისი სამუშაო ოთახის კედელზე უკიდია თავისი პირველად მოკლული ჭიკაანთ გიოს ღორის თავის ფიტული.

მიხა შილდელი.

გარეკანის პირველ გვერდზე: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ნ. მუსხელიშვილი. მეოთხე გვერდზე: გაზაფხული. ფოტოები თენგიზ ფურცხვანიძისა.

მთავარი რედაქტორი გ. ნატროშვილი.

სარედაქციო კოლეგია: გ. ბახტაძე, თ. გოგოლაძე (პ/მგ. მდივანი), ს. დურმიშიძე, ლ. კალანდაძე, ვ. კიკნაძე, ა. კუსრაშვილი, დ. ნოდია (მხატვარი-რედაქტორი), მ. საკაშვილი, ი. ტაბაღუა, უ. ჯაფარიძე.

ტექრედაქტორი დ. ხეფიაშვილი. კორექტორი ტ. თაბორიძე.

რედაქციის მისამართი: თბილისი, რუსთაველის პრ. № 42, III სართ. ტელ.—რედაქტორის—99-54-66, პ/მგ. მდივნის—99-82-69, განყოფილებების—93-28-42, 99-01-39

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ. ფასი 30 კაპ.

გადაეცა ასაწყობად 10/II-69 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 24/IV-69 წ. ქაღ. ზომა 70×108¹/₈. ფიზიკური ნაბეჭდი ფურც. 8. პირობით ნაბეჭდი ფურცელი 4,2. ტირაჟი 43.700. შეკვ. № 1119. უე 02137.

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал „Дроша“ (на грузинском языке) Издательство ЦК КП Грузии.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14. Типография издательства ЦК КП Грузии. Тбилиси, ул. Ленина. 14.



ელექტრონული ბიბლიოთეკა

რაჭა. ალპიურ საძოვრებზე. ფოტო თ. არჩვაძისა.

ИНДЕКС 76056

ეროვნული ბიბლიოთეკა

